ყურადღება, ტრასეკა მოქმედებს! A2 | "თქვენი აფხაზეთი" A4 | TV პროგრამა A8

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი, 17 სექტემბერი, 2003 წელი. №248 (460) | ფასი 30 თეთრი

ამბები სამაჩაბლოდან

ბოცო ქვაბთაძე
სამაჩაბლოდან

მორიგ პროვოკაციად მიიჩნიეს

სარწმუნო წყაროებიდან ცნობილი გახდა, რომ საქართველოში საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან დაკავშირებით არაღიარებული, ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პარლამენტმა რეგიონის ქართველი მოსახლეობისადმი მიიღო მიმართვა. მიმართვაში აღნიშნულია, რომ "დამოუკიდებელი ოსეთის რესპუბლიკაში" შემავალი ქართული სოფლების მოსახლეობამ მონაწილეობა არ უნდა მიიღოს საქართველოს საპარლამენტო არჩევნებში. მათი ამ პოლიტიკურ კამპანიაში მონაწილეობა საერთაშორისო სამართლის აღიარებული ნორმების დარღვევაა, რომელიც აშკარად ლახავს "სუვერენული ოსეთის" სახელმწიფო ინტერესებს... მიმართვაში პრინციპულადაა ნათქვამი, რომ საქართველოს ხელისუფლება უხეშად ერევა "დამოუკიდებელი ქვეყნის" საშინაო საქმეებში, ხელოვნურად ძაბავს ურთიერთობას ორ სახელმწიფოს შორის, რომელსაც შეიძლება ბევრი გაუთვალისწინებელი შედეგი მოჰყვეს.

ცხინვალის რეგიონის ქართველ მოსახლეობას, რომელიც იურიდიულად არ ცნობს ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას, მის თვითმარქვია ხელისუფლებას, მათი მიმართვა აშკარა, მორიგ პროვოკაციად მიაჩნია და საქართველოს პრეზიდენტისაგან პრინციპულად მოითხოვს არჩევნებისა დღეს რეგიონში სტაბილური მდგომარეობის დამყარებას.

ნულელებს მიწას ეცილებიან

ათი წლის წინათ ყორნისის რაიონში დაწყებულმა ქართულ-ოსურმა კონფლიქტმა ერთმანეთს გაყარა ნულის საბჭოთა მეურნეობაში შემავალი ქართულ-ოსური სოფლები. ძველმა მეზობლებმა ერთმანეთთან შეთანხმებით მიწის ფართობებიც გაიყვეს, მაგრამ... თერთმეტი წლის შემდეგ ოს მეზობლებს აზრად მოუვიდათ, რომ მიწის გაყოფა არაობიექტურად მოხდა და სოფლების: ბეყმარის, არკნეთის, გაზაანთ (გაზაევების) უბნის მცხოვრებლებმა პრეტენზიები წაუყენეს ნულელებს, რომლებიც აცხადებენ, რომ მათ ათი წლის წინათ მიღებულ მიწის ფართობებში ვენახები, ხეხილის ბაღები გააშენეს და მიწას უსისხლოდ არ დათმობენ.

როგორც ცხინვალიდან გვაცნობეს, აღნიშნული ფაქტი არაღიარებული ქვეყნის პრეზიდენტის ედვარდ კოკოითის მსჯელობის საგანი გამხდარა. მან განაცხადა, ტერიტორია სამხრეთ ოსეთს ეკუთვნის და ქართველები რას დავობენო.

მართლაც საკითხავია, რის საფუძველზე გააკეთა "ოსეთის" პრეზიდენტმა "ისტორიული" მნიშვნელობის განცხადება?

გაგრძელება A3 გვერდზე

ამინდი

თბილისი	25
ქუთაისი	30
ბათუმი	28
სოხუმი	26
გაგრა	27
ფოთი	29
თელავი	21
ზუგდიდი	27
გორი	24
ახმეტა	24
ჭიათურა	25
ონი	22

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1375
ევრო	2.4062
გირვანქა სტერლ	3.4213
რუბლი	0.0696

როგორ შლიან აფხაზეთში საქართველოს

ეს წერილი აფხაზეთიდან დევნილმა ჟურნალისტმა სულიკო ლაკირბაიამ მოგვაწოდა, რომელიც ერთი კვირის წინ დაბრუნდა გალიდან, სადაც საკუთარი სახლი და ნათესავები მოინახულა. რესპონდენტების ვინაობა შეგნებულად არ სახელდება.

გალმა - ნათესავებს ელიან, გამოღმა - სახლებში დაბრუნებაზე ოცნებობენ.

ენგურის ხიდის გავლით აფხაზეთში ყოველდღე ასობით ადამიანი გადადის და გადმოდის. დილიდან საღამომდე ჩანთებით დატვირთული ფეხით მოსიარულე ადამიანების ნაკადი არ წყდება. ათი წელიწადია, გაღმა მცხოვრებნი ოჯახის წევრებსა და ნათესავებს ელიან, გამოღმა - დანარჩენ საქართველოში მყოფი დევნილები კი, საკუთარ სახლებში დაბრუნებაზე ოცნებობენ.

"არავის ვახსოვართ, ჩვენი მდგომარეობა არავის აწუხებს, მიტოვებულნი და დამცირებულნი ვართ. თუ ასე გაგრძელდა, ქართველები, რომლებიც ამჟამად გალის რაიონში ვცხოვრობთ,

გაგრძელება A4 გვერდზე

არაფატი უნდა მოშორდეს

"24 საათის" სტუმარია ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, ქალბატონი რივკა კოენი.

შოთა უტიაშვილი

- ისრაელის მთავრობამ განაცხადა, რომ არაფატის "თავიდან მოცილება" აქვს განზრახული. აპირებთ თუ არა მის მოკვლას?

- ცოტა შორიდან დავიწყებ. 9 სექტემბერს ორი ტერაქტი მოხდა: ერთი - თელ-ავივის სიახლოვეს, ერთი - იერუსალიმში. მათზე პასუხისმგებლობა "ჰამასმა" აიღო. პრემიერი შარონი ამ დროს ინდოეთში იმყოფებოდა და იძულებული გახდა, ვიზიტი შეეწყვიტა, რადგან ნათელი იყო, რომ კრიტიკული ჟამი იდგა. 3 თვის წინ პალესტინელებმა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ გამოაცხადეს. თუმცა, ჩვენ უკვე ამ დროს უამრავი ინფორმაცია გვქონდა, რომ ისინი მაინც ამზადებდნენ ტერაქტებს და ღვთის მადლით, მათი თავიდან აცილება შევძელით.

ჩვენ ვიცოდით, რომ ეს არ იყო მართლაც ცეცხლის შეწყვეტა. როდესაც ტერაქტი მოხდა, ნათელი გახდა, რომ პალესტინელებმა შეთანხმება დაარღვიეს. რაც უფრო მნიშვნელოვანია, ჩვენ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ამ ტერაქტების უკან არაფატი იდგა.

ამ ტერაქტების შემდეგ, ისრაელის კაბინეტმა გადაწყვიტა, რომ არაფატი წარმოადგენს დაბრკოლებას სამშვიდობო პროცესისათვის და იგი თავიდან უნდა იქნეს მოცილებული.

იმის შესახებ, როგორ უნდა მოვიცილოთ იგი თავიდან, განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. თუმცა, ყველა თანხმდება იმაზე, რომ არაფატი სამშვიდობო პროცესის მთავარ ხელშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს.

შარონის ინდოეთიდან დაბრუნების შემდეგ, კაბინეტმა ერთდროულად სამი გადაწყვეტილება მიიღო. პირველი არაფატის მოცილებას გულისხმობს. ეს არ იყო იოლი გადაწყვეტილება. არაფატი უკვე 40 წელია, პალესტინის სიმბოლოდ ითვლება. ჩვენ რომ ის მოვკლათ ან გავაძევოთ, იგი წმინდანად იქცევა, მეორე მხრივ, მისი ადგილზე დატოვებაც არაფრით არ შეიძლება. მეორე გადაწყვეტილებით, კაბინეტმა მოსთხოვა უსაფრთხოების ძალებს, დღე და ღამე ემუშავათ, რათა ტერორისტული ინფრასტრუქტურა გაენადგურებინათ. ჩვენ გავაგრძელებთ ამის გაკეთებას, სანამ ამ საქმეს თავად პალესტინის ადმინისტრაცია არ

გაგრძელება A5 გვერდზე

რივკა კოენი: "არაფატი მთავარ ხელშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს".

"ჩაუძირავი" ჯონი ფირცხალაიშვილის ახალი ოდისეა

თითქმის ერთი კვირაა, რაც საქართველოს შეიარაღებული ძალები გენერალური შტაბის უფროსის გარეშეა დარჩენილი. გენერალ-ლეიტენანტმა ჯონი ფირცხალაიშვილმა, რომელიც ამ პოსტზე 1998 წლის მაისიდან იმყოფება, 8 სექტემბერს სამხედრო მუნდირი გაიხადა და კანდიდატად დარეგისტრირდა მშობლიური ლანჩხუთის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში. მოქმედი თუ გადამდგარი გენერლებისთვის საქართველოს საპარლამენტო სივრცე არასოდეს ყოფილა უცხო და, შესაბამისად, ჯონი ფირცხალაიშვილის სადეპუტატო ამბიციაც არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ არა ერთი გარემოება.

ქობა ლიკლიკაძე
*"რადიო თავისუფლება"
სპეციალურად „24 საათისათვის„*

სულ რაღაც ორი თვის წინ გენერალ-ლეიტენანტი ჯონი ფირცხალაიშვილი წყობიდან გამოჰყავდა და პროვოკაციულს უწოდებდა ჟურნალისტების შეკითხვას მისი მომავალი პოლიტიკური გეგმების შესახებ - ეცადა ბედი საარჩევნო კამპანიაში. მაგრამ, დღეს უკვე გენერალური შტაბის უფროსმა საბოლოოდ გააკეთა არჩევანი პოლიტიკური მოღვაწეობის სასარგებლოდ. თანაც, აცხადებს, რომ მისი ეს ნაბიჯიც სამხედრო უწყების ინტერესებითაა ნაკარნახევი, რომელსაც რეფორმირების პროცესში მეტი საკანონმდებლო მხარდაჭერა სჭირდება.

"საკანონმდებლო რეფორმა ერთ-ერთი პუნქტია ამ გზისა და, ჩვენის აზრით, საჭიროა, პარლამენტში იყოს ის ადამიანი, ვინც ლობირებას გაუწევს ამ ყველაფერს."

ჯონი ფირცხალაიშვილი არ არის პირველი სამხედრო პირი, ვინც სამხედრო ფორმის გახდას და პოლიტიკაში წასვლას მსგავსი არგუმენტით, ანუ თავდაცვის უწყების ლობირების სურვილით ამართლებს. თავის დროზე, ამ შემართებით დაიწყეს საკანონმდებლო მოღვაწეობა თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა გია ყარყარაშვილმა, უშიშროების ყოფილმა

გაგრძელება A3 გვერდზე

ჯონი ფირცხალაიშვილი ყოველთვის ზუსტად ირჩევს წასვლის დროს.

ყველას მარკირება გველის

ძველი თავმჯდომარეები კი ჭიუტობენ

2 ნოემბერს საარჩევნო უბნებში მისულ თითოეულ ამომრჩეველს ხელზე უფერო საღებავს წაუსვამენ, რომელიც ჯანმრთელობისთვის სახიფათო არ იქნება და ოცდაოთხ საათში თავისით გაქრება. ასე რომ, ამომრჩევლისთვის მარკირების პროცედურა სიცოცხლისთვის საშიში სულაც არ იქნება. სამაგიეროდ, ამ საღებავმა, შესაძლოა, ქართული არჩევნების ისტორიაში საეტაპო ფუნქციაც კი შეასრულოს, რადგან, როგორც ბევრი პოლიტიკოსი იმედოვნებს, მისი მეშვეობით თავიდან ავიცილებთ არჩევნების გაყალბების უამრავ მცდელობას. ისეთებს, როგორიცაა, ვთქვათ, საარჩევნო კარუსელები, სხვადასხვა უბნებში ერთი და იგივე პიროვნების მრავალგზის შესვლა და ა.შ.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, ნანა დევდარიანის განცხადებით, **"ამომრჩეველთა მარკირებისთვის საჭირო ნივთიერება უსაფრთხოა ჯანმრთელობისთვის და მის გამოყენებაში ტრადიციების ან მორალის საწინააღმდეგო არაფერია."**

კომისიის წევრების თანხმობის მიღების შემდეგ იგი თხოვნით მიმართავს სამღვდელოებისა და მეცნიერების წარმომადგენლებს, რათა მათ, მედიის საშუალებებით, შესაბამისი ახსნა-განმარტებები გააკეთონ და აუხსნან მოსახლეობას ამ პროცედურის აუცილებლობა.

გაგრძელება A3 გვერდზე

როგორ გადაწყვეტს სტრასბურგის სასამართლო ჩეჩენ პატიმართა ბედს?

ხათუნა ჯანგირაშვილი

მიიღებს თუ არა წარმოებაში სტრასბურგის სასამართლო საქართველო-რუსეთის საზღვრის დამრღვევ ჩეჩენ პატიმართა სარჩელს, დღეს გახდება ცნობილი.

არის თუ არა ევროსასამართლოს განსასჯელი ჩეჩენ პატიმართა და მათ ქართველ ადვოკატთა მიერ სტრასბურგში რამდენიმე თვის წინ გაგზავნილი სარჩელი, არის თუ არა დარღვეული სასამართლოსთვის მიმართვის ვადები და პროცედურები – ეს ის საკითხებია, რომელთა შესახებაც ევროპელი მოსამართლეები გუშინ, დიდი ხნის განმავლობაში მსჯელობდნენ.

იმ შვიდ ევროპელ მოსამართლეს შორის, რომელთაც სარჩელის წარმოებაში მიღება-არმიღების საკითხი უნდა გადაწყვიტონ, ჩვენი ინფორმაციით, ევროსასამართლოს ქართველი მოსამართლე მინდია უგრეხელიძეც გახლავთ. გუშინ მოსამართლეებმა რუსული და ქართული მხარეების წარმომადგენლებს საკუთარი მოსაზრებების გამოსათქმელად 20-20 წუთი მისცეს. მხარეებმა საქართველო-რუსეთის საზღვრის დარღვევისა და იარაღის უკანონოდ ტარების ბრალდებით დაკავებულ ჩეჩენთა მრავალტომიან საქმეში არსებული დეტალები მიმოიხილეს და საკუთარი პოზიციები არ დათმეს.

გაგრძელება A2 გვერდზე

ახალი დეტალები ზუბადალაშვილის მკვლელობასთან დაკავშირებით

თამარ კაციტაძე

თბილისის ცენტრალური სუპერმარკეტის ("დეზერტირების" ბაზარი) სამეთვალყურეო საბჭოს დირექტორს ლაერტ ზუბადალაშვილს ორი დღის წინ მეორე ვაჟი - ზურაბ ზუბადალაშვილი მოუკლეს. ზურაბ ზუბადალაშვილს ორი უნიღბო პიროვნება საკუთარ ავტოფარეხთან დახვდა. მას პირველი ტყვია მანქანიდან გადმოსვილსთანავე ესროლეს. თუმცა, მისთვის სასიკვდილო ჭრილობა სადარბაზოში მიყენებული ორი საკონტროლო გასროლა – თავის და გულმკერდის არეში – აღმოჩნდა.

ლაერტ ზუბადალაშვილს პირველი ვაჟი - ზაზა ზუბადალაშვილი რამდენიმე წლის წინ მოუკლეს. არაოფიციალური ინფორმაციით, ძმებ ზუბადალაშვილებს ბარ "თამარიონში" ორ ძმასთან ჩხუბი მოუვიდათ. ორმხრივი სროლის დროს დაიჭრა მოწინააღმდეგე ერთ-ერთი ძმა, მეორე ძმა და ზაზა ზუბადალაშვილი კი ადგილზევე გარდაიცვალნენ. ასევე გადაუმოწმებელი ინფორმაციით, ძმის სიკვდილით გამწარებული ზურაბ ზუბადალაშვილი ბარში მოწინააღმდეგეების თანმხლებ ერთ პიროვნებას კოლმეურნეობის მოედანზე დაწევია და იქ მოუკლავს, მოწინააღმდეგე მხრიდან დაჭრილი ძმა კი

გაგრძელება A2 გვერდზე

„სერიოზული დარღვევები" გრიფით „საიდუმლო"

კონტროლის პალატის მასალები თავდაცვის სამინისტროზე

კონტროლის პალატის მასალებს, რომელიც თავდაცვის სამინისტროში 2000-2002 წლებში მიღებული გრანტების განკარგვას უკავშირდება, გრიფით "საიდუმლო" ადევს. კონტროლის პალატის თავმჯდომარის სულხან მოლაშვილის განმარტებით, ეს გადაწყვეტილება მათ მიიღეს უცხოელი კოლეგების რჩევითა და თავდაცვის უწყების სპეციფიკიდან გამომდინარე. მოლაშვილი აცხადებს, რომ შემოწმების შედეგად საკმაოდ სერიოზული დარღვევებია აღმოჩენილი. ამ მოსაზრებას თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძეც იზიარებს. იგი კონტროლის პალატის დასკვნას "ობიექტურს" უწოდებს.

ვერიკო თევზაძე

კონტროლის პალატის მასალები "შემდგომი მოკვლევისთვის" თავდაცვის სამინისტროს გენერალურ ინსპექციას გადაეცა.

სერიოზული დარღვევები შეინიშნება აღრიცხვიანობის თვალსაზრისით. ამის გამო დღეისთვის უცნობია, რა ღირებულების დახმარება მიიღო სამინისტრომ გრანტის სახით 2000-2002 წლებში. თავდაცვის მინისტრის განმარტებით, ამის მოსაკვლევად

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 ამბები | A3 ამბები | A4 პროექტი | A5 უცხოეთი | A6 სპორტი | A7 რევიუ | A8 სხვადასხვა

„ახლები" პროგრამის პრეზენტაციას აწყობენ და პარტიებს დებატებში იწვევენ

"ჩვენ ერთადერთი ძალა ვართ, ვისაც ხალხის დასაქმება შეუძლია. ჩვენ ხალხს ერთმანეთის ლანძღვით არ ვაწონებთ თავს," – ამ სიტყვებით გახსნა მოსახლეობისთვის უკვე კარგად ცნობილი დასახელების, "განახლების, აღმშენებლობის, დასაქმების 900 დღე", პროგრამის პრეზენტაცია "ახალი მემარჯვენეების" ლიდერმა დავით გამყრელიძემ.

"ახლების" განმარტებით, პროგრამის მთავარი მიზანი ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოს შექმნა და მოსახლეობის დასაქმებაა. **"ეს ყველაფერი კი განათლებისა და გადამზადების ეფექტური სისტემისა და ჯანსაღი სამეწარმეო გარემოს შექმნით, მიმზიდველი საინვესტიციო გარემოსა და სწორი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ჩამოყალიბებით მიიღწევა,"** – განაცხადა პარტიის ერთერთმა ლიდერმა გიორგი გაჩეჩილაძემ და პრეზენტაციის დამსწრეებს ისიც განუმარტა, ქვეყნის გაძლიერება-განვითარებას რა უშლის ხელს. **"კანონიერების, ერთვნული იდეოლოგიის დისკრედიტაცია, დაუსჯელობის სინდრომი, საზოგადოებაში გამეფებული ნიჰილიზმი, სახელმწიფო ორგანოების არაადეკვატური სიმრავლე, ტოტალური კორუფცია, არასრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა და აღმასრულებელი და სასამართლო ინსტიტუტები, არალიბერალური საგადასახადო სისტემა, ხელისუფლების მხრიდან მეწარმეობის საწინააღმდეგო პროპაგანდა. ქვეყანაში ყოველი მეწარმე თანაბარუფლებიანი უნდა იყოს - შევარდნაძეც, ჯორბენაძეც და უბრალო მოქალაქეც. ადამიანს ბიზნესის წამოწყების არ უნდა ეშინოდეს. ნებისმიერი პოლიტიკოსი, ვინც მცირე ბიზნესის განვითარებას უშლის ხელს, დიდი ხნით არის ციხეში ჩასასმელი,"** – განაცხადა გაჩეჩილაძემ.

პრეზენტაციის ბოლოს "ახალმა მემარჯვენეებმა" ყველა პოლიტიკური პარტია დებატებში გამოიწვიეს, - შევიკრიბოთ და, ერთმანეთის ლანძღვა-გინების ნაცვლად, მოსახლეობის დასაქმების პრობლემებზე ვიმსჯელოთო.

24 საათი

სასარგებლო ხელშეკრულება

გუშინ საქართველის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ამირან გამყრელიძემ და საბერძნეთის ელჩმა საქართველოში ქალბატონმა კონსტანტინა მაურის კელიდისმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ჯანდაცვის სფეროში ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

"როცა მთელი მსოფლიო ებრძვის ახალ-ახალ რთულ დაავადებებს, ჩვენს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა ძალიან მნიშვნელოვნად მიმაჩნია. ჩვენ დიდი სურვილი გვაქვს, დავეხმაროთ საქართველოს და ამავე დროს გავიზიაროთ მისი დიდი გამოცდილება," – განაცხადა საბერძნეთის ელჩმა.

"საბერძნეთი განვითარებული ქვეყანაა და უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი ჯანდაცვის თანამედროვე ინფრასტრუქტურა აქვს. ამდენად, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია დღევანდელი ხელშეკრულება. იგი გულისხმობს სპეციალისტების გაცვლას, ერთობლივ სამეცნიერო მუშაობას, ურთიერთინფორმირებას და ა.შ.," – აღნიშნა ამირან გამყრელიძემ.

24 საათი

ახალი დეტალები ზუბადალაშვილის მკვლელობასთან დაკავშირებით

ᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

მან საავადმყოფოში, საოპერაციო მაგიდაზე გამოასალმა სიცოცხლეს.

ასევე არაოფიციალური ინფორმაციით, ზურაბ ზუბადალაშვილის სახელს უკავშირდება თბილისში მომხდარი სხვა მკვლელობებიც – 18 წლის ტაბატაძის, რომელიც ზუბადალაშვილმა თავის მანქანაში ჩაცხრილა და საკუთარი მეჯვარის - ირაკლი დოჭვირის, რომელიც ეჭვიანობის ნიადაგზე მოკლა. გარდა ზემოთ ჩამოთვლილი მკვლელობებისა, უმცროს ზუბადალაშვილს არაოფიციალურად კიდევ რამდენიმე მკვლელობა ბრალდებოდა, მაგრამ არც ერთ ფაქტზე მას პასუხისმგებლობა არ დაკისრებია. იგი სასამართლოს წინაშე მხოლოდ ირაკლი დოჭვირის მკვლელობის გამო წარდგა, მაგრამ ცოტა ხანში სასამართლომ ბრალდებები მოუხსნა და პატიმრობიდანაც გაათავისუფლეს.

დასახელებული ისტორიებიდან გამომდინარე, ზურაბ ზუბადალაშვილის მკვლელობა იმთავითვე მის წარსულს დაუკავშირდა და შურისძიებად მოინათლა. მაგრამ მოგვიანებით გაჩნდა ბიზნესთან დაკავშირებული პრობლემებიც. სავარაუდოდ, მას ნავთობის საკუთარი ბიზნესი ჰქონდა. ყველაზე ბოლოს კი ნარკოტიკები ამოტივტივდა. სარწმუნო წყაროს ცნობით, ბოლო პერიოდში ზუბადალაშვილს ახლობლებთან დაპირისპირება ჰქონდა, რის გამოც რამდენჯერმე საქმის გასარჩევად შეხვედრილან. სხვათა შორის, აღნიშნული დაპირისპირების შესახებ ინფორმაციას ოჯახის წევრებიც ფლობენ.

ის, რომ ზურაბ ზუბადალაშვილის მკვლელობის მიზეზი შურისძიება არ არის, ეს მკვლელობის დღევანდელი თბილისის პროკურატურამაც აღიარა. იქ აღნიშნული საქმის გამოძიება განზრახ მკვლელობის მუხლით მიმდინარეობს. ამიტომ, არაოფიციალური ინფორმაციით, სამართალდამცველებმა გეზი სწორედ ბიზნესისა და ნარკოტიკების მიმართულებით აიღეს.

ჩვენი ინფორმაციით, სამართალდამცველებისათვის უკვე ცნობილია მკვლელის ვინაობაც, მაგრამ მან მიმალვა მოასწრო. სანდო წყაროს ცნობით, ზურაბ ზუბადალაშვილი მკვლელს პირადად იცნობდა, მაგრამ მას პირადი ანგარიში ჰქონდა ზუბადალაშვილთან, თუ ვინმეს შეკვეთა შეასრულა, ჯერჯერობით, უცნობია.

სამართალდამცველები იმედოვნებენ, რომ მკვლელს უახლოეს მომავალში დააკავებენ, მაგრამ რამდენად შეძლებენ ისინი მტკიცებულებების შეგროვებას, ეს უფრო ძნელი სათქმელია, რადგან, როგორც სანდო წყარო ირწმუნება, ზურაბ ზუბადალაშვილის მკვლელობა კარგად დაგეგმილი სცენარის მიხედვით განხორციელდა.

„სერიოზული დარღვევები" გრიფით „საიდუმლო"

ᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

გენერალურმა ინსპექციამ აუდიტი უნდა მოიწვიოს. თავდაცვის მინისტრი ჟურნალისტებთან გუშინდელი საუბრის დროს "სერიოზული დარღვევების" გამოსწორებას იმით ცდილობდა, რომ საქართველოში არ არსებობდა გრანტების მიღების და მისი გაკონტროლების პრაქტიკა.

კულუარული ინფორმაციის თანახმად, სამინისტროსთვის გრანტის სახით გადაცემული მიკროავტობუსები დიდი ხანია, რაც დედაქალაქის ამა თუ იმ სამარშრუტო ხაზზე დასრიალებენ. იმასაც ამბობენ, რომ მავანს არც მე-11 ბრიგადისთვის გადაცემული სამხედრო მანქანების სამოქალაქო დანიშნულებით გამოყენება გასჭირვებია. არაოფიციალური ინფორმაციით, კონტროლის პალატის დასკვნაში მითითებულია, რომ ძვირად ღირებული ტექნიკა ხშირად თითქმის ღია ცის ქვეშ ყრია.

ოფიციალური ინფორმაციის სახით, გარდა გრიფდადებული დასკვნისა, როგორც უკვე მოგახსენეთ, არსებობს კონტროლის პალატის თავმჯდომარის ზოგადი განცხადება "სერიოზული დარღვევების" თაობაზე და აგრეთვე დავით თევზაძის მცდელობა, მასმედიას და საზოგადოებას აუხსნას, რა მიზეზებით არის განპირობებული ეს დარღვევები: **"ძირითადი დარღვევა არის აღრიცხვიანობის თვალსაზრისით. აღრიცხვიანობა გულისხმობს ორ მიმართულებას: ერთი - საბუღალტრო აღრიცხვიანობის თვალსაზრისით, განფასებები ჭირს ძალიან; მეორე პრობლემაა მოწოდებულის ნომენკლატურა. ხშირად ხდება დაახლოებით ასე: შემოდის კოდით, სახელი არ უწერია და ჩვენ ძალიან გვიჭირს იდენტიფიკაცია, ანუ ვუყურებთ ნივთს და არ ვიცით, რა ჰქვია."**

სულხან მოლაშვილმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე საგანგებოდ აღნიშნა, რომ მისი უწყება ჩასაფრებულის პოზიციიდან არ მოქმედებს, რომ კონტროლის პალატის მიერ თავდაცვის სამინისტროს შემოწმება "ურთიერთთანამშრომლობაზეა" დაფუძნებული. მოლაშვილმა დავით თევზაძის მისამართით საქებარი სიტყვებიც კი არ დაიშურა. კერძოდ, მან ბრძანა, რომ ბოლო პერიოდში თავდაცვის მინისტრმა კონტროლის პალატის მასალების საფუძველზე 40-მდე ოფიცერი დაითხოვა სამსახურიდან.

"ჩვენ (იგულისხმება კონტროლის პალატა და თავდაცვის სამინისტრო) **შევთანხმდით იმ მექანიზმებზეც, როგორ უნდა გამოსწორდეს არსებული ნაკლოვანებები,"** - განაცხადა გუშინ დავით თევზაძემ. მხოლოდ საბოლოო მასალების გამოქვეყნების შემდეგ გაირკვევა, რაზე შეთანხმდა ეს ორი უწყება. საქმეში ჩახედულ პირებს ახსენებდათ დაახლოებით ექვსი წლის წინ კონტროლის პალატის მიერ სამხედრო აკადემიაში ჩატარებული შემოწმება. არაოფიციალური ინფორმაციით, აკადემიას შენობის გასარემონტებლად უცხოელებმა 6 მილიონი დოლარის ღირებულების დახმარება (გრანტის სახით) გაუწიეს. გრანტის ნახევარი "შეჭმული" აღმოჩნდა. რასაკვირველია, საქმე "ჩაიფარცხა". სამწუხაროდ, უკეთეს შედეგებს არც ექვსი წლის შემდეგ ჩატარებული შემოწმების შედეგად ელიან.

ყურადღება, ტრასეკა მოქმედებს!

მაია ურუშაძე

გუშინ, საღამოს ხუთის ნახევარზე, "ახალი აბრეშუმის გზით" "დაიმლერ-კრაისლერის" ავტოკოლონა თბილისში შემოვიდა. კონცერნი ტრასეკას დერეფნით ავღანეთის მიმართულებით პირველ საცდელ საავტომობილო რეისს ახორციელებს. აქცია, რომელიც "დაიმლერ-კრაისლერის" ინიციატივითა და ევროკავშირის პატრონაჟით ხორციელდება, "ტრასეკას" დერეფნის პოპულარიზაციისკენ არის მიმართული. "აქციას ქვეყნის ტვირთბრუნვის ზრდა და, შესაბამისად, ეკონომიკური აღმავლობა უნდა მოყვეს," – იმედოვნებენ აქციის ინიციატორები და მონაწილენი. ამავე აზრისაა საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრი მერაბ ადეიშვილიც.

ავღანეთისათვის განკუთვნილი 220 ტონაზე მეტი ჰუმანიტარული ტვირთით დატვირთული ათი სატვირთო და ხუთი ჯიპის ტიპის ავტომანქანა გუშინ ღამით თბილისში, რიყეზე დარჩა.

"ახალი აბრეშუმის გზის" სავაჭრო ტრასაზე ჰუმანიტარულ ტვირთს მსოფლიოს წამყვანი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების 67 წარმომადგენელი აცილებს. საქართველოში კი სტუმრებს "მერსედეს-ბენცისა" და "დაიმლერ-კრაისლერის" გენერალური წარმომადგენელი მაკა ასათიანი მასპინძლობს.

სტუმრებს მაკა ასათიანი მასპინძლობდა.

გუშინვე ჰუმანიტარული ტვირთის გადამზიდველი კომპანიის „დრაიმლერ-კრაისლერის" ვიცე-პრეზიდენტს კლაუს მაიერს, ტრასეკას ეროვნული ბიუროს წარმომადგენლებსა და ჰუმანიტარული აქციის მონაწილე ჟურნალისტებს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე შეხვდა. **"აქციამ გაამართლა და ეს გზა მართლაც უსაფრთხო აღმოჩნდა, რაშიც კონცერნის პრეზიდენტი ბოლომდე არ იყო დარწმუნებული და არ გვეგონა, თუ ამ გზით მანქანები ასე იოლად გაივლიდნენ,"** – განუცხადა მაიერმა შევარდნაძეს.

დღეს, დილის 8 საათზე ტრაილერები თბილისიდან გავიდნენ. უკვე საღამოს კოლონა აზერბაიჯანის საზღვარს გადაკვეთს.

ორი სიტყვით

თბილისი. საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ევროკავშირს სამხრეთ კავკასიის პრობლემებში უფრო ღრმად ჩახედვასა და გარკვევას სთხოვს. გუშინ ევროკომისიის კონსულტანტთან დენის კორბონისთან გამართულ შეხვედრაზე ედუარდ შევარდნაძემ საქართველოს ევროკავშირთან ურთიერთობას "სტრატეგიულად უმნიშვნელოვანესი მოვლენა" უწოდა. დენის კორბონის თქმით, ახლო მომავალში არასამთავრობო ორგანიზაცია "პირველი ნაბიჯი", რომელსაც მისი მეუღლე კეით კორბონი უხელმძღვანელებს, თბილისსა და ზუგდიდში გახსნის სპეციალიზებულ სკოლებს, რომლებშიც სწავლა-განათლებას 380-მდე ინვალიდი ბავშვი დაეუფლება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის ცენტრალურ ქუჩებში, სოხუმის დაცემის დღეს - 27 სექტემბერს, პოლიტიკური მოძრაობა "თავისუფალი საქართველოს" ინიციატივით, აფხაზეთიდან დევნილები მშვიდობიან საპროტესტო მსვლელობას გამართავენ. როგორც "თავისუფალი საქართველოს" ლიდერმა ფელიქს ტყებუჩავამ განაცხადა, მსვლელობა იმ ძალების წინააღმდეგ მიმართული პროტესტია, რომლებიც შეგნებულად უშლიან ხელს აფხაზეთის პრობლემის სამართლიან გადაწყვეტას. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. პარლამენტარი გურამ შარაძე თავის და პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის დამსახურებად მიიჩნევს იმას, რომ დღეს ქვეყანაში "მასონები ვერ ბატონობენ". **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. "დემოკრატიული აღორძინების კავშირი" უახლოეს დღეებში თბილისში სასტუმრო „მარიოტში" იმ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების სიის პრეზენტაციას გამართავს, რომლებიც 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში კენჭს თბილისში იყრიან. როგორც "აღორძინების" თბილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ცოტნე ბაკურიამ განაცხადა, პარტიის ლიდერმა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელმა ასლან აბაშიძემ უკვე დაამტკიცა აღორძინების დეპუტატობის ათი კანდიდატის სია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის მერის ვანო ზოდელავას თქმით, სამთავრობო ბლოკმა დიდუბის რაიონში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად განათლების საკითხებში თბილისის მერის მრჩეველი მანანა ნიკოლაიშვილი წარადგინა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. გუშინ ბაქოში მუშაობა დაიწყო ევროპის ქვეყნების სასაზღვრო სამსახურების ხელმძღვანელ პირთა კონფერენციამ, რომელიც ტრანსსაზღვაო დანაშაულებისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის საკითხებს ეძღვნება. კონფერენციაში მონაწილეობს საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ვალერი ჩხეიძეც. ბაქოდან თბილისში ჩამოსვლას გეგმავენ უკრაინის, ლიტვის, გერმანიისა და უნგრეთის სასაზღვრო სამსახურების ხელმძღვანელები, რომლებიც 18 სექტემბერს მონაწილეობას მიიღებენ ფოთში, საქართველოს სანაპირო დაცვის ხუთი წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

თბილისი. კვირის ბოლოს სოხუმს ეწვევა გაერო-ს სპეცწარმომადგენელი ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში ჰაიდი ტალიავინი. განხილვის საგანი გახდება გამოცდილების გასაზიარებლად ოცი აფხაზი სამართალდამცველის ყოფილ იუგოსლავიაში გაგზავნა, ასევე გაერო-ს სამხედრო მისიაში მონაწილეობისათვის ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში საერთაშორისო პოლიციის, დაახლოებით, 20 ინსტრუქტორის მოწვევა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში დისლოცირებული მშვიდობის მხარდამჭერი სამშვიდობო ძალები, სექტემბერ-ოქტომბერში, ცხინვალის მახლობლად მდებარე პოლიგონზე სამეთაურო-საშტაბო სწავლებებს გამართავენ, რომლის დროსაც საბრძოლო სროლებიც იქნება. როგორც შერეული სამშვიდობო ძალების შტაბის უფროსმა იური ახმეტოვმა თქვა, დაგეგმილ სწავლებებში მონაწილეობაზე თანხმობა ქართული და ოსური ბატალიონებიდან უკვე მიიღეს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმის 238 ექსპონატი, რომელიც ადიღეას რესპუბლიკის დედაქალაქ მაიკოპში, 1992-1993 წლების ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დაწყებისას გაიტანეს, 10 დეკემბრამდე დაბრუნდება. ექსპონატებს შორისაა ადრეული შუასაუკუნეების არქეოლოგიური მასალები, სხვადასხვა ყოფის ეთნოგრაფიული საგნები, - აცნობა ჟურნალისტებს აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის კულტურის მინისტრმა ლეონიდ ენიკმა. ექსპონატები 10 წლის განმავლობაში ადიღეას სახელმწიფო მუზეუმში ინახებოდა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის საერთაშორისო სამართლის განყოფილების უფროსი, პოლკოვნიკი გივი კოხრეიძე საქართველოს წარმოადგენს სამშაბათს კიშინიოვში გახსნილ, დსთ-ს ქვეყნების სასაზღვრო ჯარების სარდალთა საბჭოს 48-ე სხდომაზე. კიშინიოვის სხდომაზე დაგეგმილია თანამშრომლობის სხვადასხვა საკითხების განხილვა, მათ შორის, საზღვარზე კრიზისული სიტუაციების წარმოქმნისას ურთიერთქმედებისა და ინფორმაციის გაცვლის ინტენსიფიკაციის გზების მიმართულებით. **პრაიმ-ნიუსი**

"რაო" კავკასიაში პოზიციებს იმყარებს

სულ მალე "რაო ეეს როსსიი" საქართველოზე გამავალ სამხრეთ კავკასიის ენერგოტრასას მთლიანად გააკონტროლებს. რუსეთ-საქართველოს მაკავშირებელი 500-კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზის "კავკასიონის" 50 პროცენტის მფლობელი "რუსეთის ერთიანი ენერგოსისტემა" ამ დღეებში საქართველო-სომხეთის მაკავშირებელ 220-კილოვოლტიან "ალავერდს" იჯარით აიღებს და, ფაქტობრივად, სომხეთთან ელექტროენერგიის მიმოცვლას "ზედმეტი შუამავლის" გარეშე შეძლებს. სხვათა შორის, ჩუბაისის ენერგოგიგანტი გავლენის მოპოვებას ირლანდიელების მიერ მართულ "სახელმწიფო ელექტროსისტემაზეც" ცდილობს.

"თელასში" შემოსვლისთანავე "რაო ეეს როსსიიმ" იმ ენერგოტრასის გაკონტროლება მოითხოვა, რომლითაც რუსეთიდან შემოტანილმა ელექტროენერგიამ თბილისამდე, შემდეგ კი სომხეთისაკენ, ან სომხეთიდან საქართველოსკენ უნდა გაიაროს.

"თელასმა" დაიწყო დენის იმპორტი რუსეთიდან. **"თუმცა, თუ "სახელმწიფო ელექტროსისტემა" იმპორტირებული ელექტროენერგიის თბილისამდე მოტანას ვერ უზრუნველყოფს, ჩვენ იძულებულნი გავხდებით, იმპორტი შევწყვიტოთ,"** – განაცხადა გუშინ გამართულ ტრადიციულ ბრიფინგზე "თელასის" მომხმარებელთან ურთიერთობის მენეჯერმა ვალერი ფანცულაიამ.

დღეს, დილიდან, "თელასის" გენერალური დირექტორი დანგირას მიკოლაიონასი ლისის ქვესადგურის მონახულებას გეგმავს. "თელასის" ხელმძღვანელები "ლისის" მეპატრონე "სახელმწიფო ელექტროსისტემას" ქვესადგურზე სარემონტო სამუშაოების ჩატარებას მოსთხოვენ. საქმე ისაა, რომ "ლისი" ერთ-ერთია იმ ოთხ ძირითად ქვესადგურთაგან, რომელთა საშუალებითაც დედაქალაქის ელექტრომომარაგება ხორციელდება. **"ამ ქვესადგურის გამართული მუშაობა თბილისის მოსახლეობისთვის სომხეთიდან იმპორტირებული ელექტროენერგიის მისაწოდებლადაც აუცილებელია. არადა, ქვესადგური ტექნიკურად მძიმე მდგომარეობაშია,"** – განაცხადა ფანცულაიამ.

სომხური დენის იმპორტის დაწყებას კი "თელასის" რუსი მენეჯერები "ალავერდის" საკითხის გარკვევისთანავე გეგმავენ, რაც ხაზის მფლობელთან და "სახელმწიფო ელექტროსისტემასთან" შეთანხმების შედეგად უნდა გადაწყდეს.

რაც შეეხება საქართველოში გამომუშავებულ ელექტროენერგიას, გარდაბნის 300-მეგავატიან მე-9 ენერგობლოკზე ბაზისური თბოენერგიის წარმოებას "რაო მტკვარი" 15 ოქტომბრიდან დაიწყებს. ბლოკის მოსამზადებელი სარემონტო სამუშაოებისათვის 1,5 მილიონი დოლარი უკვე გამოყოფილია. როგორც "თელასში" აცხადებენ, ამ თანხას ქართველი კონტრაქტორები აითვისებენ.

თბილსრესის მეორე, 300-მეგავატიან ენერგობლოკის აღდგენაზე კი "თელასში", ჯერჯერობით, არ საუბრობენ. მიუხედავად "რაო ეეს როსსიის" მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის ანატოლი ჩუბაისის დაპირებისა, "რაოს" ბლოკის აღდგენის საკითხი ჯერ არ შეუსწავლია.

სამაგიეროდ, უკვე მიმდინარეობს მუშაობა თბილისის უმრიცხველო უბნების (40 ათასი აბონენტი) გამრიცხველიანებაზე. "თელასის" მომხმარებელთან ურთიერთობის მენეჯერის ვალერი ფანცულაიას ინფორმაციით, კომპანიის კომერციული დეპარტამენტი ამ საკითხთან დაკავშირებით მუშაობს და სათანადო ანალიზის შემდეგ პროგრამა გაგრძელდება. "თელასში" ვარაუდობენ, რომ გამრიცხველიანების პროგრამის დასრულება საკმაოდ ძვირი დაჯდება, რადგან მრიცხველების გარეშე დარჩენილ უბნებში მოსახლეობა, ძირითადად, კერძო სახლებში ცხოვრობს, ეს კი საქმეს ართულებს. აისახება თუ არა პროგრამის დასრულებისთვის დახარჯული თანხები ელექტროენერგიის ტარიფში, მას შემდეგ გაირკვევა, რაც "თელასის" კომერციული დეპარტამენტი პროგრამის ფინანსურ ანალიზს დაასრულებს.

24 საათი

მამუკა ხაზარაძე დიდ პერსპექტივებზე საუბრობს

ნინო ნარჩემაშვილი

"ეს, ალბათ, მოსალოდნელიც იყო," – ასე შეაფასა "თი-ბი-სი ბანკის" მორიგი წარმატება ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ მამუკა ხაზარაძემ სასტუმრო "მარიოტში" გამართულ პრესკონფერენციაზე. ლონდონში, "ფაინენშლ თაიმს გრუპის" ყოველწლიური საბანკო კონკურსის საერთაშორისო ექსპერტთა გადაწყვეტილებით, "თი-ბი-სი ბანკი" მსოფლიოს 124 წამყვან ბანკს შორის დასახელდა და ზედიზედ მეორედ "წლის საუკეთესო ბანკად" იქნა აღიარებული. მამუკა ხაზარაძის თქმით, "თი-ბი-სი ბანკის" შეყვანა "წლის საუკეთესო ბანკების" რეიტინგში სხვადასხვა კრიტერიუმებზე დაყრდნობით მოხდა, მათ შორის გათვალისწინებულ იქნა ბანკის კაპიტალი, რომელიც, მისივე ინფორმაციით, მიმდინარე წელს 80 მილიონი ლარით უკვე გაიზარდა და ბანკის მთლიანი აქტივები 270 მილიონ დოლარს შეადგენს. ყველაზე დიდი მნიშვნელობა კი მიმდინარე წელს კომპანია "სოროსის საინვესტიციო კაპიტალის" მიერ "თი-ბი-სი ბანკში" სოლიდური კომერციული ინვესტიციის განხორციელების ფაქტს მიენიჭა.

"თი-ბი-სი ბანკი" მსოფლიოს 124 წამყვან ბანკს შორის დასახელდა

რას მისცემს ეს აღიარება "თი-ბი-სი ბანკს?" მამუკა ხაზარაძე იმედოვნებს, რომ სამომავლოდ, პირველად საქართველოს ისტორიაში, "თი-ბი-სი ბანკი" ქვეყნის ფარგლებს გარეთ, უცხოეთშიც იქნება წარმოდგენილი დამოუკიდებელი ბანკის სახით (როგორც "24 საათისათვის" გახდა ცნობილი, ეს ქვეყანა აზერბაიჯანი იქნება). 2003 წლის ბოლომდე კი "თი-ბი-სის" მიმართულებით ორი სხვადასხვა საფინანსო ინსტიტუტიდან ათი მილიონი დოლარის ოდენობის თანხა წამოვა. ასე რომ, "თი-ბი-სი ბანკი", რომელიც დღეისათვის საქართველოს მთლიანი ფინანსური-საბანკო სექტორის 25 პროცენტს წარმოადგენს, სამომავლოდ უფრო გაფართოვდება.

ვახტანგ ხმალაძე „მაჟორიტარობის კანდიდატი

პარლამენტარი ვახტანგ ხმალაძე მთაწმინდის რაიონში მაჟორიტარ კანდიდატად იყრის კენჭს. გუშინ "ახალი მემარჯვენეების" ლიდერებმა იგი ოფიციალურად წარუდგინეს საზოგადოებას.

"ვახტანგ ხმალაძე პარლამენტარობის ეტალონია. მასში შერწყმულია პატიოსნება, პატრიოტიზმი და პროფესიონალიზმი," – ასე დაახასიათა პარტიის თავმჯდომარემ დავით გამყრელიძემ ვახტანგ ხმალაძე და იქვე დასძინა, რომ მას ვერ წარმოუდგენია **"საქართველოს მომავალი პარლამენტი ამ ადამიანის გარეშე".**

"ეს არის კაცი, რომელმაც, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, მისი შენარჩუნებისთვის სათანადო საკანონმდებლო ბაზა შექმნა... იგი პირველი ქართული კანონის ავტორია... ხმალაძე სულით ხორცამდე ინტელიგენტია... იგი ჩუმი და პრინციპულია... თხუთმეტი წელია, მასზე აუქციონია გამოცხადებული, მაგრამ ხმალაძე ვერავინ იყიდა. იგი ყოველთვის იქ იყო, სადაც საკუთარი სინდისი კარნახობდა," – ასე დაახასიათეს "ახლებმა" მაჟორიტარობის საკუთარი კანდიდატი.

მართლაც, ხმალაძის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მან უკანასკნელი თხუთმეტი წლის მანძილზე საზოგადოებაში პატიოსანი და პრინციპული პოლიტიკოსის სახელი დაიმკვიდრა. თუმცა, მეორე მხრივ, ვახტანგ ხმალაძე ყველასთვის ცნობილია, როგორც პროფესიონალი, კანონშემოქმედი და მას ნაკლებად იცნობენ, როგორც კონკრეტული, თუნდაც სოციალური პრობლემების გადაწყვეტისთვის მებრძოლ პოლიტიკოსს.

ამის მიუხედავად, თავად ვახტანგ ხმალაძეს ეს გარემოება სულაც არ აშინებს. მეტიც, მას მთაწმინდელების იმედი აქვს, **"რომლებსაც კარგად ესმით, თუ ვინ და რატომ უნდა აირჩიონ".**

რაც შეეხება ვახტანგ ხმალაძის კონკურენტებს. დღეისთვის უკვე ცნობილია, რომ მთაწმინდის რაიონში კენჭს იყრიან: პარლამენტის ვიცე-სპიკერი გიგი წერეთელი, ალპინისტი გია თორთლაძე (რომელსაც მხარს "ნაციონალები" დაუჭერენ), მამა როსტომ ლორთქიფანიძე. ამასთან, გადაუმწყობელი ინფორმაციით, არჩევნებში მონაწილეობის მიღება სურს ექს-პარლამენტარ მამუკა არეშიძეს. მას, სავარაუდოდ, სახელისუფლებო ბლოკი დაუჭერს მხარს.

24 საათი

როგორ გადაწყვეტს სტრასბურგის სასამართლო ჩვენ პატიმართა ბედს?

ᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

იმ შემთხვევაში, თუკი სტრასბურგის სასამართლო ჩეჩენთა სარჩელს მიიღებს, საქმეს არსებითად განიხილავს და საჩივარს დააკმაყოფილებს, ორ სახელმწიფოს – საქართველოს და რუსეთს - ევროსასამართლო ფულად კომპენსაციებს დააკისრებს ჩეჩენი მსჯავრდებულებისთვის მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების მიზნით.

გუშინ გვიანობამდე არ იყო ცნობილი ევროპელ მოსამართლეთა გადაწყვეტილება სარჩელის წარმოებაში მიღება-არმიღების შესახებ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო გუშინ მიღებულ გადაწყვეტილებას ოფიციალურად დღეს გამოაცხადებს.

ევროსასამართლოს აქვს რთული პროცედურული მხარე და თუ არ დაიცავ მის თითოეულ მოთხოვნას, დასაშვებია, რომ სტრასბურგში გაგზავნილმა საქმემ ან არ ჩააღწიოს იქამდე, ანდა ჩააღწიოს და მიუღებელგანუხილველი დარჩეს. ქართველმა ადვოკატებმა, რომლებსაც უკვე ბლომად აქვთ შეგროვებული ევრსაბჭოში გასაგზავნი საქმეები, ნაკლებად იციან ევროსასამართლოს საპროცედურო მოთხოვნები.

არადა, ქართულ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები და ქართული მართლმსაჯულების მიერ შეგნებულად თუ შეუგნებლად დაშვებული შეცდომები, რომლებიც ადამიანის უფლებებს ეხება, სწორედ ევროსასამართლოს შეუძლია გამოასწოროს. ფაქტი ერთია, ჩეჩენი პატიმრების საქმე უკვე კარგა ხანია, სტრასბურგშია და გუშინ მხოლოდ მის წარმოებაში მიღება-არმიღებაზე მსჯელობდნენ.

სავარაუდოდ, ევროპელ მოსამართლეთა გუშინდელი გადაწყვეტილება დადებითი იქნება. საეჭვოა, ევროსასამართლომ ხარვეზები აღმოაჩინოს იმ ქართველ ადვოკატთა სარჩელში, რომელთაც ევროსასამართლოსთან ურთიერთობის საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვთ. ცოტა ხნის წინ ევროსასამართლოს წარმომადგენლები თავად სტუმრობდნენ თბილისს და ქართველი ადვოკატების სწავლა-განათლებას მიჰყვეს ხელი. "ტრენინგი პრაქტიკოს ადვოკატთათვის ევროსასამართლოს საქმეებზე" – ასე ერქვა პროგრამას, რომელიც ევროსასამართლოს წარმომადგენლებმა (არასამთავრობო ორგანიზაციის "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" წევრების ორგანიზებით) ოც ქართველ ადვოკატს ჩაუტარეს. მათ ევროპელმა მოსამართლეებმა და ექსპერტებმა ევროკონვენციის ცალკეული მუხლები შეისწავლეს და პრაქტიკული სამუშაოებიც ჩაუტარეს თითოეული მუხლის მოთხოვნის შესაბამისად. სამართლიანი სასამართლოს უფლება და უკანონო პატიმრობის აღკვეთა – ეს ის საკითხებია, რომლებშიც უცხოელებმა ქართველები ამეცადინეს. მაშინ უცხოელმა მოსამართლეებმა და ექსპერტებმა ქართველ ადვოკატთა საქმიანობას უმაღლესი შეფასება მისცეს და განაცხადეს, რომ ისინი უკვე უპრობლემოდ შეძლებდნენ ქართული საკანონმდებლო ბაზის ამოწურვისა და ყველა ინსტანციის მოვლის შემდეგ ადამიანის უფლებების დაცვას სტრასბურგში. ჩეჩენ პატიმართა ინტერესებს სტრასბურგში სწორედ ის ადვოკატები იცავენ, რომელთაც ევროსასამართლოს მოსამართლეთა ქება-დიდება დაიმსახურეს.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამაბეჭდები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილ

ორი სიტყვით

თბილისი. "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატიული ფრონტის" ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტარი პეტრე ცისკარიშვილი 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში კრწანისის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად იყრის კენჭს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი, 1995-1999 წლების მოწვევის პარლამენტის ახმეტის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ზურაბ ახმეტელი 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში კვლავ ამ რაიონიდან იყრის კენჭს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. უზენაეს სასამართლოში გაიმართა საქართველოში მიმდინარე სასამართლო რეფორმის მეორე ეტაპის პროექტების პრეზენტაცია. სასამართლო რეფორმის მეორე ეტაპზე განსახორციელებელი პროექტია: "მოსამართლეთა შეუვალობის, ეთიკურობის და ერთიანობის დამკვიდრება სასამართლო სისტემაში". ღონისძიების ორგანიზატორები არიან: საქართველოს უზენაესი სასამართლო, მოსამართლეთა ასოციაცია და აშშ-ს იურისტთა ასოციაცია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

ზესტაფონი. ზესტაფონის რაიონის სოფელ საზანოში მომხდარმა უბედურმა შემთხვევამ ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. სოფელ საზანოში, სასახლის უბნის საშუალო სკოლის ეზოში, სასმელი წყლის ჭაზე მუშაობის დროს ბაგირის გაწყვეტის შედეგად გარდაიცვალა ხარაგაულში მცხოვრები გურამ მელქაძე. სხეულის მძიმე დაზიანება მიიღეს დიმიტრი ბარდაველიძემ და ნოდარ ნოზაძემ, რომლებიც ზესტაფონის რაიონულ საავადმყოფოში არიან მოთავსებულნი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თერჯოლა. თერჯოლის რაიონის სოფელ სეფარეთში ნეფარიშვილების ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმა მოხდა. ნეფარიშვილების ოჯახში ოთხი ბოროტმოქმედი შეიჭრა, მათგან ორი ცეცხლსასროლი იარაღით იყო შეიარაღებული. ნეფარიშვილებმა თავდამსხმელებს ფიზიკური წინააღმდეგობა გაუწიეს. ხმაურზე მათ მეზობლებიც შეუერთდნენ და ყაჩაღები იძულებულნი გახდნენ, ხელცარიელი გაქცეულიყვნენ. თერჯოლის პოლიციამ ერთ-ერთი ეჭვმიტანილი დააკავა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ისანი-სამგორის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა რუსთავის მკაცრი რეჟიმის კოლონიიდან გაქცეული პატიმარი ივანე ბასილაშვილი დააკავეს.

ივანე ბასილაშვილს მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის 14 წლით თავისუფლება ჰქონდა აღკვეთილი. იუსტიციის სამინისტროს მონაცემებით, 10 სექტემბერს გაქცეული 129 პატიმრიდან 62 დაკავებულია, 7 კი ნებაყოფლობით ჩაბარდა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს როლანდ გილიგაშვილის იუსტიციის მინისტრის თანამდებობიდან გადაგომის თაობაზე განცხადებისათვის, ჯერჯერობით, ხელი არ მოუწერია. როლანდ გილიგაშვილის შემცვლელად უკვე რამდენიმე პირს მოიაზრებენ: ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილეს ჯემალ გახოკიძეს, სახელმწიფო მინისტრის მოადგილეს ანზორ ბალუაშვილს და პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანს მარიამ ცაცანაშვილს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

მესტია. სვანეთში დაწყებული ანტიკრიმინალური სპეცოპერაციის პირველი ფაზა, ჯერჯერობით, მშვიდად მიმდინარეობს. ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი ნებაყოფლობით მხოლოდ რამდენიმე ოჯახმა ჩააბარა. შს მინისტრის სპეციალური განკარგულების თანახმად, ამ შემთხვევაში მათ სასჯელი - იარაღის უკანონო შენახვისთვის ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა აღარ ემუქრებათ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. იუსტიციისა და შს სამინისტროებმა მუშაობა დაასრულეს ერთობლივი ბრძანებულების პროექტზე, რომლის თანახმად, სასჯელაღსრულების დაწესებულებათა გარე პერიმეტრზე პოლიციელებმა პატრულირება უნდა ჩაატარონ. პროექტის თანახმად, სასჯელაღსრულების დაწესებულებებთან პოლიციის შტაბები შეიქმნება. პოლიციელთა პატრულირება დროებითი ღონისძიებაა და იგი გაგრძელდება მანამ, ვიდრე სასჯელაღსრულების დაწესებულებების გარე პერიმეტრს შინაგანი ჯარი არ დაიცავს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. გუშინ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში განიხილეს ლაგოდეხის ნაკრძალის ტერიტორიაზე შპს "მზეთას" მიერ ჰესის მშენებლობის პროექტი. ნაკრძალის 10 ჰექტარის მოცულობის ტერიტორიაზე, რომელიც პარლამენტმა ორი წლის წინ აღკვეთილ ტერიტორიად გამოაცხადა, ჰესის მშენებლობა იგეგმება, რასაც ლაგოდეხის ნაკრძალის დირექტორი ვაჟა პავლიაშვილი და არასამთავრობო გარემოსდაცვითი ორგანიზაციები კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოში ერთობლივი საწარმოების შექმნა საქართველო-უზბეკეთის მთავრობებს შორის არსებული თანამშრომლობის ხელშეკრულების საფუძველზე იგეგმება. ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრომ უზბეკეთისა და საქართველოს საწარმოებს დაუგზავნა წერილები ერთობლივი საწარმოების შექმნის პერსპექტივების თაობაზე. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. არასამთავრობო ორგანიზაციის „საქართველო ნატო-ში“ ოფისში გამართულ შეხვედრაზე „ახალმა მემარჯვენეებმა“ საზოგადოებას მთაწმინდის რაიონში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი წარუდგინეს. ამ მანდატისთვის ვახტანგ ხმალაძე იბრძოლებს. **მედია-ნიუსი.**

ყველას მარკირება გველის

ᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

"მარკირება მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მიღებული ფორმაა და მისი გამოყენება ერთი და იგივე ადამიანის მიერ რამდენიმე საარჩევნო უბანში ხმის მიცემის შესაძლებლობას გამორიცხავს," - აღნიშნავს ცესკო-ს თავმჯდომარე.

ამ დროს კი ქვედა დონის საარჩევნო ადმინისტრაციებში სულაც არ აინტერესებთ მარკირების პროცედურა და მისი დანიშნულება. კომისიების წევრები გაცილებით პროზაული პრობლემებით არიან დაკავებულები.

როგორც გუშინ გაირკვა, საოლქო საარჩევნო კომისიების ძველი თავმჯდომარეები ნანა დევდარიანის მიერ დანიშნულ ახალ თავმჯდომარეებს შენობებში არ უშვებენ და საუბნო კომისიების თავმჯდომარეებს თავადვე ნიშნავენ. ასეთი ფაქტები რუსთავში, თელავში, ასპინძასა და თბილისის რამდენიმე რაიონში აღინიშნა. ნანა დევდარიანის გადაწყვეტილებით, უკვე ხვალ ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიულმა განყოფილებამ უნდა მოამზადოს შესაბამისი განკარგულება, რომელიც ამ პრობლემას დაარეგულირებს. **"თუ ძველი საოლქო საარჩევნო კომისიები არც ამ შემთხვევაში შეწყვეტენ უკანონო ქმედებებს, მაშინ მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძვრება,"** – აცხადებენ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

ამომრჩევლებს ხელზე უფერო საღებავს წაუსვამენ.

24 საათი

ნადარეიშვილი პრეზიდენტს მილიონს სთხოვს

სახელმწიფო მინისტრის შუამავლობით, პრეზიდენტთან თამაზ ნადარეიშვილის შეხვედრის შემდეგ აფხაზეთის უზენაესი საბჭოს სახელისუფლებო ბლოკში გაწევრიანება გადაწყვეტილად ჩაითვალა. თითქმის იგივეს ამტკიცებდა თავად ნადარეიშვილიც. დღეს აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აცხადებს, "რომ საბოლოო გადაწყვეტილება თითქმის მიღებული აქვს. უბრალოდ, პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ სახელისუფლებო ბლოკი არ შეკრებილა და არც ნადარეიშვილის ბლოკში გაწევრიანება გაფორმებულა".

ᲚᲔᲚᲐ ᲛᲐᲥᲓᲚᲘᲫᲔ

მისი ამგვარი განცხადება, რბილად რომ ვთქვათ, კვლავ მეტის მიღების მცდელობად ჩაითვალა... ამის შესახებ თავად ნადარეიშვილმაც იცის და აცხადებს, რომ მართლაც "ვაჭრობს," ოღონდ - აფხაზეთის საკითხის გამო. **"კი ბატონო, იფიქრონ, რომ მართლაც ვვაჭრობ, თუკი ამით აფხაზეთის საკითხის გადასაწყვეტად საქმე გაკეთდება. კვოტებზე საუბარი საერთოდ არ ყოფილა. ამ მხრივ დიდი პრეტენზიები არც მექნება ორი მიზეზის გამო. ჯერ ერთი, აფხაზეთის დეპუტაციის წარმომადგენლებს მომავალი მოწვევის პარლამენტში ავტომატურად უგრძელდებათ ვადა. გარდა ამისა, სახელისუფლებო ბლოკში შემავალი პარტიების სახელით საარჩევნო სიებში 1-2 კაცი ყველგან იქნება. თუ ამას პირადად ჩემი პარტიის წევრებისთვის გათვალისწინებული სამ-ოთხკაციანი კვოტაც დაემატა... პირადად მე გარკვეული პირობები წამოვაყენე, რომლის დაკმაყოფილებასაც ქვეყნის მეთაური დამპირდა,"** - ასეთია ნადარეიშვილის კომენტარი. მისი მოთხოვნები კი აფხაზეთის საკითხს ეხება. ნადარეიშვილი აცხადებს, რომ ჰააგის ტრიბუნალისა და გაერო-ს წესდების მეშვიდე მუხლის ამოქმედებაში საქართველოს მთავრობას მაქსიმალურ დახმარებას სთხოვს. აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აცხადებს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ, ძირითადად, გაიზიარა მისი მოთხოვნები, რაც "ცალკე, პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით დადასტურდა და ცალკე, საქართველოს უშიშროების საბჭოს სხდომაზეც". გადაწყდა, რომ გაერო-ს მეშვიდე მუხლის ასამოქმედებლად, საქართველოს სახელით, გაერო-ს უშიშროების საბჭოს მომავალ სხდომაზე მოხსენება უნდა გაკეთდეს. **"ეს იმას ნიშნავს, რომ "იძულება მშვიდობისათვის" მართო ნადარეიშვილის პოზიცია კი არა, მთელი საქართველოს ხელისუფლების პოზიციაა. ჰააგის ტრიბუნალისათვის კონკრეტული მასალების წარსადგენად დიდი სამუშაოა ჩასატარებელი. უნდა შეიქმნას სპეციალური სამსახური, რომელიც კონკრეტულ მასალებს მოიძიებს, ხალხს გამოკითხავს, დაახლოებით, 500 ათას კაცს. გენერალურ პროკურატურაში გენოციდის ფაქტზე საქმის აღძვრის შემდეგ ეს საქმეები უკვე ჰააგის სასამართლოს წარედგინება. სულ ამ სამუშაოებისათვის, ჩვენი დაანგარიშებით, დაახლოებით მილიონი ლარია საჭირო,"** - აცხადებს ნადარეიშვილი. მან ამ თანხის მოძიება პრეზიდენტს უკვე მოსთხოვა. ცნობისათვის, გუშინ ნადარეიშვილმა იმ სამსახურის უფროსად, რომელმაც მომავალში ჰააგის სასამართლოსათვის წარსადგენად მასალები უნდა გაამზადოს, პრეზიდენტს ანზორ ბალუაშვილის კანდიდატურა შესთავაზა. პრეზიდენტი წინააღმდეგი არ უნდა იყოს. აფხაზეთის კონფლიქტის საკითხებზე გაწეული მუშაობის გამო, ანზორ ბალუაშვილს იგი მადლობას ჯერ კიდევ მისი ისრაელში ყოფნის დროს უხდიდა. მაშინ ბალუაშვილი ისრაელში საქართველოს წარმომადგენლის პოსტზე იყო. ნადარეიშვილი აცხადებს, რომ აფხაზეთთან დაკავშირებით მის მიერ წამოჭრილი საკითხების გადასაჭრელად ოპოზიცია ბევრს ვერაფერს გააწყობდა. თუმცა, საბოლოო გადაწყვეტილებას ბლოკში ყოფნა-არყოფნის შესახებ იგი სახელისუფლებო ბლოკის შეკრებაზე ელის. "ახალი საქართველოსათვის" წევრთა შეკრება კი დღე-დღეზე უნდა შედგეს.

გიგა გელაშვილი: მე არაფერი დამიშავებია

"მხედრიონის" ერთ-ერთი ლიდერის გიგა გელაშვილის საქმეს, რომელიც ისრაელის პოლიციამ საზღვრის უკანონო გადაკვეთის და ყალბი საბუთების გამოყენებისთვის დააკავა, თბილისის მთაწმინდა-კრწანისის სასამართლო უახლოეს დღეებში განიხილავს.
საქმე ისაა, რომ არსებული კანონმდებლობით, გელაშვილისთვის ისრაელში შეფარდებული სასჯელის ზომა ქართულ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში უნდა მოვიდეს. არ არის გამორიცხული, რომ მას დარჩენილი სასჯელი შეუმსუბუქონ და რამდენიმე დღეში პატიმრობიდან გაათავისუფლონ.

ᲘᲜᲒᲐ ᲐᲚᲐᲕᲘᲫᲔ

როგორც ცნობილია, გიგა გელაშვილს თელ-ავივის სასამართლომ 8 თვით პატიმრობა მიუსაჯა, საიდანაც 4 თვე საპატიმროში სანიმუშო ქცევისთვის ისრაელის სასამართლომვე მოუკლო. პატიმრობის სამი თვე გელაშვილმა უკვე მოიხადა და მას სასჯელის ვადა ნოემბრის დასაწყისში ეწურება.

შეგახსენებთ, რომ გიგა გელაშვილი ისრაელის პოლიციამ 15 ივნისს დააკავა. გუშინწინ, გვიან ღამით, საქართველოში ექსტრადირებული გიგა გელაშვილი ამჟამად ორთაჭალის ციხეში იმყოფება.

გთავაზობთ ინტერვიუს გიგა გელაშვილთან.

- გიგა, რა მოხდა რეალურად, რა ვითარებაში დაგაკავეს?

- დაკავებამდე ერთი თვის მანძილზე ისრაელში ვცხოვრობდი და არანაირი პრობლემა არ შექმნილა. ჩემი დაკავება განაპირობა მოტოციკლმა, რომელსაც ვმართავდი. თურმე, პოლიცია ფლობდა ინფორმაციას, რომ ის მოპარული იყო. მართალია, მოტოციკლი შევიძინე, მაგრამ ჩემთვის არავის უთქვამს, რომ ის მოპარული იყო. პოლიციამ გამაჩერა, მითხრა, რომ მოპარულ მოტოციკლს ვმართავდი და პირადობის დამადასტურებელი საბუთები მომთხოვა. შემდეგ წამიყვანეს პოლიციის განყოფილებაში, სადაც საზღვრის უკანონო გადაკვეთასა და ყალბი საბუთების გამოყენებაში დამდეს ბრალი. აი, სულ ეს იყო.

- დაკავებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, თელ-ავივის ერთ-ერთ გაზეთში დაიბეჭდა სტატია, რომელშიც შეკვეთილი მკვლელობის შემსრულებლად მოგიხსენიეს.

- ეს ისეთი სისულელეა, რომ ამაზე საუბარი, ალბათ, არც ღირს. არც დაკავების დროს და არც შემდეგ პოლიციას ამ თემაზე ჩემთან კრინტიც არ დაუძრავს. ეჭვიც კი არ გამოუთქვამთ. მეტიც, ამის შესახებ არც სასამართლოზე ყოფილა საუბარი. საიდან დაიწერა ასეთი აბსურდი, ვერ ვხსნი. ამ ჭორის შესახებ მე საკანში შევიტყვე მეორე საკნის პატიმრებისგან და პრესტესტის ნიშნად შიმშილობა დავიწყე. მართალია, ამ ძალებზე მინიმუმამდე დავიდა. სამხედრო კომისარიატების გაუქმების შემდეგ კი გენშტაბის უფროსი თითქმის უფუნქციოდ დარჩა, რის გამოც ყველა ფიქრობდა, რომ ჩაუძირავი ქართველი გენერალი, რომელიც არ არის დაჩვეული ცარიელი ადგილის ტკეპნას და სხვის ჩრდილქვეშ ყოფნას, მალე დატოვებდა თანამდებობას. ასეთი ხმა, პირველად ორი წლის წინ დაირხა და იგი ჯონი ფირცხალაიშვილის მოულოდნელ ავადმყოფობას დაემთხვა. თუმცა, სამხედრო ჰოსპიტალიდან გამოსული გენერალური შტაბის უფროსი პირდაპირ პანკისის ხეობაში გაეშურა და ჟურნალისტების შეკითხვას, თუ როგორ გრძნობთ თავსო, ჩვეული იუმორით პასუხობდა - **"ხმები ჩემი გარდაცვალების შესახებ ერთობ გადაჭარბებულია."**

დღეს საქართველოში ახალი ხმები დადის: ამბობენ, რომ ჯონი ფირცხალაიშვილს თითქმის განაღდებული აქვს მაჟორიტარი დეპუტატის მანდატი მშობლიურ ლანჩხუთის რაიონში და რომ 54 წლის გადამდგარი გენერალი კვლავ უმიზნებს, ოღონდ ახალ ამპლუაში, იმ უწყებას, საიდანაც იგი მესამედ მიდის.

საჩვენებელმა პროცესმა შედეგი არ გამოიღო

ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲯᲐᲜᲒᲘᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ

სამხედრო პროკურორთა და სამხედრო ნაწილების მეთაურთა იმედი, რომ დეზერტირობის ბრალდებით დაკავებული ჯარისკაცის საჯაროდ გასამართლებისა და სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე მოწყობილი დასაშინებელ-საჩვენებელი პროცესის შემდეგ სხვადასხვა სამხედრო ნაწილებიდან გაქცეული, დეზერტირობისთვის ძებნილი სამხედრო მოსამსახურეები საკუთარი სურვილით დაუბრუნდებოდნენ თვითნებურად მიტოვებულ სამხედრო ნაწილებს, არ გამართლდა.

სამაგიეროდ, გამართლდა იმ სამხედრო ექსპერტთა ვარაუდი, რომლებიც ირწმუნებოდნენ, რომ ისეთი დასაშინებელ-საჩვენებელი გასამართლება, როგორიც "კომანდოს" ბატალიონიდან გაქცეულ კაპრალს მამუკა ხუროშვილს მოუწყვეს, შედეგს ვერ გამოიღებდა. **არა მგონია, ასეთი სახის საჯარისო ეგზეკუციამ რაიმე შედეგი გამოიღოს. ასეთი საჩვენებელი სასამართლო დასჯა ვერავის დააშინებს. ჯარისკაცები კიდევ გაიქცევიან, გაქცეულები კი უკან აღარ დაბრუნდებიან. ამ სახის სანახაობის მოწყობა სხვა არაფერია, თუ არა ყოფილი საბჭოთა კავშირის "სუკ"-ის სტილი. ეს ყველაფერი კგბ-ს მენტალობის კლიშეა,"** - აცხადებდა "24 საათთან" საუბრისას თანამებრძოლის, "კომანდოს" ბატალიონის კაპრალის დავით ხუროშვილის საჯაროდ გასამართლების დღეს სამხედრო ექსპერტი და ყოფილი კომანდოსი ნიკა ჯანჯღავა.

მიუხედავად იმისა, რომ ვაზიანის სამხედრო ნაწილის სასადილოში საგანგებოდ მოწყობილ სასამართლო პროცესზე ამ სანახაობის ორგანიზატორებმა დიდი იმედი დაამყარეს, არც ერთ სამხედრო ნაწილში გაქცეული ჯარისკაცი საკუთარი სურვილით არ გამოცხადებულა. სამაგიეროდ, მათი დევნა-ძებნა სამართალდამცველებმა სწორედ ამ სანახაობის შემდეგ გააძლიერეს. ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში კანონდამცველებმა ვაზიანის სამხედრო პროკურატურის მიერ დეზერტირობისთვის ძებნილი 7 ჯარისკაცი დააკავეს. ჩვენი ინფორმაციით, მათ სამხედრო ნაწილები 1999-2003 წლებში მიატოვეს და აქამდე საპროტესტო ფორმის გამო, შედარებით მკაცრ რეჟიმში გადამიყვანეს, მაგრამ შემხვდნენ პოლიციის წარმომადგენლები, ჩვენი კონსული და განმიმარტეს, რომ გავრცელებული ინფორმაცია არარეალური იყო, ეჭვიც არ არსებობდა ჩემს შესახებ და მთხოვეს, შიმშილობა შემეწყვიტა.

- როგორ ფიქრობ, ამ ჭორის გავრცელება ისრაელში ჩასულმა შენმა ბიოგრაფიულმა მონაცემებმა ხომ არ გამოიწვია?

- გულწრფელად გეუბნებით, ახლაც ძალიან მიკვირს, საიდან გაჩნდა ეს ინფორმაცია. იმის თქმა, რომ ვიღაცამ ეს სპეციალურად დაგეგმა, წარმოუდგენელია, ისრაელში ჩემი ინტერესი ნამდვილად არავის აქვს. უბრალოდ, ეს ჟურნალისტების ფანტაზიის ნაყოფი იყო. ეს იყო და ეს. ფაქტი ის არის, რომ მე არაფერი დამიშავებია, აბსოლუტურად მართალი ვარ და ეს დაადასტურა კიდეც ისრაელის სასამართლომ. იქ გამოტანილი განაჩენი თან გამომატანეს და ვისაც რამეში ეჭვი ეპარება, შეუძლია ნახოს და დარწმუნდეს.

"ჩაუძირავი" ჯონი ფირცხალაიშვილის ახალი ოდისეა

ᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

მინისტრმა ირაკლი ბათიაშვილმა და თავდაცვის მინისტრის მოადგილემ რობერტ თავაძემ, მაგრამ მთელი ავტორიტეტისა და ორატორული ნიჭის მიუხედავად, მათ, ჯერჯერობით, რეალურად ვერც ვერაფერი შეცვალეს და ვერც ვერაფერი შეჰმატეს ქვეყნის სამხედრო პოლიტიკას.

მაშ, რისი იმედი აქვს ჯონი ფირცხალაიშვილს, რომლის წარსულის მიმართ პოლიტიკურ სპექტრში ყოველთვის ფრთხილი დამოკიდებულება არსებობდა?

ჯონი ფირცხალაიშვილმა გენერლის წოდება საკმაოდ ახალგაზრდამ, 39 წლისამ მიიღო უკრაინაში, სადაც იგი ერთ-ერთი დიდი საბჭოთა ქვედანაყოფის შტაბის უფროსი გახლდათ. ყოფილი საბჭოთა გენერალი სამოქალაქო ომის დაწყების წინ, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ბრძანებით, საქართველოს თავდაცვის მინისტრად დაინიშნა. სამხედრო გადატრიალების შემდეგ ფირცხალაიშვილი ოჯახთან ერთად იძულებული გახდა, გახიზნულიყო უკრაინაში, სადაც ძველ მეგობრებთან ერთად მცირე ბიზნესით იყო დაკავებული. თავდაცვის ყოფილი მინისტრი საქართველოში 1995 წელს დაბრუნდა და ჯერ სახმელეთო ჯარების სარდლად, მერე კი თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილედ დაინიშნა. მაგრამ ფირცხალაიშვილის რეინკარნაციამ მხოლოდ ერთ წელს გასტანა. ყოფილი თავდაცვის მინისტრის, ვარდიკო ნადიბაიძის მიერ საჯაროდ მიყენებული სიტყვიერი შეურცხყოფის გამო, ფირცხალაიშვილმა პროტესტის ნიშნად დატოვა თავდაცვის მინისტრის მოადგილის თანამდებობა. მაგრამ 1998 წლის გაზაფხულზე "ჩაუძირავი" ჯონი ფირცხალაიშვილი გენერალური შტაბის უფროსის რანგში კვლავ დაბრუნდა შეირაღებულ ძალებში.

თუ მის ამ ბიოგრაფიის ზიგზაგებს გავადევნებთ თვალს, შეიძლება ითქვას, რომ ჯონი ფირცხალაიშვილი ყოველთვის ზუსტად ირჩევს წასვლის დროს. როგორც პოლიტოლოგი და საქართველოს სამხედრო ისტორიის მკვლევარი დავით დარჩიაშვილი მიიჩნევს, გენერალური შტაბის უფროსის თანამდებობიდან გადადგომა და პოლიტიკაში ბედის ძებნა, შესაძლოა, თვითგადარჩენის ინსტინქტითაც იყოს ნაკარნახევი.

"ჯარში ვითარება, მიუხედავად წვრთნისა და აღჭურვის "პროგრამისა, იმდენად რთულია - იქ ზემო ეშელონებში ურთიერთობები, დაუფინანსებლობა, კრიტიკა გარედან, კრიტიკა შიგნიდან, - რომ ვიღაც-ვიღაცეებს თვალი გაქცევაზე რომ ეჭიროს, არ გამიკვირდება. მეორე ისაა, რომ 2004 წელს საქართველოს სამოქალაქო თავდაცვის მინისტრი უნდა ჰყავდეს. შესაძლოა, რომ თავად თავდაცვის მინისტრი ფიქრობდეს გენერალური შტაბის უფროსის პოსტზე და ადგილს ითავისუფლებდეს კულუარული მოლაპარაკების შედეგად," - აცხადებს დარჩიაშვილი.

ის, რომ თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე ნამდვილად ფიქრობს გენერალური შტაბის უფროსობაზე, ეს ე.წ. "პოლიშინელის საიდუმლოა" და ამაზე დღეს, ყველაზე ხმამაღლა, თავად სამხედრო უწყების კედლებში ლაპარაკობენ. ამგვარ ვერსიებს კი თავდაცვის სამინისტროში შექმნილი ვითარება ასაზრდოებს: მრავალწლიანი საკადრო ექსპერიმენტების შემდეგ, რაც თავდაცვის მინისტრის აპარატის განმტკიცებას ემსახურებოდა, გენერალური შტაბის უფროსის გავლენა შეიარაღებულ ძალებზე მინიმუმამდე დავიდა. სამხედრო კომისარიატების გაუქმების შემდეგ კი გენშტაბის უფროსი თითქმის უფუნქციოდ დარჩა, რის გამოც ყველა ფიქრობდა, რომ ჩაუძირავი ქართველი გენერალი, რომელიც არ არის დაჩვეული ცარიელი ადგილის ტკეპნას და სხვის ჩრდილქვეშ ყოფნას, მალე დატოვებდა თანამდებობას. ასეთი ხმა, პირველად ორი წლის წინ დაირხა და იგი ჯონი ფირცხალაიშვილის მოულოდნელ ავადმყოფობას დაემთხვა. თუმცა, სამხედრო ჰოსპიტალიდან გამოსული გენერალური შტაბის უფროსი პირდაპირ პანკისის ხეობაში გაეშურა და ჟურნალისტების შეკითხვას, თუ როგორ გრძნობთ თავსო, ჩვეული იუმორით პასუხობდა - **"ხმები ჩემი გარდაცვალების შესახებ ერთობ გადაჭარბებულია."**

დღეს საქართველოში ახალი ხმები დადის: ამბობენ, რომ ჯონი ფირცხალაიშვილს თითქმის განაღდებული აქვს მაჟორიტარი დეპუტატის მანდატი მშობლიურ ლანჩხუთის რაიონში და რომ 54 წლის გადამდგარი გენერალი კვლავ უმიზნებს, ოღონდ ახალ ამპლუაში, იმ უწყებას, საიდანაც იგი მესამედ მიდის.

რეგიონები

ამბები სამაჩაბლოდან

ᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ქართული სკოლის აშენებას აზრი არა აქვს

ცხინვალში გამომავალ გაზეთ "იუჟნაია ოსეტიაში" დაიბეჭდა ვინმე ალექსანდრე ქელეხსაევის წერილი "აქ იქნება ქალაქის ბაღი", რომელიც რეგიონში ქართულ-ოსური კონფლიქტის დროს დამწვარ-დანგრეულ პირველ ქართულ საშუალო სკოლას და მის ეზოს ეხება. ავტორი საგაზეთო წერილში აყენებს საკითხს, რომ ქართული საშუალო სკოლის ადგილზე გააშენონ სკვერი ან კულტურისა და დასვენების პარკი, რომელიც ქალაქს დაამშვენებს და ცხინვალელებისათვის საყვარელ ადგილად გადაიქცევა. იგი იმასაც მიუთითებს, რომ პირველი საშუალო სკოლა ისეა დანგრეული, რომ მის აშენებას არანაირი მნიშვნელობა არ ენიჭება, რადგანაც მასზე დიდი თანხები უნდა დაიხარჯოს.

ვის აძლევს ხელს?

ახლახან ცხინვალში გამომავალ გაზეთ "იუჟნაია ოსეტიაში" დაიბეჭდა სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლის აზა ქოქოევას სტატია "საქართველოში მცხოვრები ოსების ეთნოსოციალური მდგომარეობა". აღსანიშნავია, რომ სტატია მომზადებულია სოროსის ფონდის "ღია საზოგადოება - სამხრეთ ოსეთის" ფინანსური მხარდაჭერით.

სტატიის ავტორი განსაკუთრებულ აქცენტს პანკისის ხეობაში მცხოვრები ოსების მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე ამახვილებს და აღნიშნავს, რომ საქართველოს ხელისუფლების არასწორი პოლიტიკური მოქმედების შედეგია, რომ რეგიონში მცხოვრები ოსები ეროვნული ზეწოლის გამო ტოვებენ სახლ-კარს და იძულებულნი საარსებო საშუალებებისათვის რუსეთში მიემგზავრებიან.

აზა ქოქოევა საგანგებოდ აღნიშნავს, რომ საქართველოში სახელმწიფო მიწების პრივატიზაციის დროს პანკისის ხეობაში მცხოვრებ ოსებს გამოუყვეს გამოუსადეგარი მიწის ფართობები და მათ ჰექტარზე 50 ლარს ახდევინებენ, მაშინ, როცა ქართველები ასეთი ზომის ფართობებში 5 ლარს იხდიან.

ავტორი წერს, ოსები იმდენად არიან შევიწროებულნი, რომ წისქვილში ხორბლის ან სიმინდის დაფქვისათვის მეტ თანხას ახდევინებენ, ვიდრე ქართველებსო.

მეცნიერ-მუშაკის "ფუნდამენტური გამოკვლევა" ბადებს კითხვას, ვის აძლევს ხელს აბსურდული სტატია?

არ გაახმიანეს, მაგრამ...

არაოფიციალური წყაროებიდან ცნობილი გახდა, რომ "ოსეთის" დედაქალაქში იმყოფებოდა აფხაზეთის დელეგაცია, რომელიც პრეზიდენტმა ედვარდ კოკოითიმ მიიღო. მართალია, ორი მხარის წარმომადგენელთა შეხვედრა არ გახმიანებულა, მაგრამ დახურულ კარს მიღმა შემდგარი საუბრის დედააზრმა მაინც გაჟონა. აღნიშნავენ, რომ აფხაზეთისა და "ოსეთის" წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს სამხედრო ურთიერთობისა და სამხედრო დახმარების ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც ისინი ერთმანეთს საჭიროების შემთხვევაში დაეხმარებიან არა მარტო ტექნიკით, არამედ ცოცხალი ძალითაც.

ვინ დაეხმარება ფრონისპირელებს?

ფრონის ხეობის სოფელი ნული დღევანდელ ცივილიზაციას მოკლებულია. აქ წლების მანძილზე არ უჭვენებენ კინოფილმებს, არ დგამენ სპექტაკლებს, არ ატარებენ კონცერტებს. სპორტულ ცხოვრებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. სწორედ ამ და სხვა ფაქტორებითაცაა განპირობებული, რომ აშკარად შეინიშნება სოფლის ახალგაზრდობის მიგრაცია. დღეს სოფელში ახალგაზრდობის ერთი ნაწილი და შუახნის მოსახლეობაღა შემორჩა, რომლებიც აისიდან დაისამდე მინდორ-ველად, ბაღჩა-ვენახებში ტრიალებენ და იმის პირობებიც არა აქვთ, რომ ადგილზე შეიძინონ ნავთობპროდუქტები, შხამქიმიკატები, მინერალური სასუქები... კარგი იქნება, თუ ქარელის რაიონის გამგეობა ფრონისპირელ გლეხკაცს მისცემს საშუალებას, ადგილზე შეიძინოს საჭირო მასალები.

აფეთქება... ვისი სცენარით?

ახლახან დაუდგენელმა პირებმა ცხინვალის რეგიონში, სოფელ ფრისის ტყიან ზონაში რამდენიმე ძლიერი აფეთქება მოახდინეს. ძნელია იმის გარკვევა, ქართული თუ ოსური მხრიდან იყვნენ ამფეთქებლები ანრა მიზანს ემსახურებოდა აფეთქება, მაგრამ ადგილობრივი ქართველი და ოსი მოსახლეობის განცხადებით, ის უცნობი ტერორისტული ჯგუფის მიერ იყო მოწყობილი, რომელიც ორ ხალხს შორის მდგომარეობის გამწვავებას ისახავდა მიზნად.

დეპუტატების "აღლუმი" კახეთში

კახეთის ისტორიაში პირველი მოვლენაა, როცა რაიონის დეპუტატები ანგარიშს ჟურნალისტებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს აბარებენ. შეხვედრაზე, რომელიც რეგიონული გაზეთის "სპექტრის" მიერ იყო ორგანიზებული, მოწვეული 8 დეპუტატიდან მხოლოდ სამი გამოცხადდა, დანარჩენებმა სხვადასხვა "მიზეზებით" შეხვედრას თავი აარიდეს.

ᲖᲕᲘᲐᲓ ᲠᲣᲐᲫᲔ
ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲓᲐᲜ

ნიკოლოზ კვეზერელი(გურჯაანი), ბეჟან გონაშვილი(დეოფლისწყარო), გივი ბეციაშვილი(თელავი) ის დეპუტატები არიან, რომლებმაც 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის სურვილი კვლავ გამოთქვეს. სანამ თითოეული მათგანი ამომრჩეველს ახალ საარჩევნო პროგრამას წარუდგენს, ისინი რეგიონის მედიის და არასამთავრობოების წინაშე ვრცელი მოხსენებით გამოდიან. ასეთ შეხვედრებზე გამოუცდელ პარლამენტარებს ერთმანეთის "ადვოკატობა" უწევთ. ყველ

"თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

აფხაზეთი: ილუზია, რეალობა და პერსპექტივა

დასასრული, დასაწყისი №454

შექმნილმა ვითარებამ აფხაზეთის საკითხის, როგორც "გაყინული კონფლიქტის" მახასიათებლები განამტკიცა, ხოლო ქართველთა და აფხაზთა თანაცხოვრების ისტორიულ ღირებულებებს უპერსპექტივობის დაღი დაასვა. ჩვენ ვიმყოფებით კანონზომიერ ჩიხში.

არსებული ვითარების სტატუსკვოს შენარჩუნება შეკუმშულ ზამბარას ჰგავს. ასეთი კონსერვაცია შესაძლებელია, მაგრამ უკიდურესად საშიშია, ვინაიდან გაუცხოების საფუძველი უცვლელია. წინდაუხედავი ქმედების შემთხვევაში ზამბარა მყისვე გაიმართება და ვითარება უმართავი გახდება.

სადღეისო მდგომარეობიდან გამოსავალი გზების ძიებამ, აფხაზეთიდან დევნილთა პროგრესულ ნაწილში კიდევ უფრო განამტკიცა სამოქალაქო დიპლომატიის პრიმატი. ნდობის, თანხმობის, პირდაპირი დიალოგისა და ურთიერთდახმარების უალტერნატივობამ ცხადად წარმოაჩინა ამ კუთხით არსებულ შესაძლებლობათა ორგანიზაციულად გაერთიანების აუცილებლობა, დღის წესრიგში დადგა ისეთი ორგანიზაციული ფორმის გამოძებნა, რომელიც კონფლიქტის დასარეგულირებლად მნიშვნელოვან წანამძღვრებს შექმნის სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაციისათვის. სწორედ ასეთ ორგანიზაციულ ფორმად გვესახება ისეთი კონსტრუქციული საზოგადოებრივი მოძრაობის დაფუძნება, რომელიც კავკასიაში, კერძოდ საქართველოში, ისტორიულად აპრობირებული სახალხო დიპლომატიის უდიდეს გამოცდილებას დაეყრდნობა და სახელმწიფოს, საზოგადოებასა და დღევანდელ მოსახლეობას შესთავაზებს კონკრეტულ ინიციატივებსა და კონცეპტუალურ ხედვას ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში ქართველი და აფხაზი ხალხების ისტორიული მომავლის ასაშენებლად.

არასამთავრობო საზოგადოებრივი მოძრაობა "სამოქალაქო სამშვიდობო ინიციატივა" 2003 წლის ივნისში დაფუძნდა. მკაფიოდ განისაზღვრა მისი მისია, მიზნები, ამოცანები და მოქმედების მიმართულებები.

მოძრაობა მოწოდებულია შეიმუშაოს სპეციალური მოკლე და გრძელვადიანი პროგრამები, განახორციელოს კონკრეტული ღონისძიებები ამ ურთულესი და უმთავრესი სასიცოცხლო მნიშვნელობის ამოცანის შესასრულებლად.

მოძრაობის მთავარი მიზანია, აქტიური მონაწილეობა მიიღოს საქართველოს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის, ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი და ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის, სოციალური პოლიტიკის, ეკოლოგიური, საგანმანათლებლო, კულტურის, ეკონომიკის, ბიზნესის საკითხებში, რომლებიც უშუალო კავშირშია აფხაზეთის მოსახლეობის სოციალურ-პოლიტიკურ და ეროვნულ-კულტურულ ინტერესებთან.

ჩვენი მთავარი ორიენტირია სამშვიდობო წინადადებების ინიცირება, საკონსულტაციო და საექსპერტო გამოკვლევების წარმოდგენა ქვეყნის ხელისუფლებისთვის, კონფლიქტში მონაწილე მხარეებისთვის.

რუსეთის მიერ საქართველოს მრავალწლიანი სამხედრო-პოლიტიკური ექსპანსიისა და პოლიტიკოსთა დანაშაულებრივი ქმედებისაგან, დღესაც და მომავალშიც, გარანტირებულად დაიცვას მხოლოდ ქართველ-აფხაზთა, მთელი საზოგადოების ერთიანობის სიმტკიცე. სამოქალაქო და ეროვნებათშორის თანხმობას შეუძლია ნებისმიერ აგრესორს აღუდგეს წინ. მხოლოდ მას შესწევს ძალა გრძელვადიანი მშვიდობის დასამყარებლად. მხოლოდ მას აქვს უნარი ინტეგრაციული პროცესების გაღრმავებისა და ისტორიული მისწრაფებების ხორცშესხმისა.

ჩვენი პოზიცია საკმარისად მარტივია: აფხაზეთის კრიზისის დაძლევა მხოლოდ ნდობის კრიზისის დაძლევით არის შესაძლებელი. სამოქალაქო დიპლომატია თვითმიზანი კი არ არის, არამედ საშუალება ამ ნდობის კრიზისის დაძლევისა. სამოქალაქო დიპლომატიის ძირითადი მიზნებია: ქართველებსა და აფხაზებს შორის გაუცხოების დაძლევა; აფხაზეთის საზოგადოების გამთლიანება; სხვადასხვა ერის წარმომადგენელთა, სოციალური ჯგუფებისა და მოსახლეობის სხვადასხვა ფენის ინტერესების დაახლოება და ჰარმონიზაცია.

საზოგადოების სახელწოდება ზუსტად ასახავს მისი საქმიანობის მიზანსა და სტრატეგიას. საწესდებო საბუთებში მოცემულია მოძრაობის ხედვა და მისი პერსპექტივები.

სახალხო დიპლომატია საზოგადოებრივი მოძრაობის სხვადასხვა ფორმის ერთობლიობაა, რომლის მთავარი მიზანია ადამიანებს შორის ნდობის, თანხმობისა და თანამშრომლობის აღდგენა-განმტკიცება. მისი მოქმედების არეალი როგორც საერთაშორისო, ისე რეგიონალური და შიდა სახელმწიფოებრივი სივრცეა. ეს სამოქალაქო მოძრაობა აერთიანებს პროგრესულად მოაზროვნე თუ კეთილი ნების ადამიანებს, ავტორიტეტულ პიროვნებებს, რომლებსაც, ადამიანის ფაქტორზე დაყრდნობით, შესწევთ სამოქალაქო ინიციატივების წარმართვა სახელმწიფოს, საზოგადოებისა და მოქალაქეთა საჭირბოროტო პრობლემების გადასაჭრელად.

მოძრაობა თავისი საქმიანობის უმთავრეს მოვალეობად მიიჩნევს წინ აღუდგეს ძალადობას, პროვოცირებას, დაპირისპირებას.

მოძრაობის ფინანსური წყაროებია საკუთარი შემოსავლები, საწევრო შესატანები, შემოწირულებები, დახმარებები, საგამომცემლო საქმიანობის ამონაგები, დოტაციები, საერთაშორისო ჰუმანიტარული ფონდების გრანტები.

აფხაზეთის დაბრუნებით ბევრი "ვაი პოლიტიკოსი" პოლიტიკურ კარიერას დაკარგავს. დაკარგავს ყველაფერს, რაც აფხაზეთის დაკარგვით შეიძინა და მიითვისა. ამიტომ ისინი აფხაზეთის დაბრუნებას უსისხლოდ არ დათმობენ.

ურაპატრიოტიზმი, ლოზუნგი "საქართველო ქართველებისათვის", დემაგოგია, ფარისევლობა, ნაცარქექიობა, ლაყბობა, ამპარტავნება, ფარული ეგოიზმი, აფხაზი ხალხის აბუჩად აგდება, ეგზალტირებული მასის ფსიქოზი მიტინგებზე თუ აქციებზე, ლოზუნგომანია - "თუ ჩემსავით არ ფიქრობ, საქართველოს მტერი ხარ", "მე ყველაზე ჭკვიანი ვარ, მენდეთ და გამომყევით", "უჩემოდ აფხაზეთში არავინ დაბრუნდება" და სხვა, უშედეგო და უპერსპექტივოა.

შექმნილი ვითარება ცალსახად ადასტურებს, რომ აფხაზეთში დაბრუნების იდეა, კონფლიქტის მონესრიგების გაჭიანურება მავანთა მიერ აქტიურად გამოიყენება ხელისუფლებისათვის საბრძოლველად, სახელისუფლებო თანამდებობების შესანარჩუნებლად, პირადი პოლიტიკური ამბიციების დასაკმაყოფილებლად. სუბიექტურ-ობიექტურ სირთულეებზე სპეკულირება, პოლიტიკური ინტრიგების ინსპირირება უმნიშვნელოვანესი ბარიერია ისტორიულად მოძმე ხალხების დაახლოების გზაზე.

პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასება დღემდე აერ ეძლევა წინდაუხედავ, ძალისმიერ, დემაგოგიურ მოწოდებებსა და დესტრუქტურულ, დანაშაულებრივ სარგებლობას ამ პრობლემების მოუგვარებლობით. უკონტროლო პროცესები ქმნიან კორუფციის, ნარკომანიის, კონტრაბანდის, იარაღითა და ადამიანებით ვაჭრობის პირობებს.

საღი საზოგადოებრივი აზრი ვერ ჰგუობს ახალი სისხლის ღვრისკენ მოწოდებებსა და ლოზუნგს: "მთავარია ტერიტორია".

აფხაზეთის საკითხებზე, მისი დაკარგვის შემდეგ, თბილისში და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ბევრი ყრილობა, მიტინგი, მანიფესტაცია, გაფიცვა თუ საპროტესტო აქცია გაიმართა დევნილთა უშუალო მონაწილეობით. სამწუხაროდ, ათი წლის განმავლობაში ვერც ერთმა თავყრილობამ ვერ მოახერხა კონსტრუქციული ხედვისა თუ წინადადებების შემუშავება. როგორც წესი, ყველა ეს ღონისძიება ურთიერთბრალდებებისა და თანამდებობრივ-პოლიტიკური ამბიციების დასაკმაყოფილებლად მოიაზრებოდა. მათი გადაწყვეტილებების პროდუქტიულობა ნულოვანია.

ლოზუნგი-რეკლამა "გახსოვდეს აფხაზეთი" უნიჭობის სტანდარტია. უნდა გვახსოვდეს, რომ სამუდამოდ დავკარგეთ? თუ უნდა გვახსოვდეს, რომ არ დაგვავიწყდეს? ყველას ყველაფერი ახსოვს. მთავარია რას ვთავაზობთ ხალხს.

ჩვენი მიზანია იმ ადამიანების რევანშისტული ინიციატივების ოპონირება, რომლებიც ლტოლვილთა კუთვნილი სახსრების ქურდობით გამდიდრდნენ და არანაირად არ არიან დაინტერესებული კონფლიქტის მოწესრიგების პროგრესით. მათ იციან, რომ თბილისში თუ არა, სოხუმში მაინც გაასამართლებენ.

უნდა შევთანხმდეთ 3 ძირითად პრინციპზე:

1. ვიდრე არ წავლენ ასპარეზიდან ის ადიოზური ადამიანები და მათ უკან მდგომი ძალები, ვინც საომარი დაპირისპირების დროს ხელმძღვანელობდნენ პოლიტიკურ პროცესებს, რომლებიც დღესაც რჩებიან აქტიურ პოლიტიკაში. საჭიროა ახლებური ხედვა და ახალი სახეები.

2. ვიდრე არ ვაღიარებთ, რომ შეიარაღებული დაპირისპირება ორივე მხრის პოლიტიკური ელიტის დანაშაულებრივი უმოქმედობის, საბედისწერო წინდაუხედაობისა და პოლიტიკური ამბიციების შედეგია. ძმათამკვლელი ომის თავიდან აცილება შესაძლებელი იყო.

3. კონფლიქტი გაუმართლებლად გაჭიანურდა, რადგან ამ ტრაგედიაში ორივე მხარეა დამნაშავე. ქართულ-აფხაზურ ომში გამარჯვებული არც ერთი მხარე არ არის და არც მომავალში იქნება. ორივე სასტიკად დამარცხდა. თუ გამარჯვება გვიწერია, ორივემ ერთად უნდა გავიმარჯვოთ.

ქართულ-აფხაზურ ისტორიულ ერთობას დიდი გამოცდა ელის. დრო ულმობელია და მტრის წისქვილზე ასხამს წყალს. დადგა ჟამი ურთულესი არჩევანისა. ვინაიდან წარსულის რედაქტირება შეუძლებელია, არჩევანი მომავალს უნდა ემსახურებოდეს: ერთად ან ერთმანეთის წინააღმდეგ.

პრაგმატული ანალიზი ცალსახად ადასტურებს, რომ ჭეშმარიტ აფხაზთა პროგრესულად მოაზროვნე წრეებში დაიწყო ცხოვრებისეული ღირებულებების თვითკრიტიკული გადაფასების პერიოდი, იცვლება ორიენტაცია და მენტალობა, მძლავრობს იმედგაცრუება. ასეთ ვითარებაში სოხუმის ხელისუფლებას ერთადერთი შანსი რჩება: "ნიუ-ვასიუკის" პროექტების შეთხზვა და ძველი პათოსით ახალი პროპაგანდისტული დოპინგის რეალიზება.

აფხაზეთში კონფლიქტის ყოვლისმომცველ სამართლიან სამშვიდობო მოწესრიგების პროცესს, სამწუხაროდ, ომისკენ მივყავართ. შუამავალი და მშვიდობისმყოფელი რუსეთის ფედერაცია თავისი პოლიტიკის აფხაზეთის ფაქტორს არ ცვლის, ხოლო საერთაშორისო ინსტიტუტები არაადეკვატურ მიდგომებს ჯერჯერობით ვერ გვთავაზობენ. ერთადერთი გამოუყენებელი პოლიტიკური რესურსი, რომელმაც შეიძლება ძირეულად შეცვალოს ვითარება, ქართული და აფხაზური მხარეების პირდაპირი დიალოგის საერთო ენის განსაზღვრა და ასეთი მოლაპარაკებების დაწყებაა. როგორ შეიძლება ვისაუბროთ მოლაპარაკებების ნულოვან შედეგებზე, თუ ასეთი დიალოგი არც შემდგარა. არადა, რეალური კომპრომისი სწორედ ასეთმა დიალოგმა უნდა განსაზღვროს.

უაფხაზეთო საქართველოში კი წინასაარჩევნო უკომპრომისო ბატალიების ფონზე ნაკლებად პოპულარულია სამშვიდობო ღონისძიებების ინიცირება, აფხაზურ მხარესთან პირდაპირი, ფასილიტატორების გარეშე დიალოგი. საქართველოს პრეზიდენტის მიერ დეკლარირებული კონფლიქტის გადაწყვეტის სამშვიდობო პრინციპების ამოქმედება ბევრად უფრო შრომატევადი და ფასდაუდებელია, ვიდრე მუშტების ქნევა და თითის გაშვერა ჩრდილოეთისაკენ.

მიუხედავად ამისა, თბილისში და სოხუმში სულ უფრო იგრძნობა "რევანშისთვის ბრძოლისა" თუ "გამარჯვებით ტკბობის" მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატების კრიზისი. ისტორიულად მოძმე ხალხებს შორის უკვე დაიწყო შერიგების ლოკალური პროცესი, გააქტიურდა მიმოსვლა, ნათესაური კავშირების აღდგენა. ცხოვრება არ ელოდება გაეროს გადაწყვეტილებებს, ადამიანები მის გარეშე ცდილობენ, განჭვრიტონ მომავალი, შეინარჩუნონ ის ურთიერთობები, რომელთა გადარჩენა ჯერ კიდევ შეიძლება.

ზურაბ ერქვანია
მოძრაობა "სამოქალაქო სამშვიდობო ინიციატივა"-ს თანათავმჯდომარე

როგორ შლიან აფხაზეთში საქართველოს

ზაზა დავითაძე/ფოტო

ჭუბურხინჯი - გალის საზღვარი.

ПЕРВЫЕ ГАЗЕТЫ ИЗ

იძულებულნი გავხდებით, თავი აფხაზებად გამოვაცხადოთ და სამშობლოს დავუპირისპირდეთ. ბევრს ჰგონია, რომ ომი დამთავრდა. სინამდვილეში მთავარი ომი, ფარული და მრავალთათვის უხილავი, ახლა მიმდინარეობს," - სევდიანი ხმით მეუბნება ხანდაზმული მამაკაცი, რომელსაც ენგურის ხიდზე შევხვდი. ის გალიდან შვილიშვილების დასახვედრად იყო გადმოსული. უკვე რამდენიმე წელია, ეს ხიდი მათთვის შეხვედრის უცვლელ ადგილად რჩება.

თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეღწევა საქართველოს რიგითი მოქალაქისათვის არცთუ ისე უსაფრთხოა. თითოეულის დოკუმენტებს აფხაზი მესაზღვრეები საგულდაგულოდ ამოწმებენ. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქის დამადასტურებელ საბუთებს ფარატინა ქაღალდის ფასი აქვს. მხოლოდ საბჭოთა წითელი და ადგილობრივი ადმინისტრაციის მიერ გაცემული პასპორტი ფუნქციონირებს. თხუთმეტდღიანი საშვის აღება, რომელსაც ხიდს გაღმა "სასაზღვრო პუნქტში" გასცემენ, ყველასათვის სავალდებულოა და ოცდახუთი რუსული რუბლი ღირს. მაგრამ ამავე დროს ქართული ლარისა და რუსული რუბლის დახმარებით ნებისმიერი სახის ტვირთის გადატანა-გადმოტანა არის შესაძლებელი.

სოხუმისაკენ მიმავალი გზა თითქმის ცარიელია, მანქანებს იშვიათად თუ შეხვდებით. ყველაზე გავრცელებული და მოხერხებული ტრანსპორტი ცხენია. მას არც საწვავი სჭირდება, არც სათადარიგო ნაწილები და ნაკლებ ხარჯებთანაა დაკავშირებული. მიუხედავად იმისა, რომ ბენზინი უფრო იაფია, ვიდრე თბილისში, ავტობუსებითა და ტაქსით მგზავრობა იქაურებისათვის საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა. ყველა მანქანა ძველი და გაუმართავია.

"ძალიან გვიჭირს. მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას ემატება უმძიმესი ფსიქოლოგიური ზეწოლა, რაც ჩვენს ყოფას მეტად გაუსაძლისს ხდის. არც ქართველებს ვჭირდებით და არც აფხაზებს. ახლახან ორი ახალგაზრდა კაცი მკვდარი იპოვეს, არავინ იცის, ვინ ან რატომ ჩაიდინა. ნუთუ საქართველოს მთავრობას არ გააჩნია შესაძლებლობა, ასეთი შემთხვევების დროს შესაბამისი რეაგირება მოახდინოს და საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით რამე მოიმოქმედოს ჩვენი მდგომარეობის შესამსუბუქებლად?!" - მეუბნება 40 წლის მამაკაცი, რომელიც ხუთი წელია, გალში ცხოვრობს. მისი თქმით, მანამდე ქუთაისში ცხოვრობდა და მშობლების ავადმყოფობის გამო, იძულებული გახდა, სახლში დაბრუნებულიყო. ახლა კი შინამეურნეობითაა დაკავებული.

"შარშან სოფლის აფხაზურმა ადმინისტრაციამ თხილის შემოსავლიდან 100 კილოგრამი მოითხოვა ერთ ოჯახზე. მივეცი. წელსაც თუ იგივე რაოდენობა დავაკისრეს, აღარაფერი დაგვრჩება. თუმცა, ჩვენთან უკეთესი სიტუაციაა, ზოგიერთ სოფელში მოსავლის ნახევარი მიაქვთ," - ამბობს ის.

თხილისა და მანდარინის მოსავლის აღების დროს აქტიურდება აფხაზური სამხედრო კომისარიატის წარმომადგენელთა ე.წ. რეიდები. ისინი განთიადისას წვევამდელების სახლებში მიდიან, ღოგინიდან აყენებენ მათ და გაურკვეველი მიმართულებით მიჰყავთ. შემდეგ იწყება ვაჭრობა, თითოეული ქართველის დასაბრუნებლად მშობლები ფულს იხდიან. გამოსასყიდი თანხა ერთ ახალგაზრდაზე 3 ათასიდან 7 ათას რუსულ რუბლამდე მერყეობს.

ახალგაზრდობა გაუსაძლის ყოფას ნარკოტიკებსა და ალკოჰოლში ახშობს. ორივე კი იქ მათთვის ძალიან ხელმისაწვდომია. ისინი იძულებულნი არიან, საკუთარი სახლებიდან არ გამოვიდნენ ან ერთმანეთს ძნელად შესამჩნევ ადგილებში შეხვდნენ. **"თბილისისაგან განსხვავებით, შუქიც გვაქვს და წყალიც, მაგრამ მთავარი - ცხოვრების უფლებაა, არა?!"** - მეუბნება 27 წლის ლუკა. მისი უფროსი გოგონა ექვსი წლისაა, სკოლაში უნდა წავიდეს.

"არ მინდა, ჩემმა შვილმა რუსულ სკოლაში იაროს, გაღმა ცხოვრების საშუალება ჩვენ არა გვაქვს, არ ვიცი, რა ვქნა," - ამბობს შეწუხებული მამა. აღსანიშნავია, რომ გალის რაიონში არც ერთი ქართული სკოლა არ ფუნქციონირებს. თუმცა, სასწავლო პროცესი არც აფხაზურ ენაზე მიმდინარეობს. ყველა საგანს მოსწავლეები რუსულად ეუფლებიან. აფხაზური, როგორც ერთ-ერთი უცხო ენა, ისე ისწავლება. სკოლებში პრიორიტეტულია აფხაზეთის ისტორიის საგანი, რომლის სახელმძღვანელოში ხაზგასმითაა მითითებული, რომ აფხაზეთი საქართველოს ნაწილი არ ყოფილა და გამომდინარე აქედან, შეუძლებელია, ოდესმე გახდეს. მიუხედავად აკრძალვებისა, ქართველები მაინც ახერხებენ, შეინარჩუნონ ქართული ენა, ზოგიერთ სკოლაში მალულად ცდილობენ, პატარებს დედაენა შეაყვარონ.

გარკვეული ძალები სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით იქაურ მოსახლეობას არწმუნებენ, რომ ისინი მეგრელები არიან და არა ქართველები. უკვე რამდენიმე თვეა, მეგრულ ენაზე გამოდის ყოველთვიური გაზეთი "გალი", რომლის ყველა ნომრის პირველ გვერდზე გამოტანილია ადამიანის უფლებათა დაცვის დეკლარაციიდან ციტატა იმის შესახებ, რომ ყველა ხალხი თანასწორია და თითოეულ ადამიანს უფლება აქვს, წეროს და ილაპარაკოს მშობლიურ ენაზე. ასევე ყველა ნომერში იბეჭდება ქართველი და არაქართველი ავტორების წერილები, სადაც საუბარია იმის თაობაზე, თუ ვინ არიან სამურზაყანოელები, აფხაზები თუ მეგრელები. წერილებში გალის მოსახლეობა მოიხსენიება, როგორც მეგრელები. მაგალითად, ერთ-ერთი ავტორი წერს: "გაიმართა აფხაზეთში მცხოვრები ერების ფოლკლორული ფესტივალი, სადაც მონაწილეობდნენ აფხაზები, რუსები, სომხები, მეგრელები, ებრაელები და სხვანი..."

წამოსვლისას შემხვედრი მანქანის მძღოლმა ჩვენი ავტობუსის მძღოლი გააფრთხილა, რეიდია, საბუთებს ამოწმებენ, ფრთხილად იყავითო. ჭუბურხინჯთან გაგვაჩერეს. ავტობუსში ჟღალთმიანი ახალგაზრდა მამაკაცი ამოვიდა და ყველას დოკუმენტების წარდგენა მოსთხოვა. ერთ მგზავრს საბჭოთა პასპორტში მეორე სურათი არ აღმოაჩნდა, ამიტომაც 100 მანეთით დააჯარიმა. შემდეგ უკანა რიგებში მსხდომთ მოგვმართა, საბუთები ხომ ყველას წესრიგში გაქვთო და შემოწმების გარეშე ჩავიდა.

"გადავრჩით," - მომესმა ჩემს უკან მჯდომი ქალბატონის ხმა.

არძინება ბრუნდება

ივნისის ბოლოდან ჩატარებული სამკურნალო კურსის შემდეგ ვლადისლავ არძინბა მოსკოვიდან სოხუმში ბრუნდება, რათა მონაწილეობა მიიღოს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დასრულების 10 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში.

ამ თარიღთან დაკავშირებით სოხუმმა აფხაზეთში მიიწვია, ყაბარდო-ბალყარეთის, ადიღეის, ყარაჩაი-ჩერქეზეთის, ჩრდილოეთ ოსეთის, ჩეჩნეთის, დაღესტნის, ინგუშეთის, ბაშკორტოსტანის, თათრეთის, სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის, მოლდოვას დნესტრისპირეთისა და მთიანი ყარაბაღის, ასევე კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეების, როსტოვის ოლქის, მოსკოვისა და სანკტ-პეტერბურგის დელეგაციები. **პრაიმ-ნიუსი**

კრასნოდარი-სოხუმი

კრასნოდარის მხარის გუბერნატორის ალექსანდრე ტკაჩევის დავალებით, უნდა მომზადდეს ბრძანებულება, რომლითაც ჰუმანიტარული დახმარების სახით აფხაზეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკას 1 000 ტონა ხორბალს გამოუყოფენ.

ამის შესახებ ჟურნალისტებს აცნობა აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ეკონომიკისა და საგარეო ეკონომიკური კავშირების მინისტრმა კონსტანტინე ტუჟბამ.

მისი თქმით, აფხაზეთმა კომერციული წინადადებები უნდა წარადგინოს ჩაისა და ციტრუსების რეალიზაციასთან დაკავშირებით. **პრაიმ-ნიუსი**

რუსული კეთილმეზობლობა

რუსეთი აპირებს, რომ საზღვრის აფხაზურ მონაკვეთზე გახსნას სასაზღვრო კონტროლის 6 და საბაჟო კონტროლის 12 პუნქტი. ეს ტექნიკურად უზრუნველყოფს მოქალაქეთა დაუბრკოლებელ მიმოსვლასო, განუცხადა ჟურნალისტებს კონსტანტინე ტუჟბამ.

მისი თქმით, რუსულმა მხარემ დაახლოებით 13 მილიონი რუბლი გამოყო მდინარე ფსოუზე ახალი ხიდის მშენებლობისათვის, სადაც საზღვრის აფხაზური მონაკვეთი მდებარეობს. **პრაიმ-ნიუსი**

გალური ტერორი

გასულ კვირას თაგილონში რამდენიმე სამხედროფორმიანმა შეიარაღებულმა უცნობმა ქართველი მამაკაცები სცემეს. გავრცელებული ინფორმაციით ადგილი ჰქონდა ქალების გაუპატიურებასაც, მაგრამ ოთხმხრივი საგამოძიებო ჯგუფის წევრების განცხადებით, ეს ფაქტი, ჯერჯერობით, არ დასტურდება. **პრაიმ-ნიუსი**

ქართველები არა!

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელისუფლებამ ხუთშაბათს განაცხადა, რომ მზადაა გუდაუთის ბაზის დაბრუნებასთან დაკავშირებით რუსეთის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების ინსპექტირებისათვის საერთაშორისო დამკვირვებლები მიიღოს და უსაფრთხოებით უზრუნველყოს, ოღონდ, როგორც არძინბას თანაშემწემ ასტამურ ტანიამ განაცხადა, - "აფხაზეთი სუვერენული სახელმწიფოა და საქართველოს წარმომადგენლებს არაფრის ინსპექტირების უფლება არა აქვთ". **პრაიმ-ნიუსი**

დაბრუნების შემდეგ

ოფიციალური თბილისი დევნილების დაბრუნების საკითხთან აკავშირებს აფხაზეთთან საჰაერო მიმოსვლის აღდგენას, რომელიც 1992-93 წლებში მომხდარი საომარი კონფლიქტის შედეგად შეწყდა.

"მხოლოდ ქართველი დევნილების დაბრუნების შემდეგ შეიძლება ამ საკითხის განხილვა", განაცხადა ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და კომუნიკაციების მინისტრმა, მერაბ ადეიშვილმა. მისივე თქმით, თბილისი ყველა მიმართულებით შექმნის ბარიერს, რათა აფხაზურმა მხარემ ეს რუსეთის დახმარებით არ შეძლოს. **პრაიმ-ნიუსი**

მორიგი ნოტა

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთის საგარეო უწყებას 9 სექტემბერს სოხუმში კრასნოდარის მხარესა და არაღიარებულ რესპუბლიკას შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმების გამო საპროტესტო ნოტა გაუგზავნა. ამის შესახებ პარასკევს გამართულ ბრიფინგზე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ კახა სიხარულიძემ განაცხადა. **პრაიმ-ნიუსი**

გადავადება

თბილისსა და სოხუმს შორის, გაეროს გენერალური მდივნის მეგობარ ქვეყანათა (აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, რუსეთი) შუამავლობით უსაფრთხოების გამომუშავების თაობაზე თბილისში გასამართი შეხვედრა, 18 სექტემბრის ნაცვლად, სავარაუდოდ, 23 სექტემბერს გაიმართება. **პრაიმ-ნიუსი**

ბედის მონახევრე ცდა

საქართველოს პარლამენტის აფხაზეთის დეპუტაცია 27 სექტემბრის თარიღთან დაკავშირებით აფხაზეთის უმაღლესი საბჭოსთვის ფინანსთა სამინისტროსგან 300 ათასი ლარის გამოყოფას ითხოვს. "აუცილებლად უნდა ვთხოვოთ ფინანსთა მინისტრს მირიან გოგიაშვილს, 300 ათასი ლარი გამოგვიყოს, რათა ღირსეულად ავღნიშნოთ ჩვენი მწუხარება და ტკივილი" - აღნიშნა კალანდიამ. **ინტერ-პრესი**

თვალსაზრისი

„აფხაზმა აფხაზი გამოაგდო!„

თემურ ლომაია საქართველოს ლტოლვილთა განსახლების მინისტრის მოადგილეა. გთავაზობთ მის თვალსაზრისს ქართველთა და აფხაზთა ურთიერთდამოკიდებულების შესახებ.

მიმაჩნია, ადამიანი იმ კუთხის წარმომადგენელი ხდება, სადაც იბადება, იზრდება და ცხოვრობს. მითუმეტეს თუ ეს თაობებს ეხება. მაგალითად რაჭაში, ან კახეთში დაბადებული და მაცხოვრებელი კაცი, მეგრული გვარიც რომ ჰქონდეს, იქაური ხდება.

აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე დაბადებული ყველა პიროვნება არის აფხაზი. ისტორიულადაც ჩვენი მეფეები იწოდებოდნენ, როგორც მეფე აფხაზთა, ქართველთა, კახთა, რანთა და ა.შ.

აფხაზი ისეთივე ქართველად მოიაზრებოდა, როგორც საქართველოს სხვა დანარჩენი კუთხის ხალხი. ანუ აფხაზი ისეთივე ქართველი იყო და არის, როგორც კახელი, სვანი, მეგრელი და ა.შ.

ჩემი აზრით, დაპირისპირება აფხაზეთის ტერიტორიაზე მოხდა, ძირითადად ქართველებსა და რუსებს შორის. ანუ რუსული ორიენტაციის აფხაზებმა, აფხაზეთიდან გადმოსულ ქართული ორიენტაციის აფხაზებთან – ქართველებთან.

აფხაზებისა და ქართველების დაყოფა რუსული და შემდეგ კომუნისტური იდეოლოგიის შედეგია. თორემ გენეტიკურად ჩვენ ერთი ვართ. ასეთია ჩემი აზრი და, ალბათ, ჩვენი ძმები აფხაზებიც გაგვიგებენ, რომ ჩვენ ერთი წარმოშობისა ვართ. სხვა სამშობლო არცერთს არ გაგვაჩნია.

ჩვენ რა უბედურება გვჭირს იცით? – ქართველებში არაქართველს ვეძებთ. როგორ შეიძლება თქვას კაცმა, რომ ცხოვრებაშვილი, თედიაშვილი ან სააკაშვილი არ არიან ქართველები, მხოლოდ იმიტომ, რომ არსებობენ ცხოვრებოვები, თედეევები, საკიანები.

ანდა, როგორ შეიძლება არაქართველი უწოდო, ვთქვათ ტრიპოლსკებს, ან ბარნოვებს, როცა მათი თაობები საქართველოში ცხოვრობენ, მათ ქართული მენტალიტეტი აქვთ, ქართულად მეტყველებენ და ქართულ საქმეს აკეთებენ.

გნებავთ პირიქით, როგორ ვუწოდებდით ქართველს, ვთქვათ, ბულატ ოკუჯავას, ჯორჯ ბალანჩინს, ან ოლეგ ბასილაშვილს, როცა თავად ისინი არ ქართველობდნენ, საქართველოში არ ცხოვრობდნენ, ქართულად არ მეტყველებდნენ და არ აზროვნებდნენ. ამიტომ გვარს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს.

"24 საათი"

ფოტოკონკურსი



საკონკურსო ფოტო №6

ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული, გაზეთი "24 საათი", ტელეფონი: 20-24-24, იკითხეთ პროექტი "თქვენი აფხაზეთი" ფაქსი: 20-24-25; YOURABKHAZIA.RUSTAVI2.COM

საამაყო სიძე

"აფხაზეთის დამოუკიდებლობის" 10 წლისთავის საზეიმო ღონისძიებებთან დაკავშირებით სოხუმის ხელისუფლებამ აფხაზეთში მიიწვია ევროპულ სამეცნიერო წრეებში ანტიქართული საქმიანობით ცნობილი ბრიტანელი პროფესორი ჯორჯ ჰიუტი, რომელიც სოხუმში აფხაზ მეუღლესთან ზაირა ბიბასთან ერთად ჩაბრძანდა.

ქართულ-აფხაზური დაპირისპირების საწყის ეტაპზე ჰიუტმა მკვეთრად ანტიქართული პოზიცია დაიკავა და 1997 წელს ლონდონში "მეგრული გრამატიკის" სახელმძღვანელოც გამოსცა.

პროფესორმა ჰიუტმა თავის ათწლიან ანტიქართულ საქმიანობაში ევროპელი მეცნიერების ნაწილის ჩართვაც შესძლო. ამ ეტაპზე მას ლონდონის უნივერსიტეტის სლავური და აღმოსავლური ენების კვლევების ცენტრის სპეციალისტი შარლოტა ბერნერი, აფხაზეთის საკითხებში ექსპერტად მიჩნეული, ამერიკელი მეცნიერისა და ცნობილი მკვლევარის რიჩარდ კლოტის ქალიშვილი რაქელ კლოტი და ინგლისელი მსახიობი აბი ხარსფოლდი ეხმარებიან. ეს უკანასკნელი სპექტაკლებში მონაწილეობით მიღებული ჰონორარით აფხაზეთში ჰუმანიტარულ პროგრამებს ახორციელებს.

აღსანიშნავია, რომ 1992-93 წლების საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ რაქელ კლოტმა აფხაზეთში ექვსი წელი გაატარა. ამჟამად იგი ოქსფორდის უნივერსიტეტის წმინდა ანტონის კოლეჯში მოღვაწეობს და აფხაზეთის რელიგიისა და კულტურის საკითხებს აქტიურად იკვლევს. **ინტერ-პრესი**

მარადისობა

ოთხშაბათს, 17 სექტემბერს, ნიუ-იორკში, ჯონ ლენონის ცნობილი სიმღერის "წარმოიდგინეთ" შესრულებით, ცნობილმა ბრიტანელმა მუსიკოსმა ელტონ ჯონმა ტურნეს დასრულება გადაწყვიტა. ელტონ ჯონი 30 წელზე მეტია, ესტრადაზე გამოდის და ამ ხნის განმავლობაში 250 მილიონზე მეტი ალბომი გაყიდა.

ბრალდება

ნიუ-იორკის ფედერალურმა ნაფიც მსაჯულთა კოლეგიამ ალ-ქაიდას ლიდერის ოსამა ბინ ლადენის ერთ-ერთი ცოლის, ჯამილა ალ-ხალდის ბრალდება დაამტკიცა. ალ-ხალდი ბრალ

აფეთქება იაპონიაში

სულ ცოტა, სამი ადამიანი დაიღუპა და 33 დაიჭრა იაპონიის ქალაქ ნაგოიში ერთ-ერთ საოფისე შენობაში მომხდარი აფეთქების დროს. როგორც შემდეგში გახდა ცნობილი, ამ შენობაში ერთ-ერთმა მოსამსახურემ, რომელიც ხელმძღვანელობასთან ურთიერთობით უკმაყოფილო იყო, მძევლად რვა ადამიანი აიყვანა და მათ დანით ემუქრებოდა. 52 წლის მძაღლადე, საკურიერო ფირმა ეიკუბინში მუშაობდა. ის ოფისში დანით და მშვილდ-ისრით შეიარაღებული შევიდა. თვითმხილველები აცხადებდნენ, რომ მან მძევლად თავისი შეფი და კიდევ შვიდი ადამიანი აიყვანა. ის მძევლების გათავისუფლების სანაცვლოდ, მისთვის კუთვნილი სამი თვის სახელფასო დავალიანების გაცემას მოითხოვდა. ამის შემდეგ, მან ოფისში ნავთი მოასხა. პოლიცია მასთან მოლაპარაკებას აწარმოებდა და მძევლების გათავისუფლებას სთხოვდა. თუმცა, ყველაფერი მაშინ დასრულდა, როცა ადგილობრივი დროით, დღის 13:00 საათზე ოფისში ძლიერი აფეთქება მოხდა. შენობა ცეცხლის ალში გაეხვა. მეხანძრეებს ორი საათი დასჭირდათ ხანძრის ჩასაქრობად. ქალაქის სახანძრო სამსახურის პირველადი მონაცემებით, დაღუპულია სამი ადამიანი. მათ შორის თავდამსხმელიც იმყოფება, თუმცა პოლიცია არ გამორიცხავს, რომ მან სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

აშშ-მ ირანს 400 მილიონი დოლარი მოსთხოვა

აშშ-ს ფედერალურმა სასამართლომ ირანის მთავრობას 400 მილიონი ამერიკული დოლარის გადახდა დააკისრა რვა ამერიკელისათვის, რომლებმაც 1997 წელს იერუსალიმში განხორციელებული ტერაქტის დროს მძიმე დაზიანებები და ჭრილობები მიიღეს. აშშ-ს საოლქო მოსამართლემ რიკარდო ურბინამ განაცხადა, რომ იერუსალიმში 6 წლის წინ განხორციელებული ტერაქტი რადიკალური დაჯგუფება "ჰამასის" მიერ იყო ორგანიზებული. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით კი, "ჰამასი" ოფიციალური ირანის მხარდაჭერით სარგებლობს, რაც მოიცავს როგორც ფინანსურ დახმარებას, ასევე ტერორისტებისათვის საწვრთნელი ბაზების გამოყოფას ირანის ტერიტორიაზე.

1997 წლის 4 სექტემბერს იერუსალიმში ერთდროულად ორი აფეთქება მოხდა, რის შედეგადაც რვა ადამიანი დაიღუპა და, დაახლოებით, 200 დაიჭრა. მათ შორის რვა ამერიკელი იყო. მათ ირანის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანეს და მიყენებული ზარალისათვის ფულადი კომპენსაცია მოითხოვეს. დაზარალებულ ამერიკელებს ამის უფლებას აშშ-ში 1996 წელს მიღებული კანონი აძლევთ, რომლის თანახმადაც აშშ-ს მოქალაქეებს უფლება აქვთ, უჩივლონ იმ სახელმწიფოებს, რომლებიც ტერორიზმის მხარდაჭერაში არიან მხილებულნი და ტერაქტებისათვის ფულადი კომპენსაცია მოითხოვონ.

ამასთან დაკავშირებით, ჯერჯერობით, უცნობია ოფიციალური ირანის პოზიცია. ცხადია, ირანის ხელისუფლება თავის ჯიბიდან ფულის გადახდაზე თანხმობას არ განაცხადებს, რაც ავტომატურად ნიშნავს იმის აღიარებას, რომ ირანი ტერორიზმს უჭერს მხარს. სავარაუდოდ, საკომპენსაციო თანხის - 400 მილიონი ამერიკული დოლარის გადახდა, ირანის გაყინული საერთაშორისო საბანკო ანგარიშებიდან მოხდება.

კალიფორნიის გუბერნატორის არჩევნები წელს ადარ ჩატარდება

ლევან ღირსიაშვილი

გრეი დევისი ბილ კლინტონთან ერთად

კალიფორნიის შტატის გუბერნატორის არჩევნებამდე, სულ რაღაც, სამი კვირა რჩებოდა, როდესაც კალიფორნიის სასამართლომ არჩევნების ჩატარება გადადო და ამის საბაბად შტატის ექვს საგრაფოში შესაბამისი საარჩევნო აღჭურვილობის არასრულყოფილება დაასახელა. ამ გადაწყვეტილებამ, შეიძლება ითქვას, სულზე მიუსწრო კალიფორნიის გუბერნატორს დემოკრატ გრეი დევისს, რომელსაც ამჯერად ხელისუფლების შენარჩუნების რეალური შანსი გაუჩნდა. როგორც ცნობილია, 7 ოქტომბერს კალიფორნიაში გუბერნატორის ვადამდელი არჩევნები იყო დანიშნული. გუბერნატორს შტატში ფინანსური სიძნელეების შექმნაში ედება ბრალი. ამჟამინდელი გუბერნატორის გადაყენების შემთხვევაში, ამომრჩევლებს ახალი გუბერნატორი იმავე დღეს უნდა აერჩიათ. აშშ-ს ყველაზე მრავალმოსახლიანი შტატის სათავეში ჩადგომის სურვილს კი 135 ადამიანი გამოთქვამდა, რომელთა შორისაც ყველაზე პოპულარული ჰოლივუდის მსახიობი არნოლდ შვარცნეგერია.

წინასწარი სოციოლოგიური გამოკითხვების თანახმად, კალიფორნიის მოქალაქეები ამჟამინდელი გუბერნატორის მიმართ საკმაოდ ნეგატიურად იყვნენ განწყობილნი. სწორედ მას სდებდნენ ბრალს იმაში, რომ ბოლო ხანებში შტატის ბიუჯეტში არსებულმა დეფიციტმა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ბიუჯეტს გადააჭარბა. ამას კალიფორნიელები საკმაოდ მწვავედ აღიქვამენ. ამიტომაც, დევისის გადარჩევაში ეჭვი არავის ეპარებოდა.

მიუხედავად ამისა, თავად გუბერნატორი და მისი მომხრეები ფარ-ხმალის დაყრას არ აპირებდნენ. ისინი ოქტომბრის არჩევნების ჩაშლას ყველაზე ამერიკული მეთოდით – სასამართლო გადაწყვეტილებით ცდილობდნენ. დევისის მომხრეები აცხადებდნენ, რომ დემოკრატიულად არჩეული გუბერნატორის გადარჩევა, დემოკრატიული ნორმებიდან გადახვევა იქნებოდა. მათ სასამართლოში, სხვადასხვა საბაბით, ათზე მეტი სარჩელი შეიტანეს. მათ შორის იყო სამოქალაქო უფლების დაცვის კავშირის მიერ შეტანილი სარჩელიც, რომელიც ამტკიცებდა, რომ შტატის ექვს საგრაფოში ხმის მიცემის მოძველებული აპარატურებია შემორჩენილი, რომლებიც პერფობარათების საშუალებით მუშაობს. სარჩელში მითითებული იყო, რომ ხმის მიცემის ასეთი ტექნიკა საკმაოდ რთულია და ეს დანადგარები საარჩევნო ბიულეტენს აფუჭებს. სამოქალაქო უფლებათა კავშირის ადვოკატი მარკ როზენბაუმი აცხადებდა, რომ თუკი ამ საგრაფოებში ეს საარჩევნო მანქანა-დანადგარები დარჩებოდა, დაახლოებით, 40 ათასი ამომრჩეველი ხმის მიცემას ვერ შეძლებდა. მათი უმრავლესობა კი ღარიბები და ეთნიკური უმცირესობები იქნებოდნენ. აღსანიშნავია, რომ ამ საგრაფოებში მდებარეობს ისეთი დიდი ქალაქები, როგორიცაა ლოს-ანჟელესი და სან–დიეგო. სამოქალაქო უფლებების დაცვის კავშირმა სარჩელი ჯერ კიდევ აგვისტოში შეიტანა. 20 აგვისტოს ფედერალურმა სასამართლომ მათი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და 7 ოქტომბერს დანიშნული არჩევნების გადაუდებლობა კიდევ ერთხელ დაადასტურა. მოსარჩელეებმა სააპელაციო სასამართლოს მიმართეს, რომელიც სან-ფრანცისკოშია განთავსებული და მოსარჩელეების მიმართ არნახული ლიბერალობით არის ცნობილი. და აი, სააპელაციო სასამართლომ მათი მოთხოვნა დააკმაყოფილა. გადაწყვეტილება ამის შესახებ დემოკრატი პრეზიდენტების – კლინტონის და კარტერის მიერ დანიშნულმა მოსამართლეებმა გამოიტანეს. სასამართლოს განჩინებით, გუბერნატორის არჩევნები მომავალი წლის ორ მარტს გაიმართება. მანამდე კი, ექვს საგრაფოში მოძველებული საარჩევნო აპარატურები უნდა გამოიცვალოს. ეს კი, როგორც აღვნიშნეთ, მოქმედი გუბერნატორის დევისის ინტერესებში შედის, რომელიც დაცემული რეიტინგის აწევას ბევრისთვის უკვე საყვარელი პრეზიდენტის, ბილ კლინტონის საშუალებით ცდილობს. დევისი უკვე რამდენიმე დღეა, ამომრჩეველთა წინაშე ბილ კლინტონთან ერთად ჩნდება.

არაფატი უნდა მოშორდეს

ვირველი გვერდიდან

მოკიდებს ხელს. მესამე გადაწყვეტილება უსაფრთხოების კედლის მშენებლობის გაგრძელება იყო.

არაფატს რომ დავუბრუნდეთ, დიდი ხნის განმავლობაში იგი გაძევებული და ყველასაგან მიტოვებული იყო. მას თავისი არაბი მეგობრებიც აღარ ელაპარაკებოდნენ. 1993 წელს ისრაელის მთავრობამ გადაწყვიტა, იგი დაებრუნებინა პალესტინაში და მოპატრობოდა, როგორც პოლიტიკურ ლიდერს. ჩვენ იმედი გვქონდა, ამდენი ხნის შემდეგ, იგი შეიგნებდა, რომ ტერორიზმით ვერაფერს მიაღწევდა. 1994-1999 წლებში ასეც იყო. ეს იყო პალესტინელი ხალხის აღმავლობის წლები.

ჩვენ პალესტინელი ხალხის საწინააღმდეგო ახლაც არაფერი გვაქვს, ჩვენ მხოლოდ მის ლიდერს ვებრძვით.

2000 წლიდან მოყოლებული, არაფატი ტერორისტთა ლიდერად იქცა.

გასულ წელს განხორციელებული "ოპერაცია ფარის" დროს, ჩვენ ვიპოვეთ დოკუმენტები მისი ხელმოწერით, რომელიც ამტკიცებდა, რომ ყველა ტერაქტის უკან სწორედ იგი იდგა.

- ნიშნავს თუ არა ეს, რომ "სამშვიდობო რუკა" წარსულს ჩაბარდა?

- არა, არავითარ შემთხვევაში. იგი კვლავ რჩება მოლაპარაკებებში მთავარ ორიენტირად. მაგრამ პალესტინელებმა, პირველ რიგში, ტერორისტული ინფრასტრუქტურა უნდა გაანადგურონ. ჩვენ ვიცით, რომ ამას დრო სჭირდება, მაგრამ პროცესის დაწყება აუცილებელია. გეგმის თანახმად, ჩვენც გვაქვს ვალდებულებები, მათ შორის ისინი, რომლებიც ებრაულ დასახლებებს უკავშირდება.

ახლა პალესტინელების მხრიდან ცეცხლის შეწყვეტა აღარ არის საკმარისი. როგორც კი დავინახავთ, რომ ახალი პალესტინელი პრემიერი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას დაიწყებს, ჩვენ მაშინვე დავიწყებთ "საგზაო რუკით" გათვალისწინებული ნაბიჯების გადადგმას.

- რას ფიქრობს ისრაელი პალესტინის ახალ პრემიერ-მინისტრზე?

- ჩვენ არ გვინდა, პალესტინელების საშინაო საქმეებში ჩავერიოთ. მათი პრემიერი და მათი პრეზიდენტი მათი საქმეა. ჩვენ ვწუხვართ, რომ ყოფილი პრემიერი გადადგა. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ მისი გადადგომის ნამდვილი მიზეზი არაფატი იყო.

რაც შეეხება ახალ პრემიერს, ჩვენ მასთან ვითანამშრომლებთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ტერორიზმის წინააღმდეგ აქტიურად იმოქმედებს

- პალესტინელები უკმაყოფილონი არიან ისრაელის მიერ უსაფრთხოების ღობის მშენებლობით. რას მატებს იგი ისრაელს?

- ეს ღობე ერთადერთი ფიზიკური დაბრკოლება იმათთვის, ვინც ისრაელში ჩვენს მოსაკლავად შემოდის. ამ ღობემ ბოლო წლების განმავლობაში ბევრი ადამიანის სიცოცხლე იხსნა. იგი რომ ბოლომდე ყოფილიყო აშენებული, ჩვენ შევძლებდით, გადაგვერჩინა ნაწილი მაინც იმ 900 ადამიანიდან, რომლებიც პალესტინურ ტერორს შეეწირნენ.

უსაფრთხოების ღობე არ არის მიმართული მშვიდობიანი პალესტინელების წინააღმდეგ.

- რამდენად დიდ საფრთხეს წარმოადგენს ისრაელისათვის "ჰამასი"?

- ორი კვირის წინ ევროკავშირმა "ჰამასი" ტერორისტული ორგანიზაციების სიაში შეიტანა. ეს ძალზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა. "ჰამასი" ძალზე დიდი ორგანიზაციაა, რომელსაც უამრავი ფული აქვს. 2000 წლიდან მოყოლებული, მათ 500 ტერაქტი განახორციელეს, რის შედეგადაც 400 ადამიანი დაიღუპა და 2500-ზე მეტი დაიჭრა.

მათ ოფისები აქვთ მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით კი - ევროპაში. ჰუმანიტარული დახმარების საფარქვეშ ისინი ევროპიდან დიდ ფინანსურ დახმარებას იღებენ.

- ეს დახმარება ცალკეული ადამიანებისაგან მოდის თუ მთავრობებისგან?

- არა მხოლოდ ცალკეული ადამიანებისაგან. მაგალითად, პარიზში მოქმედებს "ჰამასის" წარმომადგენლობა. თუ მთავრობამ ამგვარი წარმომადგენლობის გახსნა დაუშვა, ეს იმას ნიშნავს, რომ მასთან ნორმალური ურთიერთობებიც აქვს.

ევროკავშირის ხსენებული გადაწყვეტილება ნიშნავს, რომ "ჰამასს" უნდა გაუყინონ საბანკო ანგარიშები და ასევე უნდა შეზღუდონ მათი მოქმედების თავისუფლება.

"ჰამასი" ასევე დიდ მხარდაჭერას ღებულობს არაბული სახელმწიფოებიდან, განსაკუთრებით - სირიიდან.

კაბინეტის გადაწყვეტილების თანახმად, ჰამასის ლიდერის, მეთაურებისა და მებრძოლების წინააღმდეგ ჩვენ სამხედრო მეთოდებით ვიმოქმედებთ. და ამასობაში შევეცდებით, დავარწმუნოთ საერთაშორისო საზოგადოება, რომ ებრძოლოს როგორც ტერორისტებს, ისე მათ მფარველ სახელმწიფოებს, ისეთებს, როგორიცაა სირია, ან ირანი.

ჩვენ საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში ვართ პოლიტიკური თვალსაზრისით. არაფატის თავიდან მოცილების იდეამ საერთაშორისო საზოგადოების უკმაყოფილება გამოიწვია. ბევრი სახელმწიფო ცდილობს, არაფატის მოკვლა გადაგვაფიქრებინოს. თუმცა, ისრაელში სჯერათ - ეს რომ ადრე გაგვეკეთებინა, ძალიან ბევრ ადამიანს გადავარჩენდით.

- "საგზაო რუკა" გულისხმობს პალესტინის სახელმწიფოს შექმნას 2005 წელს. ეს ახლა შეუძლებელია?

- ეს პალესტინელებზეა დამოკიდებული. ჩვენი მთავარი ეროვნული მიზანი მშვიდობის მიღწევაა. ჩვენ გვსურს, გავაგრძელოთ სამშვიდობო გეგმის განხორციელება.

მაგრამ, ჩვენ ამას არ გავაკეთებთ მანამ, სანამ პალესტინელები ტერორიზმს არ აღმოფხვრიან.

ახლა არაფატმა ახალი თამაში წამოიწყო. მან განაცხადა, რომ მოელაპარაკება ყველა ტერორისტულ ორგანიზაციას, რათა კიდევ ერთხელ გამოცხადდეს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. მან საერთაშორისო საზოგადოებას სთხოვა, ამისათვის რამდენიმე დღე მისცენ.

ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მას აქვს ძალაუფლება ტერორისტულ ორგანიზაციებზე და შეუძლია ტერორიზმის შეწერება. რატომ არ გააკეთა ეს მან სამი წლის წინ?

რამდენიმე წლის წინ კემპ-დევიდში გაიმართა სამშვიდობო მოლაპარაკება ისრაელსა და პალესტინას შორის. შუამავლის როლს მაშინ კლინტონი ასრულებდა. მაშინ ბარაკმა პალესტინელებს უზარმაზარი დათმობები შესთავაზა. არაფატმა უარი თქვა. ამის შემდეგ, მან პოზიცია შეიცვალა და "ინტიფადა" დაიწყო.

ახლა კი იგი აცხადებს, რომ ცეცხლის შეწყვეტა სურს. იგი ამბობს, რომ მას კვლავინდებურად მნიშვნელოვანი როლი აკისრია. რასაკვირველია, ჩვენ მას არ ვენდობით, მაგრამ მე ძალიან ვშიშობ, რომ საერთაშორისო საზოგადოება, განსაკუთრებით, ევროპა წამოეგება მის ანკესზე.

საგარეო საქმეთა მინისტრმა სილვან შალომმა მოუწოდა საერთაშორისო თანამეგობრობას, ხელი შეუწყონ სამშვიდობო გეგმის განხორციელებას და აღიარონ, რომ არაფატი მთავარი დაბრკოლებაა მშვიდობის გზაზე.

პალესტინელებმა უნდა გაიგონ, რომ მმართველი ლიკუდის პარტია წინააღმდეგია პალესტინის დამოუკიდებლობისა, მაგრამ შარონი აცხადებს, რომ იგი ამის მომხრეა. შარონი ერთადერთი კაცია, რომელსაც ამის გაკეთება შეუძლია.

- დღეს გაერო-ს უშიშროების საბჭო იხილავს რეზოლუციას, რომელიც ისრაელს არაფატის წინააღმდეგ ზომების მიღებას უკრძალავს.

- სამწუხაროდ, თვით ამერიკამაც გვთხოვა, თავი შევიკავოთ რადიკალური ნაბიჯებისაგან, რადგან ეს, მათი აზრით, უფრო მეტ ძალადობას გამოიწვევს. ჩვენი მთავრობაც ბევრს ფიქრობდა ამ საკითხზე, მაგრამ ვფიქრობ, რომ მან სწორი გადაწყვეტილება მიიღო.

რაც შეეხება გაერო-ს გადაწყვეტილებას - ჯერ იგი არ გამოსულა, მაგრამ ვფიქრობ, რომ ჩვენგან მოითხოვენ, არაფატს ხელი არ ვახლოთ.

მე მინდა ერთ გარემოებას ხაზი გავუსვა. ისრაელის სახელმწიფო 55 წელია, რაც შეიქმნა და მას შემდეგ, ჩვენ სულ ომის მდგომარეობაში ვართ, ხან უფრო მეტად, ხან ნაკლებად. ჩვენ ახლა გვაქვს სამშვიდობო შეთანხმებები ეგვიპტესთან და იორდანიასთან, მაგრამ ეს მაინც საბოლოო მშვიდობა არ არის.

მიუხედავად ამისა, ჩვენ ავაშენეთ ძალიან ძლიერი და თანამედროვე ქვეყანა. ჩვენ ჩვენს ქვეყანას დავიცავთ.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო სახაზინო სამსახური

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ოპერატიული ინფორმაციის მიხედვით მიმდინარე წლის 8 - 12 სექტემბერის პერიოდში ცენტრალური ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯმა შეადგინა: 5 782,7 ათასი ლარი

1. ავტომატურ რეჟიმში და იძულების წესით ჩამოჭრილი თანხები - 827.2 ათასი ლარი:

- Vდისკონტი - 750.7 ათასი ლარი;
- **სასამართლო გადაწყვეტილებით ჩამოჭრილი თანხები - 76.5 ათასი ლარი;**

2. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დაცული მუხლები - 4 450.2 ათასი ლარი;

საგარეო ვალების მომსახურება (ს.ს. "თბილავიამშენი" - თურქმენეთის ვალის სანაცვლოდ შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება) - 257.8 ათასი ლარი;

საბიუჯეტო ორგანიზაციების აგვისტოს თვის შრომის ანაზრაურება - 1 712.1 ათასი ლარი:

- უმაღლესი სასწავლებლები - 600.0 ათასი ლარი;
- საერთო სასამართლოები - 412.9 ათასი ლარი;
- საქართველოს პარლამენტი (დაქვემდებარებებით) - 200.2 ათასი ლარი;
- სახელმწიფო კანცელარია (დაქვემდებარებებით) - 175.5 ათასი ლარი;
- სკოლა-ინტერნატებისა და ბავშვთა სახლები - 113.0 ათასი ლარი;
- უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრი - 90.0 ათასი ლარი;
- უზენაესი სასამართლო - 73.8 ათასი ლარი;
- ცენტრალური საარჩევნო კომისია - 24.5 ათასი ლარი;
- საკონსტიტუციო სასამართლო - 22.2 ათასი ლარი;

საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის აგვისტოს თვის შრომის ანაზღაურება (წვრთნისა და აღჭურვის ამერიკული პროგრამა) - 67.5 ათასი ლარი;

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო - 434.6 ათასი ლარი:

- ლტოლვილთა მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების ანაზღაურება - 371.0 ათასი ლარი;
- საბანკო მომსახურების პროცენტი - 32.3 ათასი ლარი;
- შიდა მიგრაციულ პროცესებთან დაკავშირებული ხარჯები - 16.3 ათასი ლარი;
- ლტოლვილთა ერთჯერადი დახმარება - 15.0 ათასი ლარი;

საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სუბსიდია (შრომის ანაზღაურება) - 568.0 ათასი ლარი;

სპეციალური ტრანსფერი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტს - 100.0 ათასი ლარი;

საქართველოს პრეზიდენტის ფონდი - 1 000.0 ათასი ლარი;

- ტრანსფერი ქ. თბილისის მერიას (თანახმად "საქართველოს 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ენერგეტიკული სექტორის დაფინანსებისათვის გათვალისწინებული ასიგნებათა შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 28 აგვისტოს N1067 განკარგულებისა, ს.ს. "თბილგაზი"-ს მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის ღირებულების დავალიანების ნაწილობრივი დაფარვისათვის) - 1 000.0 ათასი ლარი;

სახელმწიფო სარეზერვო ფონდი - 310.2 ათასი ლარი;

- სახელმწიფო კანცელარია (მივლინება) - 165.7 ათასი ლარი;
- დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტი (სხვა საქონელი და მომსახურება) - 75.0 ათასი ლარი;
- ეროვნული უშიშროების საბჭო (მივლინება) - 26.6 ათასი ლარი;
- საგარეო საქმეთა სამინისტრო (მივლინება) - 22.3 ათასი ლარი;
- სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური (მივლინება) - 9.6 ათასი ლარი;
- უშიშროების სამინისტრო (მივლინება) - 4.3 ათასი ლარი;
- შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (მივლინება) - 3.4 ათასი ლარი;
- განათლების სამინისტრო (მივლინება) - 3.3 ათასი ლარი;

3. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დანარჩენი ხარჯები - 505.3 ათასი ლარი;

" სხვა საქონელი და მომსახურება" - 295.3 ათასი ლარი;

- ცენტრალური საარჩევნო კომისია (არჩევნების დაფინანსების ფონდი) - 173.3 ათასი ლარი;
- თავდაცვის სამინისტრო - 100.0 ათასი ლარი;
- იუსტიციის სამინისტრო - 15.0 ათასი ლარი;
- საქართველოს პარლამენტთან არსებული ეროვნული ბიბლიოთეკა - 6.0 ათასი ლარი;
- დ.ს.თ.-სა და მშვიდობიანი კავკასიის საკითხთა სახელმწიფო ბიურო - 1.0 ათასი ლარი;

სამივლინებო ხარჯები - 76.0 ათასი ლარი;

- საგარეო საქმეთა სამინისტრო - 50.0 ათასი ლარი;
- სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო - 18.0 ათასი ლარი:
- საქართველოს პარლამენტი - 8.0 ათასი ლარი;

მეცნიერებათა აკადემია (ს. ჯანაშიას სახელობის სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი) - 35.0 ათასი ლარი;

- სხვა საქონელი და მომსახურება - 5.0 ათასი ლარი;
- კაპიტალური ხარჯი - 30.0 ათასი ლარი;

სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის სუბსიდია - 99.0 ათასი ლარი (მ.შ. კრწანისის სამთავრობო რეზიდენცია - 33.0 ათასი ლარი, წინანდლის სასტუმრო და დამხმარე მეურნეობის სამმართველო - 6.0 ათასი ლარი);

სულ ხარჯი: 5 782.7 ათასი ლარი

1. ავტომატურ რეჟიმში და იძულების წესით ჩამოჭრილი თანხები - 827.2 ათასი ლარი:

- **დისკონტი - 750.7 ათასი ლარი;**
- **სასამართლო გადაწყვეტილებით ჩამოჭრილი თანხები - 76.5 ათასი ლარი;**

2. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დაცული მუხლები - 4 450.2 ათასი ლარი;

3. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დანარჩენი ხარჯები - 505.3 ათასი ლარი;

- **სხვა საქონელი და მომსახურება - 300.3 ათასი ლარი;**
- **მივლინება - 76.0 ათასი ლარი;**
- **კაპიტალური ხარჯი - 30.0 ათასი ლარი;**
- **სუბსიდია - 99.0 ათასი ლარი;**

თბილისი, 380093, მ.ალექსიძის ქ. N1

ტელ/ფაქსი: 92-30-03, ელ.ფოსტა: treasury@iberiapac.ge

განვითარებადი ქვეყნების ამბოხი

უპრეცედენტო ფაქტი მოხდა კვირას კანკუნში, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის კონფერენციაზე. მსოფლიოს უღარიბესმა ქვეყნებმა, რომლებიც მდიდარი ქვეყნების წინადადებით უმაყოფილონი დარჩნენ, შეხვედრა ჩაშალეს, რითაც ანტიგლობალისტების აღტაცება დაიმსახურეს.

"სჯობს სულ არ იყოს შეთანხმება, ვიდრე ცუდი შეთანხმება დავდოთ," – განაცხადეს განვითარებადმა ქვეყნებმა. მდიდართა სამეულისაგან (აშშ, ევროკავშირი, იაპონია) ისინი სასოფლო-სამეურნეო სუბსიდიების შემცირებასა და ბაზრების გახსნას მოითხოვდნენ. განვითარებულმა ქვეყნებმა მათ მოთხოვნებს, ფაქტობრივად, უარით უპასუხეს.

ევროკავშირი უფრო შორსაც წავიდა და ღარიბ ქვეყნებს თვითონ წაუყენა მოთხოვნები. ბრიუსელი განვითარებადი ქვეყნებისაგან მოითხოვდა, რომ მათ ისევე დაეცვათ უცხოური ინვესტიციები, როგორც საკუთარი, და უფრო გამჭვირვალე და სამართლიანი გაეხადათ, რათა ევროპულ კომპანიებსაც შესძლებოდათ ტენდერებში მონაწილეობის მიღება.

ღარიბი ქვეყნები, რომლებიც ისედაც უკმაყოფილონი იყვნენ მდიდრების უკომპრომისი პოზიციით სოფლის მეურნეობის საკითხებში, ახალი საკითხების წინ წამოწევამ ისე აღაშფოთა, რომ მათ შეხვედრა ჩაშალეს.

დელეგატთა საერთო აზრით, კონფერენციის მარცხი ცუდად იმოქმედებს მსოფლიოს ეკონომიკაზე, რომელიც ისედაც არ არის კარგ დღეში.

გეგმის თანახმად, საერთაშორისო ვაჭრობის ახალ წესებზე შეთანხმებას, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრებს 2005 წლამდე უნდა მიეღწიათ. როგორც ჩანს, ამ გეგმას შესრულება არ უწერია. თუმცა, დელეგაციათა უმეტესობა იმედს გამოთქვამს, რომ მოლაპარაკებები ახლო მომავალში გაგრძელდება.

ალპინიზმი

ტრადიცია მეტს გვავალდებულებს

გურჩიანი ხელოვნურ კლდეს უტევს

გიგა გურასაშვილი

იქ, სადაც გაიზარდნენ მიხეილ ხერგიანი, ირაკლი გელდიაშვილი და სხვა სახელოვანი მეკლდეურები, არ შეიძლება, კლდეზე ცოცვა თოკს მოწყდეს. ამ სიტყვებს ხშირად გაიგონებთ ვერტიკალური სამყაროს მოტრფიალეთა შორის. მაგრამ რეალობა გვიჩვენებს, რომ ჩვენში მეკლდეურობას, ისე როგორც ბევრ სხვა რამეს, ყურადღება არ ექცევა. იმასაც ხშირად გაიგონებთ, რომ ახალი სისხლი, ახალი თაობის მოსვლაა საჭირო. თუმცა, ფაქტია: მხარდაჭერის გარეშე, ცარიელი ენთუზიაზმით, ვერაფერს გავხდებით. არადა, მეკლდეურობა ვითარდება, იმართება ჩემპიონატები, მემორიალები, მსოფლიო თასის ეტაპები... საქართველო კი მათ შორიდან უყურებს. ყველაფერ ამაზე გულისტკივილით საუბრობს კლდეზე ცოცვის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი მირზა ლიპარტელიანი, რომელსაც ორი დღის წინათ შევხვდით და ახლახან ესპანეთში გამართულ მსოფლიო თასის ეტაპზე ჩამოვუგდეთ სიტყვა:

- ჩვენი მდგომარეობიდან გამომდინარე, ისიც წარმატებად უნდა ჩავთვალოთ, რომ საერთოდ ასპარეზობა შევძელით. თუმცა, რომ არა გოგი ლიპარტელიანი და ივერი ჭელიძის ფინანსური მხარდაჭერა, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, შეჯიბრების მიღმა დავრჩებოდით.

- და მაინც, რა შედეგს მიაღწიეთ?

- ავთო ქურასბედიანი და ზაზა გურჩიანი (ლიპარტელიანი გურჩიანის მწვრთნელიც გახლავთ.-რედ.) სამეულს მიღმა კი დარჩნენ, მაგრამ მათმა ტექნიკამ დიდი მოწონება დაიმსახურა. მომდევნო ეტაპზე ორივე სპორტსმენი იტალიაში მიიწვიეს. ადგილებით კი პირველ 30-ეულში მოხვდნენ.

- ჩვენი ტრადიციების გათვალისწინებით, ალბათ, უკეთესი შედეგი უნდა ყოფილიყო...

- იმისთვის, რომ მეკლდეურს საერთაშორისო სარბიელზე ჰქონდეს წარმატებები, წელიწადში რვა-ათ საერთაშორისო ტურნირში უნდა მიიღოს მონაწილეობა. ამისთვის 10-12 ათასი დოლარია საჭირო. გარდა ამისა, კლდეზე ცოცვაშიც ბევრი რამ შეიცვალა. დღეს შეჯიბრებები, ძირითადად, ხელოვნურ კლდეებზე ტარდება. ეს კი ძვირად ღირებულ აღჭურვილობას მოითხოვს. რაკი ჩვენ ხელოვნური კლდეები არა გვაქვს, სპორტსმენები სვანურ კოშკებზე ვარჯიშობენ. მართალია, ხერგიანიც ასე ვარჯიშობდა, მაგრამ ეს მხოლოდ მოსათვლადაა კარგი. ერთი სიტყვით, სვანურ კოშკსა და ხელოვნურ კლდეებს შორის დიდი სხვაობაა. აქედან გამომდინარე, ესპანეთში მიღწეული შედეგები ამ ეტაპზე სავსებით ლოგიკურიც გახლდათ. ამასთან, ქურასბედიანი და გურჩიანი მწვრთნელის გარეშე ჩავიდნენ ესპანეთში. თანაც, ბარსელონიდან, სადაც ისინი ჩაფრინდნენ, დანიშნულების ადგილამდე რამდენიმე საათი ავტობუსით იმგზავრეს. მოკლედ, ავტობუსიდან პირდაპირ თოკში ჩაებნენ. ასე რომ, მარტო ტრადიციებით ფონს ვერ გახვალ.

- მომავალში რას აპირებთ?

- გვინდა, ოქტომბერში იტალიაში მსოფლიო თასზე გამოვიდეთ. ოქტომბრის დასაწყისში ჩატარდება მიხეილ ხერგიანის მემორიალური ტურნირი ბათუმში, რომელიც აჭარის ხელისუფლების წარმომადგენლის ვოვა ფანგანის ძალისხმევით ეწყობა. ხუთი წელიწადია, რაც ფანგანი აჭარაში ხერგიანის მემორიალს თავკაცობს და, შეძლებისდაგვარად, მხარში გვიდგას, ისევე როგორც სპორტული სკოლის "შევარდენის" ხელმძღვანელი ბერდია გუგავა, ბენო ქაშაკაშვილი, საქართველოს მთამსვლელთა ეროვნული ფედერაცია და მისი თავკაცი გივი ქართველიშვილი, რომელთანაც მიტმასნილები ვართ. ასეთი ხალხი რომ არა, ჩვენს არსებობასაც ვერავინ გაიგებდა.

ფეხბურთი

ფავორიტები გამარჯვებით იწყებენ

მათ შორის "ჩვენი" "რეინჯერსიც"

აკა ტონია

გუშინ ჩემპიონთა ლიგა დაიწყო. ოთხ ქვეჯგუფში რვა თამაში გაიმართა და ყოველი მათგანი საკმაოდ ლოგიკური შედეგით დასრულდა. სიურპრიზები გუშინ არ ყოფილა, ყველა ფავორიტმა გაიმარჯვა, მათ შორის გლაზგოს "რეინჯერსმაც", თუმცა ამისათვის მათ საკმაო ძალისხმევა დასჭირდათ.

ის, რომ "შტუტგარტის" წინააღმდეგ "რეინჯერსს" იოლი გასეირნება არ ელოდა, ალბათ ყველამ კარგად ვიცოდით. შოთა არველაძესთან ერთად, გუშინდელ მატჩში სასტარტო შემადგენლობაში გამოჩნდა ტრავმაგადატანილი ზურაბ ხიზანიშვილიც. ქართველ მცველს ალექს მაკლიშმა "რეინჯერსის" დაცვის ცენტრში მიუჩინა ადგილი. აქვე ისიც ვთქვათ, რომ ხიზანიშვილმა კარგად გაართვა თავი ამ ამოცანას. მასპინძლები მატჩის პირველივე წუთებიდან აქტიურობდნენ, თითოთითო კარგი საგოლე შანსები გაუშვეს ხელიდან ვანოლიმ და არველაძემ. შესანიშნავი იყო გერმანელთა მეკარე ჰილდებრანდი, რომელმაც ამ ეპიზოდებში სასწაულებრივად იხსნა საკუთარი გუნდი. თავდაპირველად "შტუტგარტი" საკუთარ კარს იყო მიჯაჭვული, თუმცა შემდეგ გააქტიურდა და "რეინჯერსის" კარის მიმართულებით საჯარიმო დარტყმის უფლებაც მოიპოვა. ბრაზილიელმა მცველმა მარსელო ბორდონმა 25 მეტრის დაშორებიდან ბურთი ძელს გაარტყა, ასხლეტილი ბურთი კი კევინ კურანიმ შეაგდო კლოსის კარში. ამ მომენტში ზურაბ ხიზანიშვილიც უძლური აღმოჩნდა, თუმცა მისი დადანაშაულებისაგან ალბათ თავი უნდა შეევიკავოთ, ყველაფერში ძელი იყო "დამნაშავე"...

"შტუტგარტის" ეს გოლი პირველი ტაიმის მიწურულს გავიდა. მეორე ნახევარში სტუმრები კიდევ უფრო გააქტიურდნენ და ზედიზედ რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს კლოსის კართან. რეინჯერსს აღარაფერი გამოსდიოდა. თუმცა 74-ე წუთზე, გერმანელმა კრისტიან ნერლინგერმა შეძლო ანგარიშის გათანაბრება. ალექს მაკლიში ვაბანკზე წავიდა: მოედანზე კიდევ ორი თავდამსხმელი, ლევენკრანდსი და კაპუჩო შეიყვანა მოედანზე. სწორედ პეტერ ლოვენკრანდსი აღმოჩნდა მატჩის გმირი. დანიელმა თავდამსხმელმა მატჩის 79 წუთზე, დაახლოებით 25 მეტრის დაშორებიდან ულამაზესი გოლი გაიტანა - 2:1.

შოთა არველაძეს მეორე ტაიმშიც ჰქონდა კარგი საგოლე მომენტი, თუმცა კვლავ მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა მეკარე ჰილდებრანდი. არველაძე მეკარის საჯარიმო მოედანზეც მოცელეს, თუმცა მსაჯმა ჟილ ვესიემ თერთმეტმეტრიანი არ დანიშნა. დასანანია, რომ შოთამ გოლის გატანა ვერ მოახერხა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ის ერთ-ერთი საუკეთესო იყო მოედანზე. არველაძე დაცვაშიც ხშირად ეხმარებოდა თანაგუნდელებს და თითქმის ყოველი ორთაბრძოლიდან გამარჯვებული გამოდიოდა. ის მინდვრის ყოველ მონაკვეთზე ბოლომდე ირჯებოდა და "რეინჯერსის" ამ უმნიშვნელოვანეს გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო.

ხიზანიშვილმა დაკისრებულ მოვალეობას თავი კარგად გაართვა.





E ჯგუფის მეორე მატჩში ყველაფერი თავიდანვე ნათელი იყო. "მანჩესტერ იუნაიტედმა" შანსი არ დაუტოვა ბერძნულ "პანათინაიკოსს". პოლ სქოულზისა და როი კინის არყოფნაში რაიან გიგზი ბრწყინავდა. უელსელი ნახევარმცველის ანგარიშზე ოთხი საგოლე გადაცემაა! მიქაელ სილვესტრიმ (13` და 40` წუთებზე), კუინტონ ფორჩუნმა (15`), ოლე გუნარ სოლსკიაერმა (33`) და ერიკ ჯემბა ჯემბამ (83`) შეიტანეს თავიანთი წვლილი "პანათინაიკოსის" განადგურებაში, რომელიც გუშინდელ მატჩში მეტისმეტად უსუსურად გამოიყურებოდა – 5:0.

მადრიდის "რეალი" საკუთარ მოედანზე აგებდა მარსელის "ოლიმპიკთან", მაგრამ სამეფო კლუბმა დიდიე დროგბას მიერ 26-ე წუთზე გატანილი გოლის საპასუხოდ ერთბაშად ოთხი ბურთი შეუგდოს სტუმრებს. რობერტო კარლოსმა ულამაზესი გოლით გაათანაბრა ანგარიში (29`), შემდეგ რონალდომ ორი ბურთი გაიტანა (34`, 57`), ბოლოს კი იმავე კარლოსის მიერ "დამსახურებული" პენალტი ლუიშ ფიგუმ აქცია გოლად (60`). ვან ბუიტენმა კი ანგარიშში სხვაობა ორ ბურთამდე შეამცირა – 4:2.

ინძაგის ერთადერთი გოლის ხარჯზე თავისი პირველი მატჩი მოიგო "მილანმაც", რომლის შემადგენლობაში კვლავ არ თამაშობდა კახა კალაძე. სტუმრად გაიმარჯვეს "ჩელსიმ" და "ლაციომ". ხოლო შედარებით გაწონასწორებული წყვილების მატჩები – "პარტიზანი"-"პორტო" და "ბრიუგე"-"სელტა" შესაბამისად საყაიმო ანგარიშებით დასრულდა.

ჩემპიონთა ლიგის პირველი დღე თავისი ლოგიკურობით გამოირჩეოდა. ვნახოთ, რა მოხდება დღეს საღამოს.

ინფოთეკა

ფეხბურთი. ბევრი იარა თუ ცოტა საქართველოს ნაკრების ნახევარმცველმა გიორგი ქინქლაძემ, „დეზებიან მამლებს" მიაკითხა. უცხოეთის საინფორმაციო საშუალებები აცხადებენ, რომ ქინქლაძე შეიძლება ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურში" ჩაირიცხოს. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ ამსტერდამის „აიაქსის" ყოფილი ფორვარდი, რომლის კონტრაქტს „დერბი ქაუნთთან" ყავლი გაუვიდა, „ტოტენჰემთან" მოლაპარაკებას აწარმოებს. შეგახსენებთ, რომ ქინქლაძეზე შოტლანდიური „დანდიც" აცხადებს პრეტენზიას.

■ ■ ■

ფეხბურთი. საოცარია, მაგრამ იაპონიის ქალაქ ნიიგატას კლუბი „ალბირექსი" მომავალი სეზონიდან სინგაპურის ჩემპიონატში ითამაშებს. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ამ პატარა სახელმწიფოში იმედოვნებენ, რომ იაპონელთა ეს ნაბიჯი ეროვნული ჩემპიონატისადმი ინტერესს გააღვივებს. აღსანიშნავია, რომ, „ალბირექსის" გარდა, სინგაპურის ჩემპიონატში უკვე თამაშობს ჩინეთის ერთი კლუბი „სინჩი". შარშანდელ სეზონში „სინჩი" 12-გუნდიან ჩემპიონატში მე-7 ადგილზე გავიდა.

■ ■ ■

ფეხბურთი. „ევერტონისა" და ინგლისის ნაკრების მეკარე რიჩარდ რაიტი ამ კვირაში ოპერაციას იკეთებს. „ჩარლტონთან" შეხვედრაში რაიტმა მუხლის ტრავმა მიიღო და იძულებული ლია, საოპერაციო მაგიდაზე დაწვეს. თუმცა, წინა კვირაში რაიტმა ჩააბარა ტესტი ფიზიკურ მომზადებაზე და „ნიუკასლის" წინააღმდეგაც ითამაშა.

■ ■ ■

ფეხბურთი. ლონდონის „ფულჰემის" ფორვარდმა ლუიშ ბოა მორტემ კლუბთან კონტრაქტი 2006 წლამდე გააგრძელა. „უაღრესად ბედნიერი ვარ „ფულჰემთან" კონტრაქტის გაგრძელებით", - განაცხადა ბოა მორტემ. ამასთან, ბოა მორტემ აღნიშნა, რომ გუნდში შექმნილია კარგი ატმოსფერო.

■ ■ ■

ფეხბურთი. „ბოლტონის" მცველს ფლორან ლავილს მუხლის მყესი გაუწყდა და ექვსი თვით დაისვენებს. ამის შესახებ კლუბის ხელმძღვანელობამ განაცხადა. „ეს ჩვენთვის უდიდესი დანაკლისია, თანაც, იმ რგოლში, რომელშიც ფეხბურთელები ისედაც არ გვყოფნის", - განაცხადა გუნდის მწვრთნელმა სემ ელარდაისმა.

■ ■ ■

ფეხბურთი. „ჩელსი" ყველაზე ახლოს არის იმასთან, რომ ლევერკუზენის „ბაიერის" ბრაზილიელი მცველი ლუსიუ შეიძინოს. ბრაზილიელის შეძენა იტალიურ „რომასა" და „იუვენტუსსაც" სურდათ, მაგრამ გერმანელებმა „ბებერ ქალბატონს" შეუთვალეს, ფეხბურთელს მხოლოდ მომავალ სეზონში დაგითმობთო, ხოლო „რომას" ლუსიუს" ხელფასისთვის საჭირო 2,7 მილიონი გირვანქა სტერლინგი არ აღმოაჩნდა. რომან აბრამოვიჩს კი ფულთან დაკავშირებული პრობლემები არ შეაწუხებს. პრესაში სატრანსფერო თანხასაც ასახელებენ - 14 მილიონი გირვანქა.

■ ■ ■

ჩოგბურთი. ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ გამოაქვეყნა იმ 50 ჩოგბურთელის სია, რომლებმაც წლეულს ყველაზე მეტი საპრიზო თანხა გამოიმუშავეს. ამ სიაში პირველობა ერგო ამერიკელ ენდი როდიკს. მის ანგარიშზე 2 მილიონ 705 662 დოლარია. მეორე ადგილზე ესპანელი ხუან კარლოს ფერერაა - 2.413 330, მესამე კი შვეიცარიელი როჟე ფედერერი - 2.147 580.

■ ■ ■

ჩოგბურთი. სახელგანთქმული ბელგიელი ჩოგბურთელი ჟიუსტინ ენინ-არდენი, რომელმაც წლეულს საფრანგეთისა და აშშ-ის ღია პირველობები მოიგო, მონაწილეობას არ მიიღებს ფედერაციის თასის გადამწყვეტ შეხვედრაში, რომელიც მოსკოვში გაიმართება. ჩოგბურთელმა განაცხადა, რომ მას ზურგის ტრავმა აქვს. მოსკოვში ჩასვლაზე უარი თქვა მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა კიმ კლიისტერსმაც. ფედერაციის თასის ნახევარფინალები და ფინალი რუსეთის დედაქალაქში 19-23 ნოემბერს გაიმართება.

■ ■ ■

კალათბურთი. საფრანგეთის ნაკრებისა და „დალას მავერიქსის" კალათბურთელმა ტარიკ აბდულ-ვაჰადმა განაცხადა, რომ ეროვნულ ნაკრებში აღარ ითამაშებს. ასეთი გადაწყვეტილება მან შვედეთის ევროპის პირველობაზე გუნდის უფერული თამაშის შემდეგ მიიღო. „ჩვენ მოგებას ნამდვილად არ ვიმსახურებდით, - ამბობს კალათბურთელი, - ასეთი პოტენციალის მქონე გუნდს, უბრალოდ, უფლება არა აქვს, უნიჭოდ ითამაშოს". შეგახსენებთ, რომ ვაჰადმა პირველად არ ატეხა ასეთი დებოში. 1999 წლის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ, როცა სამფეროვნებმა ასევე მეოთხე ადგილი დაიკავეს, ვაჰადმა განცხადება გააკეთა წასვლის შესახებ. მაშინ ამის მიზეზად დაასახელა რასიზმი, რომელიც, მისი თქმით, გუნდში იყო გამეფებული.

■ ■ ■

კრივი. ოსკარ დე ლა ჰოიასა და „შუგარ" შეინ მოსლის ორთაბრძოლაში Compubox-ის ცნობით, „ოქროს ბიჭუნამ" ზუსტი დარტყმების რაოდენობით 12-დან 11 რაუნდში აჯობა მეტოქეს. დე ლა ჰოიას მიერ განხორციელებულმა 221-მა დარტყმამ (616-დან) ადრესატი მოძებნა. ეს კი 36 პროცენტია შეინ მოსლის 26 პროცენტის წინააღმდეგ (127 496-დან). ამრიგად, დე ლა ჰოია რაუნდში საშუალოდ 10 დარტყმით მეტს აყენებდა მეტოქეს. მაგრამ თუ დე ლა ჰოიამ ჯებებზე დადო ფსონი (რის შედეგადაც მოსლიმ პირველად დაამარცხა იგი), შეინ მოსლიმ კორპუსში მძიმე დარტყმებზე გააკეთა აქცენტი. სპეციალისტთა დათვლით, მოსლიმ მხოლოდ მე-9 რაუნდში აჯობა მექსიკელს - 22:19. შეგახსენებთ, რომ დე ლა ჰოიამ უკვე გამოთქვა უკმაყოფილება ქულების დათვლის მექანიზმზე და ამ საკითხის გამოძიება განიზრახა.

"არსენალი" - "ინტერი" ვიერის გარეშე?

ტრავმების ეპიდემია ჩემპიონთა ლიგის მეორე დღეს

აკა ტონია

დღეს, ღამით, ჩემპიონთა ლიგის A, B, C და D ჯგუფებში განაწილებული გუნდები გათამაშებაში ჩაებმებიან. ამ კლუბების დიდ ნაწილს ტრავმირებული ფეხბურთელებით გამოწვეული უამრავი პრობლემა აწუხებთ. განსაკუთრებით საგანგაშო ვითარებაა მიუნხენის "ბაიერში", მილანის "ინტერს" კი, ალბათ, კრისტიან ვიერი გამოაკლდება.

A ჯგუფი
ბაიერნი – სელტიკი
ლიონი – ანდერლეხტი

A ჯგუფის მთავარი ფავორიტი, მიუნხენის "ბაიერნი", დღეს გლაზგოს "სელტიკს" შეხვდება. გერმანული კლუბი შინ თამაშობს და, ცხადია, ფავორიტიც არის, თუმცა... მიუნხენელებს ტრავმების ეპიდემია შეეყარათ და დღევანდელ მატჩში ბევრ წამყვან ფეხბურთელზე მოუწევთ უარის თქმა. "ჩვენს სამედიცინო განყოფილებას უამრავი საქმე აქვს. ალექსანდერ ციკლერის, სებასტიან დაისლერისა და იენს იერემიესის თამაში გამორიცხულია. მიხაელ ბალაკის, კლაუდიო პიზაროს, ზე რობერტოსა და ვილი სანიოლის თამაში კი სათუოა", - განაცხადა ოტმარ ჰიცფელდმა. გლაზგოელებს მხოლოდ ერთი დანაკლისი აქვთ - ტრავმირებულია გუნდის კაპიტანი პოლ ლამბერტი.

ამ ჯგუფის მეორე მატჩში ფრანგული "ლიონი" და ბელგიური "ანდერლეხტი" დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. პოლ ლე გუენის გუნდი საფრანგეთის ჩემპიონატის მე-11 საფეხურზეა და, ცხადია, "ლიონი" ჩემპიონთა ლიგაში შეეცდება საკუთარი თავის რეაბილიტაციას. თუმცა, ამის გაკეთება მათ ტრავმირებული კლაუდიო კასაპასა და კრისტოფ დელმოს გარეშე მოუწევთ. გამოჯანმრთელდა ბრაზილიელი ჟუნინიო, რომელმაც "ოსერთან" მატჩში მუხლი დაიზიანა. პრობლემები "ანდერლეხტსაც" აქვს. მწვრთნელი უგო ბროსი დარწმუნებული არ არის, რომ დღეს თამაშს შეძლებს მცველი ოლივიე დოლი, რომელსაც მუხლი აწუხებს.

B ჯგუფი
არსენალი – ინტერი
დინამო – ლოკომოტივი

ეჭვგარეშეა, დღევანდელი საღამოს ცენტრალური მატჩი ლონდონში, ადგილობრივ "არსენალსა" და მილანის "ინტერს" შორის გაიმართება. იტალიური კლუბის ხელმძღვანელობამ ოფიციალურად განაცხადა, რომ დღევანდელ მატჩში გუნდის საუკეთესო თავდამსხმელის კრისტიან ვიერის თამაში თითქმის გამორიცხულია. ვიერის მუხლის ტრავმა აქვს და "არსენალთან" მატჩისთვის, ალბათ, მოშუშებას ვერ მოასწრებს. კითხვის ნიშნის ქვეშ დგას ბელოზოლუ ემრესა და ანდი ვან დერ მეიდეს თამაშიც. ამ ფეხბურთელებმა სერია A-ს მატჩში "სიენას" წინააღმდეგ (1:0) მიიღეს ტრავმები. წინასწარი ინფორმაციით, გამორიცხულია ალვარო რეკობას თამაში.

სამაგიეროდ, თითქმის არავითარი პრობლემა არა აქვს "არსენალს". ტრავმირებული ფეხბურთელები ლონდონელთა რიგებში არ არიან, თუმცა, არსენ ვენგერმა გადაწყვიტა, ამ მატჩში სილვიენ ვილტორდი და ფრედრიკ ლიუნგბერგი დაასვენოს. მწვრთნელის აზრით, ისინი გადაღლილები არიან. მათ რეი პარლოუ და ედუ შეცვლიან.

ქართველი გულშემატკივრისთვის არანაკლებ საინტერესოა B ჯგუფის მეორე მატჩი. მიხეილ აშვეთიასა და მალხაზ ასათიანის "ლოკომოტივი" კიევის "დინამოს" სტუმრობს. აშვეთიას თამაში გადაწყვეტილია, ასათიანს კი სიომინი, ალბათ, ისევ არ დააყენებს სასტარტო შემადგენლობაში.

C ჯგუფი
ეინდჰოვენი – მონაკო
აეკ – დეპორტივო

ჰოლანდიური "ეინდჰოვენი" დღეს "მონაკოს" შეხვდება. გუს ჰიდინკის გუნდში რამდენიმე ფეხბურთელის საკითხი ჯერაც გაურკვეველია. შაბათს, "უტრეხტის" წინააღმდეგ გამართულ მატჩში (2:1), ტრავმა მიიღო "ეინდჰოვენის" მცველმა კასპერ ბიოგელუნდმა, რომელმაც მეორე დღის ვარჯიში გამოტოვა. ტრავმები აქვთ იურგენ კოლინსა და იოჰან ფოგელს. მათ უკვე დაიწყეს ვარჯიში, თუმცა, გამოვლენ თუ არა დღევანდელ მატჩში, ჯერაც გაურკვეველია. ჰიდინკი იმედს არ კარგავს. გუშინდელ პრესკონფერენციაზე მან განაცხადა, რომ იმედი აქვს, ტრავმირებული ფეხბურთელები დროულად გამოჯანმრთელდებიან. იქვე დაამატა, რომ მისი გუნდის მიერ "უტრეხტთან" ნაჩვენები თამაში "მონაკოს" დასამარცხებლად საკმარისი არ იქნება.

C ჯგუფის მეორე მატჩში ესპანური "დეპორტივო" ბერძნულ "აეკ"-ს სტუმრობს. ხავიერ ირურეტას გუნდს სერიოზული პრობლემები არა აქვს და, ალბათ, ფავორიტადაც უნდა მივიჩნიოთ.

D ჯგუფი
იუვენტუსი – გალათასარაი
სოსიედადი – ოლიმპიაკოსი

გასულ კვირას, იტალიის ჩემპიონატის მატჩში, "იუვენტუსის" ფრანგ ვარსკვლავს, დავიდ ტრეზეგეს "კიევოსთან" მატჩში (2:1) კუნთი დაეჭიმა და დღეს საღამოს, "გალათასარაის" წინააღმდეგ მისი თამაში გამორიცხულია. დელ პიეროს გვერდით მის ადგილს, ალბათ, მარკო დი ვაიო დაიკავებს. ისევე როგორც "იუვეს", "გალათასარაისაც" ერთი ფეხბურთელი აკლია. უმით კარანი ფეხზე გადატანილი ოპერაციის შემდეგ ჯერაც არ გამოჯანმრთელებულა. უმითის გარდა, "გალათასარაის" სხვა პრობლემებიც აქვს: თურქეთის ჩემპიონატის უკანასკნელ მატჩში "გალათასარაი" "ქონიასფორთან" დამარცხდა (0:1). ფათიხ თერიმმა განაცხადა: "თუ ჩვენ ასე გავაგრძელებთ თამაშს, "იუვენტუსი" გაგვანადგურებს".

ჩემპიონთა ლიგის დებიუტანტი, ესპანური "რეალ სოსიედადი", ბერძნულ "ოლიმპიაკოსს" მასპინძლობს და, იმის მიუხედავად, რომ ჩემპიონთა ლიგაში თამაშის გამოცდილება არა აქვს, ალბათ, მაინც ფავორიტად უნდა მივიჩნიოთ – "სოსიედადი" ხომ ესპანეთის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორია.

TV-სპორტი

ოთხშაბათი. 17 სექტემბერი

НТВ + ФУТБОЛ
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:20 ჩემპიონთა ლიგა. "რეალი" - "მარსელი"
14:55 ჩემპიონთა ლიგა. "მანჩესტერ იუნაიტედი" – "პანათინაიკოსი"
16:35 თავისუფალი დარტყმა
16:50 იტალიის ჩემპიონატი. მიმოხილვა
17:45 ჩემპიონთა ლიგა. "პარტიზანი" – "პორტუ"
19:25 FUTBOL MUNDIAL
19:55 თავისუფალი დარტყმა
20:10 სახვალიო ტელეპროგრამა
20:15 ჩემპიონთა ლიგა. "მილანი" – "აიაქსი"
22:00 გერმანიის ჩემპიონატი. მიმოხილვა
23:00 ჩემპიონთა ლიგა. "დინამო" (უკრაინა) – "ლოკომოტივი" (რუსეთი). პირდაპირი ტრანსლაცია
01:35 ჩემპიონთა ლიგა. "ბავარია" – "სელტიკი"

НТВ + СПОРТ
11:00, 14:15, 17:00, 22:15 პრესცენტრი
11:15, 22:00 "ოლიმპის შვილები"
11:20, 14:30 აერობიკა
11:45 კალათბურთი. WNBA ჩემპიონატი. ფინალი. მე-3 მატჩი
13:15 "ვარსკვლავური სამშაბათი"
15:00 "საუკუნის ათლეტები"
15:30 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. შვედეთი. ვაჟები. მატჩი მე-3 ადგილისთვის
17:15 "კეგლის დროა"
17:45 კალათბურთი. WNBA ჩემპიონატი. ფინალი. მე-3 მატჩი
19:15 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. შვედეთი. ვაჟები. ფინალი. შესვენებისას (20:00) პრესცენტრი
21:00 "ათენის გზაზე"
22:05 სახვალიო ტელეპროგრამა
22:30 "თეთრი მდინარე – 2003". მსოფლიო ჩემპიონატი რაფტინგში
23:10 "ნადირობის სეზონი"
23:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. "არსენალი" - "ინტერი". პირდაპირი ტრანსლაცია
01:30 ახალი ამბები

EUROSPORT
11:30 ექსტრემალური სპორტი
12:00 ფეხბურთი. ევროგოლები
13:30 სპიდვეი. მსოფლიო თასი დანიაში
14:30 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური ესპანეთში
15:30 კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება
17:00 ველორბოლა. ესპანეთის ტური
17:30 ველორბოლა. ესპანეთის ტური
20:30 მძლეოსნობა. 2003 წლის რჩეული
22:15 "ოლიმპიური თამაშები"
22:45 მულტისპორტი ოთხშაბათობით
23:00 გოლფი. PGA ტური. აშშ
00:00 გოლფი. ჩელენჯ ტური
00:30 აფროსნობა
01:00 ცხენოსნობა. ნაციის თასი კანადაში
02:00 ახალი ამბები
02:15 გოლფი. ჩემპიონთა ტური
03:15 სუმო. გრანდ ტურნირი (ბაშო)
04:15 ახალი ამბები

ჯადრაკი

გაფრინდაშვილის ემოციები და პრეტენზიები

მიხეილ აბაიშვილი

მსოფლიო საჭადრაკო სამყაროში დიდი პოპულარობით სარგებლობს საკლუბო ტურნირები, რომლებშიც სხვადასხვა ქვეყნის საუკეთესო მოჭადრაკეები მონაწილეობენ. საქართველოსთვის ეს შედარებით ახალი ხილია, თუმცა, ჩვენი ქვეყნის ჭადრაკის ფედერაციამ დაიწყო ზრუნვა ამ ხარვეზის გამოსასწორებლად. 2003 წლის დასაწყისში შექმნა როგორც ქალ, ისე ვაჟ მოჭადრაკეთა კლუბები, რომლებიც ამ დღეებში ევროპის საკლუბო ჩემპიონატში მიიღებენ მონაწილეობას.

მონაწილეობას ნამდვილად მიიღებენ, თუმცა, ეს საკითხი მოულოდნელად დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. პრობლემა საკმაოდ ბანალური და ქართული რეალობისთვის კარგად ნაცნობია – უფულობა. თუმცა, საბოლოოდ, ეს პრობლემაც მოიხსნა, ოღონდ სახელმწიფოს დახმარების გარეშე, მეცენატების წყალობით. საქართველოს ჭადრაკის ფედერაციამ კი, სამომავლოდ მაინც მსგავსი პრობლემებისგან თავის დაზღვევის მიზნით, გუშინ ამ საკითხს მიუძღვნა საკმაოდ ემოციური პრესკონფერენცია, რომელსაც უძღვებოდნენ ფედერაციის პრეზიდენტი ლაშა ჯანჯღავა, ვიცე-პრეზიდენტი ზურაბ აზმაიფარაშვილი, საპატიო პრეზიდენტი და თბილისის საკრებულოს წევრი, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი. პრესკონფერენციას სტუმრის სტატუსით დაესწრო თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ზაზა დოლიძე.

ზურაბ აზმაიფარაშვილი და ნონა გაფრინდაშვილი პრესკონფერენციაზე

გიორგი ბერიძის ფოტო

წლის დასაწყისში ჭადრაკის ფედერაციას სპორტის საქალაქო სამსახურისთვის წარუდგენია პროგრამა, რომლის მიხედვითაც მოჭადრაკეები ამ უწყების წლევანდელ ბიუჯეტში ჭადრაკისთვის 50 ათასი ლარის გათვალისწინებას ითხოვდნენ, რაზეც თანხმობა მიუღიათ. ჭადრაკის ფედერაცია სწორედ ამ თანხით აპირებდა მოჭადრაკეთა გუნდების ევროპის საკლუბო ჩემპიონატზე მივლინებას. მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, სამსახურის ხელმძღვანელობამ თანხა ვერ გამოძებნა და მოჭადრაკეები ცაიტნოტში აღმოჩნდნენ. ქართულ საჭადრაკო სამსახურს დიდი ძალისხმევა დასჭირდა იმისთვის, რომ ასეთ ვითარებაში ჯერ სპონსორი გამოეძებნა, შემდეგ ყველა საჭირო საბუთი მოემზადებინა და გუნდი საბერძნეთში გაეგზავნა. მოჭადრაკეებს მშვილდად მოევლინა ბადრი პატარკაციშვილი - მან უყოყმანოდ გადაურიცხა გამგზავრებისა და ტურნირში მონაწილეობისთვის საჭირო 17 ათასი ევრო.

"როცა 5-მილიონიანი ბიუჯეტი გაქვს, გაუგებარია, ისეთი სახეობისთვის, როგორიც ჭადრაკია, უმნიშვნელო თანხა ვერ გამოინახოს. თუმცა, ესეც არ არის მთავარი პრობლემა. ქალაქის სპორტის სამსახურმა თავი იმითაც კი არ შეიწუხა, რომ ადრე გავეფრთხილებინეთ შექმნილ ვითარებაზე - ჩვენს თავს თვითონვე მოვუვლიდით. კიდევ კარგი, არიან ადამიანები, რომლებიც ქართულ სპორტს უანგაროდ ეხმარებიან. ბატონი ბადრი პატარკაციშვილი დიდ საქმეს აკეთებს ჩვენი სპორტის განვითარებისთვის, რისთვისაც მთელი ქართული სპორტული საზოგადოებრიობისგან მადლობა ეკუთვნის", - ემოცია არ დაუმალავს ნონა გაფრინდაშვილს. ქალბატონმა ნონამ ისიც აღნიშნა, რომ, არაერთი მცდელობის მიუხედავად, მან ქალაქის სპორტის სამსახურის ხელმძღვანელთან დავით ჭელიძესთან შეხვედრა და შექმნილ პრობლემაზე გასაუბრება ვერ მოახერხა. ამ შემთხვევაზე პასუხისმგებლობა გაფრინდაშვილმა სწორედ ჭელიძეს დააკისრა.

"სპორტის საქალაქო სამსახურმა წლის დასაწყისში საკრებულოს წარუდგინა 2-მილიონიანი ბიუჯეტი, რომელშიც ჭადრაკის ფედერაციის მიერ მოთხოვნილი 50 ათასიც ფიგურირებდა. ჩვენი სამსახური სპორტის 50 სახეობას აფინანსებს და სოციალურ პროგრამებშიც ვმონაწილეობთ. სამწუხაროდ, 2 მილიონი ჯერ 800 ათასზე ჩამოიყვანეს, შემდეგ ეს თანხაც გაანახევრეს და დარჩა სულ 400 ათასი, სადაც ჭადრაკისთვის 15 ათასიღა იყო გათვალისწინებული. სეკვესტრი ჩვენი სურვილისგან დამოუკიდებლად განხორციელდა, რამაც ჩვენი სამსახური უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო. ჭადრაკის ფედერაციას სრულიად სამართლიანი პრეტენზიები აქვს და მის გულისტკივილს მეც ვიზიარებ, მაგრამ ამ პრეტენზიების ადრესატად ჩვენ არ გამოვდგებით", - თბილისის სპორტის საქალაქო სამსახურის პოზიცია გამოხატა ზაზა დოლიძემ.

ამბები

კაცი შავებში ქანთრიდან

ქანთრის ლეგენდარული მომღერალი ჯონი კეში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ნეშვილში. მას ჯერ დიაბეტი ტანჯავდა, შემდეგ გლაუკომა, ასთმა და პნევმონიაც დაერთო. სნეულების გამო ის ბოლო დროს გამართულ რამდენიმე ღონისძიებას გამოაკლდა. 71 წლის მუსიკოსმა საავადმყოფოს პალატიდან ადევნა თვალი MTV-ის მუსიკალური ვიდეოების დაჯილდოების ცერემონიალს, რომელზეც სიმღერა Hurt-ი მისი შესრულებით ექვს ნომინაციაზე იყო წარდგენილი.

კეში, რომელსაც მუქი ფერის სასცენო სამოსის გამო "შავოსან კაცს" ეძახდნენ, ამერიკელების რამდენიმე თაობისთვის კერპი გახლდათ. მისი პიროვნება მუდამ იდუმალებით იყო მოცული. მის შესახებ მუდამ უცნაურ ამბებს ჰყვებოდნენ. მაგალითად, ჯუნ კარტერს ის დაქორწინებამდე რამდენიმე წლით ადრე დაპირდა, ოდესმე შენ ჩემი ცოლი გახდებიო, და მართლაც მალევე მოიპოვა განქორწინება თავისი პირველი მეუღლისგან და 1968 წელს ჯუნზე იქორწინა. მას შემდეგ წყვილი მუდამ ერთად იყო. ჯუნი 2003 წლის მაისში გარდაიცვალა. ამ სამწუხარო ამბის შემდეგ კი კეშის ჯანმრთელობის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. არადა, ზუსტად ერთი წლით ადრე მისი ალბომი American IV: The Man Comes Around მთელი 30 წლის განმავლობაში კეშის ყველაზე შემოსავლიანი ალბომი გახდა.

კეში ერთადერთი მუსიკოსია, რომელიც ერთდროულად როკ-ენ-როლის, ქანთრის და სიმღერის ავტორთა დიდების დარბაზების წევრი არის. მას მოპოვებული აქვს 11 "გრემი". მის ჰიტებს კი – I Walk the Line, The Boy Named Sue და Ring of Fire (ამ სიმღერის თანაავტორია კეშის მეუღლე ჯონიც) დღემდე უამრავი მსმენელი ჰყავს.

კეშის გარდაცვალებას ელვის კოსტელო და ნიკ ქეივი გამოეხმაურნენ. "ძალიან დამწუხრებული ვარ, ჯონი შესანიშნავი ადამიანი იყო", - განაცხადა კოსტელომ, ქეივმა კი დასძინა: "მას ისეთი ღრმა და მდიდრული ხმა ჰქონდა, რომ გეგონებოდა, ჯოჯოხეთი და სამოთხე ერთმანეთს შეხვდაო".

ისევ ერთად

60-იანი წლების ლეგენდარული დუეტის "საიმონ ენდ გარფუნკელის" წევრები - პოლ საიმონი და არტ გარფანკელი აშშ-ში ერთობლივ საშემოდგომო კონცერტებს გეგმავენ. ეს არის ტრადიცია, რომელსაც მუსიკოსები დუეტის დაშლიდან 33 წლის განმავლობაში პერიოდულად იცავენ.

როგორც ცნობილია, დუეტი 1970 წელს, ალბომის Bridge Over Troubled Water-ის გამოსვლის შემდეგ დაიშალა, თუმცა საიმონი და გარფანკელი დროდადრო მაინც ჩნდებოდნენ ხოლმე ერთად სცენაზე. უკანასკნელად ეს მოხდა წელს, "გრემის" დაჯილდოების ცერემონიალზე. "ყოველ 10-12 წელიწადში ერთხელ ჩვენ ვმართავთ ხოლმე ერთობლივ კონცერტებს. ვფიქრობ, რომ ეს კონცერტები, რომელსაც შემოდგომაზე ვგეგმავთ, უკანასკნელი იქნება მათ შორის", - თქვა პოლ საიმონმა.

ტურნე სახელწოდებით "ძველი მეგობრები" 18 ოქტომბერს მიჩიგანში დაიწყება და 30 ქალაქს მოიცავს.

ჰარისონის გიტარა 434 ათას 750 დოლარად

გიტარა, რომელზეც ჯორჯ ჰარისონმა "ბითლზის" შემადგენლობაში, ლონდონში გამართულ კონცერტზე დაუკრა, ჰოლივუდის "ოდისის" აუქციონზე 434 ათას 750 დოლარად გაიყიდა. "ფენდერ ტელეკასტერის" ვარდისფერმა გიტარამ ასევე გაიელვა ჰარისონის ხელში ფილმში Let it Be. გიტარის ახალი მეპატრონე კერძო კოლექციონერია. მისი ვინაობა რასაკვირველია, ანონიმურია.

მსოფლიო პრემიერა თბილისში

ირმა ნიორაძე საქმიანი ქალის ამპლუაში

ნანა ბასილაშვილი

გუშინ, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში მაყურებლის წინაშე ახალი სასცენო პროექტით მარიას თეატრი წარსდგა. ერთმოქმედებიანი ბალეტის - "მადამ ლიონელის", მსოფლიო პრემიერები პირველად სანკტ-პეტერბურგის დიდ საკონცერტო დარბაზში, შემდეგ ლონდონის ალბერტ ჰოლში და მოსკოვის დიდ თეატრამდე, საქართველოში, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა.

კომპოზიტორების გევინ ბაიერსისა და ჯონ ადამსის მუსიკაზე შექმნილი ბალეტი, ქორეოგრაფ კირილ სიმონოვის, ბალერინა ირმა ნიორაძისა და დიზაინერ იგორ ჩაპურინის ახალი პროექტია. ერთმოქმედებიანი ბალეტი, "მადამ ლიონელი", სანკტ-პეტერბურგის 300 წლის იუბილესთან დაკავშირებით, სპეციალურად მარიას თეატრის პრიმა ბალერინის, ირმა ნიორაძისათვის შეიქმნა. მარიას თეატრის ვარსკვლავებმა (ირმა ნიორაძე, ირინა პირენი, იულია მახალინა, ილია კუზნეცოვი, იგორ ზელენსკი, ევგენი ივანჩენკო, ალექსანდრ გოროხოვიკი, გიორგი კალინინი, ანდრეი ლოპარევი, ბახტიერ სოლიევი, მარატ დავლეშტინი, ენტონ ჰოჯა), საპრემიერო სპექტაკლთან ერთად, კონცერტის მეორე განყოფილებაში სხვადასხვა ცნობილი ბალეტებიდან - "ლეგენდა სიყვარულზე", "კორსარი", "მანონი", "კარმენი", "დონ-კიხოტი", "შეჰერეზედა" - ცნობილი ფრაგმენტები წარმოადგინეს.

"მე მინდა, რომ მაყურებელს ვაჩუქო ორი ლამაზი სპექტაკლი", - კლასიკური ბალეტის მოცეკვავემ, მარიას თეატრის სოლისტმა, ირმა ნიორაძემ პარტნიორებთან ერთად, გუშინ ქართველ მაყურებელს ტრადიციულ წარმოდგენებთან (ფრაგმენტები კლასიკური ბალეტებიდან) ერთად, არატრადიციული, არაკლასიკური სპექტაკლი (რითაც ქართველი მაყურებელი ნაკლებადაა განებივრებული) წარმოუდგინა. სიახლეს თბილისელი მაყურებელი დიდი ინტერესითა და აღტაცებით შეხვდა. განსხვავებული ჟანრისა და სტილის საბალეტო წარმოდგენამ, განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა.

"მადამ ლიონელის" რეპეტიციაზე

თეიმურაზ სახილაშვილის ფოტო

"მადამ ლიონელის" სახით, მისმა ავტორებმა თანამედროვე საქმიანი ქალის ცხოვრება, მისი მრავალმხრივობა, ძალა და სინატიფე, დაძაბული ცხოვრების რიტმი და ამავე დროს ქალის დაფარული ვნებები წარმოადგინეს. მოქმედება, სცენოგრაფის იგორ ჩაპურინის (კოსტიუმების მხატვრობაც მას ეკუთვნის) მიერ შექმნილი დეკორაციის ფონზე მიმდინარეობს. "მადამ ლიონელის" სცენოგრაფი, დიზაინერი დიზაინერი, ბოლო დროს თეატრალური საზოგადოების ყურადღებას სასცენო ნამუშევრებით იპყრობს. იგი კოსტიუმებს სხვადასხვა პოპულარული სპექტაკლებისათვის ქმნის. რაც შეეხება მის ბოლო ნამუშევარს, "მადამ ლიონელის" დეკორაციაზე, თანამედროვე არქიტექტურის ნიმუშებია წარმოდგენილი, რის მიხედვითაც, იდეაში, მომავლის მოსკოვის სახეა გამოსახული, თუმცა ჩაპურინის აზრით, იგი მომავალი მსოფლიოს სახედაც შეგვიძლია მივიჩნიოთ. ჩაპურინის მიერ სპექტაკლის ქორეოგრაფია და კოსტიუმები ორგანულადაა ერთმანეთში შერწყმული. ამ ნაზავმა მას ჩვეული ჩარჩოებიდან გასვლის საშუალება მისცა.

"მადამ ლიონელის", რვა მოცეკვავესთან, ცნობილი ქორეოგრაფი კირილ სიმონოვი მუშაობდა. იგი საერთაშორისო კონკურსების Vaganova-Prix-ის და Визит в Петербург-ის ორგზის ლაურეატია. ახალგაზრდა ქორეოგრაფს ეკუთვნის "სონატა" სკარლატის მუსიკაზე, ცეკვები პულენკის ოპერისათვის "ადამიანის ხმა", მარიას თეატრის სცენაზე - "მაკნატუნა", ცეკვები ოპერისათვის "ოტელო" და ა.შ.

გევინ ბრაიერსი და ჯონ ადამსი, რომელთა მუსიკაზეც შეიქმნა "მადამ ლიონელი", მუსიკალურ სამყაროში მინიმალიზმის წარმომადგენლებად არიან მიჩნეულნი, თუმცა ჯონ ადამსის აზრით მისი მუსიკა, არც ერთ მიმდინარეობას არ განეკუთვნება.

"ჟიზელის", "დონ-კიხოტის", და სხვა მრავალი კლასიკური ბალეტების ვირტუოზულმა შემსრულებელმა, პრიმა ბალერინამ ირმა ნიორაძემ, არაკლასიკური და ავანგარდული ჟანრის სპექტაკლში, განუმეორებელი შესრულებით, თავისი სიტყვა თქვა. "მადამ ლიონელში" თანამედროვე საქმიანი ქალის ცხოვრება მან საოცრად რომანტიკულად და ამავე დროს დრამატულად განასახიერა. მადამ ლიონელში შეყვარებულ კლერკს მარიას თეატრის მოცეკვავე, ილია კუზნეცოვი ასრულებს. "მე ვცდილობ ლიონელის ქალური ხაზის გაღვივებას, ბიზნესმენი ქალისა, რომელიც საქმიანი იმიჯისა და დაძაბული ცხოვრების მიუხედავად, მაინც ნაზ არსებად რჩება. ეს არის ჩვენი დროისათვის არაორდინალური და აქტუალური სპექტაკლი. ვფიქრობ ქართველ მაყურებელს მოვეწონეთ, რადგანაც ჩვენ ცუდად არ ვცეკვავთ", - ამბობს ილია კუზნეცოვი. მისივე თქმით, "მადამ ლიონელმა", ლონდონის ალბერტ ჰოლში, 6 ათასი მაყურებლის ოვაცია და ტაში დაიმსახურა.

მარიას თეატრის გასტროლი, "მადამ ლიონელის" ერთ-ერთი მსოფლიო, თბილისური პრემიერა, რიცხობრივად ნაკლები მაყურებელით, მაგრამ არანაკლები ოვაციით დასრულდა.

ვოლონური კინემატოგრაფი კინოს სახლში

სალომე კიკალეიშვილი

ქართველი მაყურებელი, არც ისე განებივრებულია ნამდვილი კინემატოგრაფით. ისე კი რა არის ნამდვილი კინო? ალბათ ის, რასაც ეიზენშტეინის, ფელინის, ჩაპლინის კინო ჰქვია. ანუ ის, რაც დროთა განმავლობაში არათუ ძველდება, არამედ პირიქით, ახალ სიცოცხლეს იძენს. კინო ზოგისთვის გართობის, დროის გაყვანის კარგი საშუალებაა, ზოგისთვის კი ლამის სულიერი საზრდოს ტოლფასია. მაგრამ დამეთანხმებით ძნელია, ასე ვთქვათ "ისაზრდოვო" იმ კინოთი, რომელსაც დღეს ტელეეკრანები მასიურად გვთავაზობენ. გუშინდლიდან 20 სექტემბრის ჩათვლით, კინოს სახლი ახალ, საინტერესო პროექტს, კერძოდ კი პოლონური ფილმების რეტროსპექტივას გვთავაზობს. ვფიქრობ ზოგადად, ქართველი მაყურებლისთვის პოლონური კინო ზანუსის, კიშლოვსკის და ანჯეი ვაიდას სახელებით შემოიფარგლება. დღეიდან კი კინოს სახლი საშუალებას გაძლევთ ისეთ სახელებსაც გაეცნოთ, როგორებიც ურბანსკი, მორგენშტერნი, გლინსკი, კოლსკი და ფალკია. მართალია, პოლონური ფილმების ამ კვირეულში, ყოველი ზემოთ ჩამოთვლილი რეჟისორის მხოლოდ თითო ნამუშევარი იქნება წარმოდგენილი, მაგრამ ვფიქრობ ეს მოგვცემს იმის საშუალებას, რომ ზოგადად მაინც გავეცნოთ ამ რეჟისორებს და გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნას ბოლო წლების პოლონურ კინემატოგრაფზე.

როგორც კინო სახლის დირექტორმა, ბატონმა არჩილ შუბაშვილმა განაცხადა ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც კინოს სახლი, პოლონური ფილმების რეტროსპექტივას გვთავაზობს. ორგანიზატორებმა და პროექტის ინიციატორებმა – პოლონეთის საელჩომ, და საქართველოში არსებულმა პოლონეთის დიასპორამ, საგანგებოდ შეარჩია ქართველი მაყურებლისათვის სწორედ ის ფილმები, რომლებიც პოლონეთში, ბოლო ათწლეულის საუკეთესო ნამუშევრებად დასახელდა.

გუშინ აჩვენეს არტურ ურბანსკის 2001 წელს გადაღებული ფილმი Belissima; ოჯახურ ურთიერთობებზე აგებულმა ფილმმა, პოლონეთის საერთაშორისო კინოფესტივალზე მთავარი პრიზი აიღო როგორც საუკეთესო რეჟისორულმა ნამუშევარმა, ხოლო კანში პრიზით დაჯილდოდა ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის.

დღეს მაყურებელი იხილავს, იანუშ მორგენშტერნის "ყვითელ მანდილს" (2000). სწორედ იმ რეჟისორის ფილმს, რომელმაც კინოში მოღვაწეობა 60-ან წლებში დაიწყო და ასისტენტად მუშაობდა ისეთ დიდ პოლონელ რეჟისორებთან, როგორებიც იაკუბოვსკი და ვაიდა არიან. იანუშს ძალზედ დიდი წვლილი მიუძღვის პოლონური სატელევიზიო კინოს განვითარებაში.

18 სექტემბერს წარმოდგენილი იქნება რობერტ გლინსკის "სალამი ტერესკა" (2001). ფილმი, რომელიც კანის საერთაშორისო კინოფესტივალზე, კრიტიკის მთავარი პრიზით -ფიპრესით დაჯილდოდა. მხატვრულ-დოკუმენტურ სტილში გადაღებული შავთეთრი ფილმი, სადაც არასტატიური, მოძრავი კამერა გარკვეული დისტანციიდან "აფიქსირებს" არაპროფესიონალ მსახიობებს, მოზარდთა რთულ პერიოდზე, არეულ ოჯახზე, და 13 წლის ტერესკას ცხოვრებაზე მოგვითხრობს.

19 სექტემბერს აჩვენებენ იან იაკობ კოლსკის ფილმს "შორს დაიჭირე, თავი ფანჯრისგან" (2000), სადაც ნამდვილ ამბავზე აგებული პიროვნული დრამა, წარმოდგენილია უფრო ღრმა, საზოგადო ტრაგედიის ფონზე. კერძოდ კი ფილმი, გერმანელი ნაცისტების მიერ ოკუპირებულ პოლონეთის ერთ-ერთ ქალაქში, ერთ-ერთ ოჯახში განვითარებულ დრამატულ სიუჟეტს ასახავს. ფილმს რამოდენიმე პრიზი აქვს მიღებული, პოლონეთის კინოფესტივალზე საუკეთესო მსახიობი კაცის და საოპერატორო ნამუშევარის ნომინაციაში.

და ბოლოს, 20 სექტემბერს რეჟისორი, დრამატურგი და მხატვარი ფელიქს ფალკი წარმოადგენს 1995 წელს გადაღებულ ფილმს "შორს ერთმანეთისგან". პოლონური ფილმების ჩვენება, კინოს სახლში საღამოს 18:30 წუთზე გაიმართება. დასწრება უფასოა.

ნიუ იორკი ივრითითაა გადახურული

ნინო ჭანიშვილი

ვიქტორია & ალბერტის და დენვერის მუზეუმები.

ვისაც ცოტათი მაინც აინტერესებს თანამედროვე მსოფლიოს არქიტექტურა აუცილებლად ექნებოდა გაგონილი დანიელ ლიბესკინდის სახელი. ბოლო რამდენიმე წელია იგი დასავლეთის არქიტექტორთა და კრიტიკოსთა მუდმივი ყურადღების ცენტრშია. მის არქიტექტორულ შესაძლებლობებში და არნახულ ნოვაციებში ეჭვი არავის ეპარებოდა, მაგრამ მას შემდეგ რაც ლიბესკინდმა მსოფლიო სავაჭრო ცენტრის (WTC) რეკონსტრუქციის კონსკურსში გაიმარჯვა, არქიტექტურით ნაკლებად დაინტერესებული ადამიანებისთვისაც უზომოდ პოპულარული გახდა. ლიბესკინდი დღეში ასეულობით თუ არა, ათეულობით წერილს მაინც იღებს მხოლოდ 11 სექტემბერს დაღუპული ადამიანების ოჯახებიდან. ზოგიერთები მაგალითად, სთხოვენ, რომ ისეთი შენობა ააშენოს, რომელიც არასდროს დაიწვება.

სანამ 11 სექტემბრის ტერაქტი მოხდებოდა, დანიელ ლიბესკინდის ყველაზე ცნობილ ნამუშევრად 1999 წელს ბერლინში აშენებული "ებრაელთა მუზეუმი" ითვლებოდა. ეს მუზეუმი ჰოლოკოსტს ეძღვნება. მთელი შენობა გარეთ თუ შიგნით თავისი ფორმებით აფეთქების შთაბეჭდილებას ტოვებს. მოულოდნელი სივრცეები, დახრილი იატაკები, აყირავებული ჭერი მნახველს აბნევს. ორიენტაციადაკარგულ დამთვალიერებელს თავად მუზეუმი უძღვება თავის მონუმენტურ ლაბირინთებში. ლიბესკინდის არქიტექტურაში ყველაფერი მოულოდნელია. "ებრაულ მუზეუმში" უეცრად ბეტონის კოშკი აღიმართება ყოველგვარი ფანჯრების გარეშე, რაც ჰოლოკოსტს განასახიერებს, 48 ფერადოვანი სვეტი – ისრაელის დაარსების თარიღს. მუზეუმის 10 ათასი კვადრატული მეტრი ლიბესკინდის ემოციური და ინტელექტუალური მხატვრული სახეებითაა გადაჭედილი.

როცა 11 სექტემბრის ამბავი მოხდა, თითქმის ორ კვირაში, მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი არქიტექტორი სერ ნორმან ფოსტერი სეროზულად შეუდგა WTC-ს რეკონსტრუქციის პროექტზე მუშაობას. ნორმან ფოსტერი ნიუ იორკს სთავაზობდა მთელი მანჰეტენის ქალაქგეგმარებით რეკონსტრუქციას. ფოსტერის პროექტი ნამდვილი სამოთხე იქნებოდა ინვესტორებისთვის. გარდა ამისა, ტყუპების ადგილას ბრიტანელი არქიტექტორი აშენებდა ორ ცათამბჯენს შემდეგი პრინციპით - "ზევით აღარსად, ტექნოლოგიურად აღარსად", რაც ამერიკული ოცნების ახალ ტრიუმფად იქცეოდა.

მაგრამ ეს ყველაფერი კონკურსის ჟიურიმ არად ჩააგდო და არჩევანი ლიბესკინდის სასარგებლოდ გაკეთდა. დანიელ ლიბესკინდისთვის - ტრაგედიული არქიტექტურის აღიარებული ოსტატისთვის (აშენებული აქვს ჰოლოკოსტისთვის მიძღვნილი სამი მუზეუმი), WTC-ს რეკონსტრუქციისას სიკვდილის და მსხვერპლის თემა ყველაზე ახლოს გამოდგა.

გუშინ, ბერლინში მის მიერვე აგებულ "ებრაულ მუზეუმში" გრანდიოზული გამოფენა გაიხსნა სახელწოდებით - "კონტრაპუნქტი: დანიელ ლიბესკინდის არქიტექტურა". იგივე სახელწოდების გამოფენა ლონდონის უმსხვილეს ხელოვნების ცენტრში "ბარბიკანშიც" გაიხსნა. ამ გამოფენებზე დანიელ ლიბესკინდის 40 არქიტექტორული პროექტის წარმოსაჩენად უამრავი მოდელი, გეგმა, ჩანახატი და ფილმი იქნება ნაჩვენები. მათ შორის "გრაუნდ ზიროს" პროექტს პირველად იხილავენ გერმანელები. უკვე ცნობილ ნაგებობებთან ერთად წარმოდგენილი იქნება მისი ახალი პროექტები - ვიქტორია & ალბერტ მუზეუმის გაფართოება, საკონცერტო დარბაზი ბრემენში და სხვები.

ლიბესკინდთან მიმართებაში ყოველთვის ამბობენ, რომ ის დეკონსტრუქტივისტია, რაც სულაც არ ნიშნავს ნგრევას. აქ იგულისხმება რეკონსტრუქცია - ნგრევა და შენება ერთდროულად. ლიბესკინდის პროექტი ვიქტორია & ალბერტ მუზეუმის გაფართოებისა, რომელიც 2006 წლისთვის დასრულდება, თავის უჩვეულო არქიტექტურით კიდევ უფრო გაამდიდრებს ლონდონის ისტორიულ გარემოს.

ამჟამად ლიბესკინდი ნიუ იორკში ცხოვრობს. აქ მეუღლესთან და ქალიშვილთან ერთად მას შემდეგ გადაბარგდა, რაც კონკურსში გაიმარჯვა. მანამდე კი წარმოშობით პოლონელი ებრაელი ისრაელსა და გერმანიაში ცხოვრობდა. მუსიკალური განათლების მქონე ლიბესკინდს საშინლად არ უყვარს რიჰარდ ვაგნერი, თუმცა მაინც გააფორმა 2001 წელს ვაგნერის "ტრისტანი და იზოლდა". თანაც საარბრუკენის იმ თეატრში, რომელიც ნაცისტების მიერაა აშენებული.

რაც შეეხება მის ფესვებს და მემორიალურ კომპლექს რომელიც ნიუ იორკში აშენდება, მან შემდეგი განუცხადა გაზეთ "ნიუ იორკერის" ჟურნალისტს: "ეს ის ენაა, რომელიც მთლიანობას მანიჭებს და რაც 6 მილიონ მოკლულ ებრაელთან მაკავშირებს. იდიშური კულტურა ამ ქალაქის საფუძველში ჩაიდება, რადგან იდიშური კულტურის აღორძინება ნიუ იორკის აღდგენის ნაწილი არის. ნიუ იორკი ოპტიმისტური ქალაქია, ემოციებისა და ინტელექტის დედაქალაქი".

ერთი საღამოს ამბავი

დიზელის ერთი კუთხე რენტგენის განათებით.

ზაზა ბესელიას ფოტო

ანა კორძაია-სამადაშვილი

მართალია, წვეულებაზე თერთმეტი საათისთვის დაგვპატიჟეს, თბილისური ტრადიციების გათვალისწინებით, დროზე მისვლით თავი არ აგვიტკიებია, და ელენე ახვლედიანის ქუჩაზე, ანუ პეროვსკაიაზე, "დიზელის" წინ, უკვე პატარა ბრბო დაგვხვდა ჩამომდგარი. ეს ფაქტი ძალიან მესიამოვნა, რადგან პერსოვსკაიას ბარებისა და რესტორნების სიმრავლეში "დიზელის" ძებნა საკმაოდ რთულ საქმედ მესახებოდა. სიმართლე რომ გითხრათ, ვერც კი წარმომედგინა, სადღა შეიძლებოდა ამ ქუჩაზე, რომელსაც ერთი პატივსაცემი ქალბატონი თბილისის პლას პიგალს უწოდებს, ისეთი სივრცის გამონახვა, სადაც ცეკვასაც შევძლებდით - ამას ჩვენი მასპინძელი, მადრასელი, უკანასკნელი წლების განმავლობაში კი უკვე თბილისელი ინდოელი, ფაიაზი დაგვპირდა.

ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ფაქტია: "დიზელის" პაწაწინა სივრცეში სამი დარბაზია განლაგებული, სამ სართულად. თუკი ქვევით ჩახვალთ (ფრთხილად! უცნაური კიბეა, ციცაბო და ძალიან მაღალი საფეხურებით), პატარა დარბაზში ამოჰყოფთ თავს. შესვლისას გვითხრეს, მთავარი ამბავი იქ ტრიალებსო, და ჩვენც დავეშვით.

იქ დაგვხვდა ბუღი, დრამენდ-ბეისი, რომელიც ბაბად ცნობილი დიჯეის, ალბერტის დამსახურება, სათანადო განათება, რომელსაც თურმე ვინმე სერგეის უნდა ვუმადლოდეთ - მოკლედ, ყველაფერი საუკეთესო იმისთვის, რომ იცეკვო, მეტს მაინც ვერაფერს იზამ. მაგრამ სტუმრები არ ცეკვავდნენ და ცეკვაზე თავი არც მე დამიდვია. ერთ კედელთან რამდენიმე მამაკაცი იყო ატუზული, და კარგა ხნის შემდეგ მივხვდი, რომ საღამოს საპატიო სტუმარს, მამუკა ბერიკას შევცქეროდი. ეს ამბავი რატომღაც ძალიან გამიხარდა, და უკვე გახარებულმა განვიზრახე დანარჩენი "დიზელის" ათვისებაც.

ზევით კიდევ ერთი სიხარული მელოდა – დიდი ხნის უნახავი ფოტოხელოვანი ვატო წერეთელი და მისი მშვენიერი მეუღლე, ინგრიდ დეხრავე. ავედით დარბაზში, რომლის კედლებსაც პირადად ჩემთვის გულის გასახეთქი, მაგრამ აქ რატომღაც ლამაზი რენტგენის ფირები და კონსერვატიულ თბილისელთათვის გასაბრაზებელი ხასიათის ნეგატივები ამშვენებდა. ჩამოვსხედით, მამასისხლად "ჰაინეკენი" ვიყიდეთ და ხმამაღალი მუსიკის მიუხედავად, ათას რამეზე ვისაუბრეთ და ჩინებულად გავატარეთ საღამო. იქვე ლაშა ბაქრაძემ სამი კვირის განმავლობაში საქართველოში მყოფ ვინმე პალომასთან ლაშასავე გერმანულ-ქართულ სასაუბროზეც იბაასა – მოკლედ, კულტურათა დიალოგიც შედგა.

მშვენიერი ადგილი ყოფილა ეს "დიზელი".

მადონას გლობალური პრეზენტაცია

მადონა ახალი წიგნით.

"კლიშეებს თავი ვერ დააღწია, თუმცა, ზღაპარი მაინც კარგი გამოუვიდა" – ასე აფასებდნენ კრიტიკოსები მადონას პირველ საბავშვო ნაწარმოებს - "ინგლსური ვარდები", რომლის პრეზენტაციას ერთდროულად ასამდე ქვეყანაში გაიმართა. თავად ავტორი ჯერ ლონდონში გამართულ ღონისძიებას დაესწრო, შემდეგ პარიზში გადაფრინდა და ბოლოს ამერიკაში წასვლასაც გეგმავდა. ხვალ კი ოფრა უინფრის შოუში აპირებს მონაწილეობის მიღებას.

წიგნის თითოეული პრეზენტაცია შოუს ელემენტებს შეიცავდა, დედას ყვავილების ულამაზეს თაიგულს პატარა ქალიშვილი, ლოლა ჩუქნიდა, იქვე იდგა წიგნის 32-ივე გამომცემელი და მწერალს გამარჯვებას ულოცავდა.

სხვათა შორის, მადონა სულაც არ გრძნობდა თავს უხერხულად ახალ ამპლუაში – მას ხომ მკითხველებისთვის ავტოგრაფების გაცემა უხდებოდა. მეტიც, ის ყოველი ნათქვამი ფრაზით ამტკიცებდა, რომ "მატერიალური გოგონას" იმიჯზე უკვე დიდი ხანია, უარი თქვა. "ბავშვებისთვის წერა არც პოპ-დედოფლის სტატუსს შეედრება და არც მუსიკალურ ჩარტებში პირველობას. მივხვდი, რომ წიგნზე მუშაობა ყველა შემოქმედებით საქმიანობას შორის ყველაზე სასიამოვნოა", - აცხადებდა ის.

უნდა ითქვას, რომ "ინგლისური ვარდები" მადონას სალიტერატურო დებიუტიცაა, თუ არ ჩავთვლით მის 1992 წელს გამოცემულ ფოტო-ესეის სათაურით "სექსი". ამ წიგნის შესახებ მადონა ამბობს: "სექსი" მხოლოდ საკუთარ თავს მივუძღვენი, ამით თითქოს ვიხვეწებოდი: "ჰეი, მომაქციეთ ყურადღება, შემხედეთ! ეს კი ძალიან განსხვავდება ჩემი ახალი გამოცემისგან. საბავშვო წიგნების წერით, იმედი მაქვს, რომ ბავშვებს საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებას გავუზიარებ, სიბრძნეს ვასწავლი".

მადონა ასევე აცხადებს, რომ მისი ახალი წიგნი მეგობრობაზეა, ის ოთხი გოგონას ამბავს მოგვითხრობს. შემდეგ სერიებში მადონა აპირებს ერთმანეთზე ზრუნვის, შეცდომების აღიარების, პასუხისმგებლობის თემებს შეეხოს. "დედამიწაზე სიცოცხლისთვის ერთადერთი მამომძრავებელი ძალა არსებობს. როდესაც მისი არსებობა გვავიწყდება, სწორედ მაშინ ვუშვებთ შეცდომებს, მაშინ ვამყარებთ ქაოსს და საკუთარ თავსაც და სხვებსაც ვტანჯავთ. თითოეული ჩემი მოთხრობა სწორედ ამ პროცესს ეხება – მინდა ბავშვებს ვასწავლო როგორ შორდება ადამიანი ღმერთს". ამ იდეის წიგნში გადატანა მადონას მას შემდეგ მოუვიდა აზრად, რაც ებრაულ რელიგიურ სწავლებებს გაეცნო.

48-გვერდიანი "ინგლისური ვარდები" პრეზენტაციიდან რამდენიმე საათში "ამაზონის" გაყიდული წიგნების ჩამონათვალში უკვე მერვე ადგილზე იმყოფებოდა. იმასაც ამბობენ, რომ საგამომცემლო ისტორიაში ეს ყველაზე გრანდიოზული, მრავალენობრივი გამოცემაა.

TV პროგრამა
17 სექტემბერი

რუსთავი - 2

07.00 დილა მშვიდობისა **07.10** სერიალი „პანწინა ონავრები“ **09.40** სერიალი „ასულ ტეკილა“ **10.20** დღ. ფილმი „გურმანთა მეგზური“ **11.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი „სასტიკი ანგელოზი“ **13.30** მხ. ფილმი **15.20** ჩემპიონთა ლიგა. „რეალი“-“ოლიმპიკი“ **17.30** სერიალი „პანწინა ონავრები“ **18.00, 21.00, 01.50** კურიერი **18.25** სერიალი „მაშველები“ **19.10** თ. ჩაგელიშვილის გადაცემა „საქართველო უახლესი ისტორია“ **19.50** სერიალი „სასტიკი ანგელოზი“ **22.00** სერიალი „სოპრანოს კლანი“ **22.50** ღამის კურიერი **23.45** ჩემპიონთა ლიგა. „არსენალი“-“ინტერი“ **02.00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.

პირველი არხი

07.30 ალიონი **09.40** მულტსერიალი „კიტუ“ **10.10** მხ. ფილმი „მადმუაზელი“ **11.25** ქართული ენის გაკვეთილი **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი „ეშმაკუნა“ **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05, 15.15** ჩოგბურთელ ქალთა საერთ. ტურნირი **17.10** 50-50 **17.45** მულტსერიალი „კიტუ“ **18.00** „ვესტნიკი“ **18.25** ტელესერიალი „ეშმაკუნა“ **19.15** ენერგია **19.40** ბასტი-ბუბუ **21.00** ტელეთამაში „იმღერე რამე“ **21.30** ავიაშოუ **21.45** „მათი შვილები“ **22.30** რა ხდება **00.00** მხ. ფილმი „საუკეთესო საუკეთესოთა შორის-2“.

პირველი სტერეო

08.00 მუსიკა **09.00** ტროროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი „დოქტორ მამფორდი“ მთ. რ-ში ჰოუპ დევისი, ლორენ დინი. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** პროფათეული **22.35** პაპარაცი **23.00** სოლო **00.00** „ბრავო“ „თვალი“. მთ.რ-ში ანჯელიკა ლი, ლოურენს ჩუ. **02.00** „ღამური“ „ფრენსისი“ მთ. რ-ში ჯეკისკა ლანგი, სემ შიპარდი. **03.00** პაუზის გარეშე .

მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამბე“ მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.30** მხ. ფილმი „მიზანი - დედამინა“ **21.00** და არს მუსიკა **21.30** ჩვენი მისამართია **22.10** მხ. ფილმი „საუკეთესო საუკეთესოთა შორის“.

კავკასია

12.00 მხ. ფილმი „შერკინება“ **14.30** მხ. ფილმი „სასიკვდილო იარაღი“ **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ **17.15** მულტფილმი „შრეკი“ **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი „პერლ ჰარბორი“ **23.30** მუსიკა .

იბერია

08.00 ანონსი, აღსავალი **08.05** დიალოგი **10.30** ბურთი და მოედანი **11.00** სერიალი „სანჯარო პოლიცია“ **12.50, 14.50, 19.30, 23.30** მუსიკა **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10, 17.30** მულტსერიალი „კაპიტანი სიმიანი და კოსმიური მაიმუნები“ **13.30, 18.00** დოკ. ფილმი **15.15** მხ. ფილმი „დენთის კასრი“ **18.45** ბუნების ფერები **19.45** გადაცემა - მურადა **20.00** დრკ. ფილმი **21.00** მხ. ფილმი „სანჯარო პოლიცია“ **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მხ. ფილმი „კუბა“ **01.05** მუსიკა.

მეცხრე არხი

08.00 პროგრამა „დილა“ **10.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **10.10** მულტსერიალი „კონკია“ **10.35** სერიალი „პატარა აინშტაინები“ **11.10** სერიალი „ინდიგოს მინა“ **12.00** „ცხელი ცხრიანი“ **12.50** მხ. ფილმი „სიცოცხლის წყურვილი“ **14.20** „ტელეთეატრი“ (განმ.) **14.50** „ევროპის სტადიონებზე“ **15.20, 17.50, 18.50, 19.50, 20.20** მუსიკა **15.30** მხ. სერიალი „გამანადგურებლები“ **16.30** დრკ. სერიალი „ზღვარზე“ **17.00** მხ. სერიალი „სამოდელო სკოლა“ **18.00** მულტსერიალი „კონკია“ **18.30** სერიალი „პატარა აინშტაინები“ **19.00** სერიალი „ინდიგოს მინა“ **20.00** „ევროპის სტადიონებზე“ **21.15** სერიალი „გამანადგურებლები“ **22.05** მხ.ფილმი „გრძელი შაბათ-კვირა“ **23.30** კინოგადაცემა „ნუმერატორი“ **00.30** მხ. ფილმი „პოპკალიფსი დღეს“.

იმედი

07.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00 ქრონიკა **07.15, 09.00, 13.15, 17.20, 01.20** იმედის მელოდიები **07.45** „იმედის“ დილა **09.30** სერიალი „იუდას ქალი“ **10.30** ლარის მაზე **11.05** თამაში „ბოიარის ციხესიმაგრე“ **12.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00** ქრონიკა **12.10** სერიალი „ჩამსხვრეული ლამპიონების ქუჩები“ **13.30** სერიალი „უკიდურესი ზღვარი“ **14.05** სერიალი „ამაზონია“ **15.15** მხ. ფილმი „გადამწყვეტი მომენტი“ **17.00, 18.00, 19.00, 22.00, 01.05** ქრონიკა **17.30** „მოლამები“ **18.05** სერიალი „იუდას ქალი“ **19.20** სერიალი „ჩამსხვრეული ლამპიონების ქუჩები“ **20.15** არტ-ბულევარი **20.40** „დროებითი ზღვარი“ **23.15** ფანების კინოკლუბი „ოტელი „ნიუჰემშირი“.

აჭარა

08.00, 14.00, 18.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი **08.40** დოკუმენტური ფილმი **09.00, 12.00** საინფორმაციო გამოშვება „დღეს“ **09.10, 12.10, 16.10** საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი“ **09.20** ისტორიული ფილმი „მეფე ჰენრიხ „ **11.30** მუსიკა **12.20** თრილერი „ტალღის ქიმზე“ **14.25** მხატვრული ფილმი „შაოლინის ტაძარი“ **16.00** საინფორმაციო გამოშვება **16.20** მულტფილმი „პრინცესა გედი“ **17.30, 18.05** „ქართული კინო“ (ავტორი ზ.ცინცაძილაძე) **19.00, 22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება „დღეს“ **19.15, 22.30, 00.20** საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი“ **19.30** მუსიკა **19.55** დრამა „შემოდგომის ლეგენდები“ **23.00** „ზ.თ“ (ავტორი: ვ. ჩხარტიშვილი) **23.10** დოკუმენტური ფილმი **00.45** საინფორმაციო გამოშვება უცხო ენებზე **01.00** თრილერი „ბრიგადა“ 13 ს. **02.10** დოკუმენტური ფილმი **03.40** ვესთერნი „ომი ველურ დასავლეთში“.

VII არხი

09.10 მელოდია **09.20** „აჩიკუდა“ **09.35** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **10.00** სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი“ - ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა (განმეორებით) **10.30** კომპიუტერული ტექნიკა **11.00** მელოდია **11.15** მობილურები **12.05** ავტოტრეკინგი (განმეორებით) **13.05** დისნი და მისი მეგობრები **13.25** აუდიო-ვიდეო-ტექნე **18.20** კომპიუტერული ტექნიკა **19.00** „აჩიკუდა“ **19.25** კომპიუტერული თამაშები **19.30** მელოდია - მოკლე შეტყობინებები **20.05** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **20.35** სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი“ - ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა **21.00** „ნა-ნა-ნა“ - კარაოკე **22.00** მობილურები **22.50** „კინოკლუბი „ - „სიჩქარე“-2. მძაფრსიუჟეტიანი. რეჟ: იან დე ბონტი. როლებში: სანდრა ბალოკი, უილიამ დეფო. **00.45** მელოდია **00.50** ტელესერიალი - „ვარსკვლავური ომები“ - მე-3 სერია **01.40** აუდიო-ვიდეო-ტექნე.

ОРТ

07.00 „Доброе утро!“ **09.00, 10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **09.10, 20.00** Сериал „Земля любви, земля надежды“ **10.20** Худ.фильм „Две судьбы“ **11.30** Боевик „Юлий Цезарь“, 2 с. **12.40** Дисней-клуб: „Чудеса на виражах“ **13.20** Шоу „Город женщин“ **14.20** Детектив „Хищники“ **16.20** „Фабрика звезд 3“ **16.40** „Ералаш“ **17.00** Сериал „Берег мечты“ **18.00** „Большая стирка“ **19.30** „Смехопанорама“ **20.50** Сериал „Убойная сила“. „Золотая обойма“ **22.00, 00.30** „Время“ **22.30** Худ.фильм „Две судьбы“ **23.40** Док.сериал „Спецназ“. „Где мы - там победа“, 2 с. **00.50** „Формула власти“. Премьер-министр Великобритании Т.Блэр **01.20** „Крылья“ **01.50** „Фабрика звезд 3.“

РТР

06.00 „Доброе утро, Россия!“ **09.45, 21.55** Сериал „Каменская 2“ **10.50** „Сам себе режиссер“ **11.50** „Вести. Дежурная часть“ **12.00, 15.00, 18.00, 21.00** „Вести“ **12.30, 15.10, 17.40, 21.30** „Местное время. Вести - Москва“ **12.50** Ток-шоу „Короткое замыкание“ **13.50, 23.00** Детектив „Марш Турецкого. Новое назначение“ **14.50, 17.30, 00.50** „Вести. Дежурная часть“ **15.30** Ток-шоу „Что хочет женщина“ **16.30** Сериал „Лучший город Земли“ **18.10** Сериал „Бригада“ **19.10** Мелодрама „Ундина“ **20.00** Сериал „Комиссар Рекс“ **21.50** „Спокойной ночи, малыши!“ **00.00** „Вести+“ **00.20** „Авторитет“ **01.05** Народный артист **01.20** Комедия „Невеста из Парижа“ **03.00** „Кинескоп“. 60-й Венецианский кинофестиваль **03.50** „Дорожный патруль“ **04.05** Сериал „Ангелы Чарли“ **05.00** Сериал „Затерянный мир“ .

НТВ

07.00 „Утро на НТВ“ **09.55** Сериал „Черный ворон“ **11.00** „Сегодня утром“ **11.25** „Растительная жизнь“. „Иванушки International“ **12.05** „Кулинарный поединок: девушки-мечты“ **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.20** „Сегодня“ **13.30** „Профессия - репортер“. „Спасите наши души“ **13.50** Ток-шоу „Страна советов“ **14.40** Сериал „Улицы разбитых фонарей 4“ **15.50** „По праву“ **16.35** Ток-шоу „Принцип домино“. „Понаехали тут, или гастарбайтерам вход воспрещен“ **18.30** Сериал „Супершпионки“ **19.25** „Чистосердечное признание“ **20.35** Сериал „Улицы разбитых фонарей 4“. „Долго и счастливо“ **21.50** Сериал „Черный ворон“, 7 серия **23.00** „Страна и мир“ **23.35** „Красная стрела“ **23.55** Сериал „Клан Сопрано“ **01.45** „Гордон“ **02.45** Футбол. Лига чемпионов. „Динамо“ (Киев) - „Локомотив“ (Москва) **03.05** Ленивая ночь **03.45** Сериал „За гранью возможного“.

რომელი საათია?

მოგზაურობა დროში ლარა კროფტთან ერთად

ანა კორძაია-სამადაშვილი

ყველაზე მაგარი გოგო

რა საქმისთვის არსებობს საათი? ცხადია, დროის საჩვენებლად! ის საათი კი, რომლის შესახებაც გიამბობთ, ბევრად მეტის მაქნისია: დროსაც საუკეთესოდ გაჩვენებთ, წნევასაც, ზღვის დონიდან სიმაღლესაც და მიმართულებასაც, ნამმზომადაც გამოდგება და მაღვიძარადაც. მისი მოხმარება არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს – ტექნოლოგიურად ძალიან რთული მექანიზმია, მაგრამ გამოსაყენებლად უმარტივესი, თან ფორმითაც მიმზიდველი.... მოკლედ, საათი კი არა, სიამოვნებაა.

ცხადია, ასეთი საათი ყველაზე შესანიშნავ ადამიანს უნდა ეკეთოს, და დღეს მსოფლიოში ყველაზე პოპულარული “ექშენ” ფილმის გმირი, ლარა კროფტი, სწორედ ასეთი შესანიშნავი ადამიანი გახლავთ. მისი თავგადასავლების ფონზე თავად ინდიანა ჯონსიც კი ფერმკრთალ აჩრდილად მოგეჩვენებათ. ანჯელინა ჟოლის გმირს, ლარას, ფანტასტიკური ვერცხლისფერი სამოსი აცვია, ის მსოფლიოს გადარჩენისთვის იბრძვის, ცხადია, ყველას ერევა და მაინც ყოველთვის ყველაზე სასურველ ქალად რჩება. ფილმში - “ლარა კროოფტი – საფლავების მძარცველი: სიცოცხლის აკვანი” - ლარა ცენტრალური ფიგურაა, და საბერძნეთში, კორეასა თუ კენიაში გადაღებული ულამაზესი მიდამო მას მხოლოდ ფონს უქმნის.

თავგადასავლებით აღსავსე მოგზაურობასა და სიკეთისთვის ბრძოლაში ლარა კროფტს სწორედ ზემოთ აღნერილი "ტისოს" საათი, T-TOUCH ახლავს თან. ეს საათი მას მრავალი სირთულის გადალახვაში ეხმარება.

“ლარა კროფტი-2” T-TOUCH-ის დებიუტი გახლავთ. თუკი მისი შესაძლებლობები გაინტერესებთ, შეგიძლიათ კინოთეატრ “ამირანში” მიბრძანდეთ – ამ დღეებში “სვოჩ ჯგუფის” ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში – კომპანია “ართითაიმი” ანჯელინა ჟოლისთან ერთად დაუვიწყარ მოგზაურობაში გეპატიჟებათ.

ხოლო თუკი მსგავსი თავგადასავლები დიდად არ გიზიდავთ და არც ანჯელინა ჟოლის სიყვარულით იკლავთ თავს, იმას მაინც მოგახსენებთ, რომ T-TOUCH თავისთავად ძალიან მაგარი საათია, ლამაზიცაა და სადაც, და ასეთი საათის მფლობელმა შეიძლება მთლად ლარა კროფტისდარ ქალსაც კი გამოჰკრას ხელი.

24-ის ვარსკვლავი

კიფერ საზერლენდი

ოთხმოციანი წლების ვარსკვლავმა, კიფერ საზერლენდმა, ტელესერიალით - “24” ახალი კარიერა დაიწყო. ჟურნალისტები ქირქილებენ – ძალიან გაუმართლა, თორემ როდეოს მხედრის სტატუსით დაასრულებდა ცხოვრებასო...

კიფერ საზერლენდი

ჰოლივუდიდან წასვლის მრავალი გზა არსებობს. არნოლდ შვარცნეგერი გუბერნატორობას ლამობს. ჯონ ტრავოლტამ მფრინავობა ამჯობინა. ჩვენი გმირი, კიფერ საზერლენდი კი კოვბოი გახდა.

ოთხი წლის წინათ “ბნელი ქალაქის” და “სამი მუშკეტერის” მსგავსი ფილმების გადაღებებმა მსახიობს უკანასკნელი ძალაც გამოაცალა. საერთოდ, ჰოლივუდმა საფუძვლიანად მოუშალა ნერვები: “განვითარებული ლას ვეგასია. აქ ღიმილით შემოგცქერიან და ისე გატყუებენ და ერთ დღესაც წაგებული რჩები”. საზერლენდმა თავის შველა გადაწყვიტა. მან ერთი წელი გაატარა თავის კალიფორნიულ რანჩოში, სანტა ინესში, და პროფესიულ როდეოს მოჰკიდა ხელი: “რამენაირად უნდა შევცვლილიყავი,” ასე ახნა მსახიობმა თავის ახალი გატაცება.

ამჟამად საზერლენდი კვლავ გადასაღებ მოედანზე დგას, ოღონდ კინოფილმში კი არა, ტელესერიალში იღებს მონაწილეობას. უნდა ითქვას, რომ მსგავსი პოპულარობა მისთვის აქამდე არცერთ როლს არ მოუტანია. თრილერში “24” შესრულებული აგენტ ჯეკ ბაუერის როლისთვის მან 2002 წელს “ოქროს გლობუსიც” კი მოიპოვა.

მიუხედავად იმისა, რომ 36 წელი მსახიობისთვის ნამდვილად არაა ყველაზე იმედისმომცემი ასაკი, საზერლენდის შემთხვევაში ამას დიდი გაოცება არ გამოუწვევია. საქმე ის გახლავთ, რომ მისი კარიერა რაღაცნაირად არაგეგმაზომიერად ვითარდებოდა, თავად მსახიობის თქმით, “ინსტინქტის თანახმად”, მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდას “წესიერი წინსვლისთვის” საუკეთესო პირობები ჰქონდა.

მამამისი, დონალდ საზერლენდი მსახიობი იყო, ისევე, როგორც დედა, შირლი დუგლასი. სწორედ დედის სცენაზე ნახვის შემდეგ (“ვის ეშინია ვირჯინია ვულფის”) გადაწყვიტა კიფერმა: “მეც მინდა”.

ამ სურვილის დასაკმაყოფილებლად 16 წლის ბიჭი სახლიდან და სკოლიდან წავიდა. დღეს ის იხსენებს, რომ “მაშინ ჩემი შეჩერება შეუძლებელი იყო, ციხეში თუ ჩამსვამდნენ”. მართალია, პირველ წარმატებას 1984 წლამდე ელოდა – Bay Boy-სთვის მან კანადის უმაღლესი კინოჯილდო მიიღო. ეს ამბავი ჰოლივუდს, ცხადია, არ გამოპარვია, და ასე შეიქმნა Stand By Me (1986) თუ The Lost Boys (1987).

წარმატებას უამრავი წვეულება, სასმელი და ახალგაზრდა ქალი მოჰყვა, მაგრამ მრავალი სხვა კოლეგისგან განსხვავებით, კიფერს ამან ვერაფერი დააკლო. საზერლენდი გადაღებებზე არასოდეს იგვიანებდა, თავი არასოდეს შეურცხვენია და ამგვარად თავის თაობის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მსახიობი გახდა.

ჰოლივუდის დიდების არსს ის მხოლოდ 1990 წელს მიხვდა, როცა ვარსკვლავ ჯულია რობერტსთან ჩაშლილმა ქორწილმა ის საყოველთაო ჭორაობისა და დევნის საგნად აქცია: “იმდენი ტყუილი მომიგონეს! ყველა გაზეთი რომ წამეკითხა, გავგიჟდებოდი კიდეც,” იგონებს საზერლენდი.

ამბობენ, რომ გარკვეულწილად ამ ამბავმაც განაპირობა საზერლენდის “ვარსკვლავის ქრობა”. მართალია, ის კვლავ ხშირად ჩნდებოდა ეკრანებზე, მაგრამ ეს უკვე ძველი კიფერი არ იყო. გარდა ამისა, დრო საშინელი სისწრაფით შეიცვალა, და ახალი დრო ახალ გმირებს ითხოვდა, საზერლენდი ამ მოთხოვნებს ვეღარ პასუხობდა.

“24” კი სულ სხვა ამბავია. “მანამდე ტელესერიალებით არასოდეს დავინტერესებულვარ,” ჰყვება საზერლენდი. ახლა კი სერიალები მისი ყველაზე საყვარელი საქმეა. “ოცი წლისა რომ ვიყავი, ყველაფერს უფრო დრამატულად აღვიქვამდი. ახლა კი ვიცი, რომ ერთ მშვენიერ დღეს იმის თქმას შევძლებ – ჩემი ცხოვრება მოსაწყენი არასოდეს ყოფილა. ბევრი რამ ძალიან საინტერესო იყო”.

მართლაც, სასაცილო იქნება, თუ კიფერ საზერლენდი სერიალის ვარსკვლავის სახელით შევა ამერიკული კინოს ისტორიაში.

39 წლის შემდეგ

სანამ ორშაბათი საღამო არ დადგა, მაყურებელს კიდევ არ სჯეროდა, რომ იოკო ონო მართლაც გაიმეორებდა 1964 წელს ჩატარებულ, უჩვეულო სამშვიდობო აქციას – ავიდოდა სცენაზე და მაყურებელს მაკრატლით ჩამოაჭრევინებდა კაბის ნაკუწებს იქამდე, სანამ სულ არ გაშიშვლდებოდა. აქცია “მოაჭერი ნაჭერი” პარიზის თეატრის პატარა სცენაზე გუშინწინ მაინც განმეორდა. სცენაზე ჯერ იოკოს ვაჟი შონი ავიდა და დედას შავი კაბის სახელოში პატარა ნახვრეტი ამოაჭრა. “ძალიან ვინერვიულე. აქცია მართლაც შთამბეჭდავი და ემოციური გამოვიდა”, - განუცხადა ჟურნალისტებს სცენიდან ჩამოსულმა შონ ლენონმა. ბოლოს თვითონ იოკომაც აღიარა, რომ ძალიან ნერვიულობდა. “არ შემშინებია, იმიტომ, რომ სცენაზე სიყვარულით სავსე ავედი. როცა წლების წინ ეს პირველად გავაკეთე, გული ბრაზით და პროტესტით მქონდა სავსე. ახლა კი სიყვარულით ვაკეთებ, თქვენი, საკუთარი თავისა და მთლიანად მსოფლიოს სიყვარულით”, - დასძინა იოკომ.

ორშაბათის წარმოდგენა ნამდვილად განსხვავდებოდა 1964 წლის შოუსგან. მაშინ სხვა სულისკვეთება იყო, თან იოკოს გვერდზე ჯონ ლენონი იდგა ვიეტნამის ომის გასაპროტესტებლად ე.წ. “საწოლის აქციას” მართავდა. ონოს არც ლენონის გარდაცვალების შემდეგ მოუსვენია. ის საზოგადოებას თავისი სამშვიდობო აქციებით დროდადრო სულ ახსენებდა თავს. შარშან იოკომ ლონდონში, პიკადილის სკვერზე განათავსა ბილბორდი, რომელზეც ეწერა: “წარმოიდგინეთ მთელ მსოფლიოში რომ მშვიდობა იყოს” – ვარიაცია ლენონის ცნობილ სიმღერაზე. ერაყის ომის დაწყებამდე კი მან მსოფლიოს რამდენიმე სოლიდურ გაზეთში იყიდა სარეკლამო ფართო და განათავსა ერთადერთი ფრაზა: Imagine Peace...Spring 2003 – “წარმოიდგინეთ მშვიდობა...2003 წლის გაზაფხული”.

სწავლა ლონდონში
ხელმისაწვდომ ფასად

ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლა (ლონდონი) გთავაზობთ ხარისხის მოსაპოვებლად შემდეგი პროგრამების ფარგლებში. ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლის (ლონდონი) კამპუსი მდებარეობს ლონდონ ბრიჯთან. ეს ის ადგილია, სადაც ლონდონის ღირსშესანიშნაობებია თავმოყრილი. პროგრამები ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება სანდერლენდის (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად; ხოლო პროგრამები მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება ისევ ლონდონის (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად. პროგრამები ცხადდება წელიწადში სამჯერ (ნოემბერი / აპრილი / აგვისტო). მორიგი კურსის დაწყების თარიღია 2003 წლის 27 ნოემბერი.

MBA ბიზნესის ადმინისტრირება / ფინანსები / IT
ელექტრონული კომერცია / HRM
პროექტის მენეჯმენტი
MSc საინფორმაციო ტექნოლოგიები
კომპიუტერული სისტემის ინტეგრაცია
ინტეგრაციის ინჟინერია
სრული ტრენინგის ფასი £3950
სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა

ბიზნესის ან ბიზნეს ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამების ფარგლებში ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად 2-წლიანი დაჩქარებული კურსის - BA (Hons) მთლიანი ღირებულებაა £ 6950. 3-წლიანი კურსის ინჟინერიის ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად B. Eng (Hons) მთლიანი ღირებულებაა £ 10 950

ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდა შესაძლებელია ეტაპობრივად

იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ზემოაღნიშნული პროგრამებით სწავლობენ, ერთწლიანი ინტენსიური ინგლისური ენის კურსის გავლა შესაძლებელია დამატებითი £ 1000 გადახდის შეშვება.
იმ სტუდენტებისთვისაც, რომლებიც მაღალი აკადემიური მოსწრება არა აქვთ, ხელმისაწვდომია მოსამზადებელი პროგრამები.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით: ნიგარ შეყბაყოვას, ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლის მიხეილ გელოვანის ბინაზე
მისამართი: 12 Bul Bul Ave., Student Travel International (STI),
Tel/Fax: +994 12-989906, 98 99 08, +994 50 - 201 01 69
E-mail: stmgeorgia@hotmail.com; nm@ss.az
ან ადგილობრივ წარმომადგენელს: ნინა ჭუმბურიძეს
ტელ.: 34 61 62, 8-93 35 20 67

ESM-თბილისის სკოლა-ლიცეუმი აგრძელებს მოსწავლეთა მიღებას II, III, IV და V კლასებში. დანარჩენ კლასებში კონტიგენტი შევსებულია მისამართი: ნუცუბიძის ქ. N223.
ტელ: 32 97 83

მოსწავლეთა საყურადღებოდ!
განათლების სამინისტროს კომპიუტერული ცენტრი "მზიური" აცხადებს მოსწავლეთა და სტუდენტთა მიღებას
პერსონალური კომპიუტერის შესწავლელ ჯგუფებში.
მიიღებიან IV-XI კლასების მოსწავლეები
მისამართი: დ. უზნაძის (ყოფილი კამოს) №70
ტელ: 29 48 61, 95 45 75, 91 03 17

წამალი "სალხინო"

ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.